

83

ISSN 0182-599-X
საქართველოს
საზოგადოებრივი

გნებობა



12

1989



საქართველოს
წიგნების კავშირი



გეოტოპი

წიგნის კოდექსი 65-0

№ 12

დეკემბერი, 1989 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

გონიკ ხარანაული — ხეივანი, ლექსი	3
ჯეგატ თოფჩიანი — „მცნებათ, ჩემო ძველმ“... მოთხრობა	7
ბაბუ მებერიძე — ლექსები	22
ვახტანგ ხარაილაშვილი — ლექსები	25
ირინე ტალიაშვილი — კობახიძის სიმღერები, მოთხრობა	30
ლალო სულაბერიძე — ბელო ბელო, რომანი, დასასრული	36
პარინა ხაბაძე — ლექსები	77
ალექსანდრა ხაბაძე — ლექსები	77
ჯინაზა საბაძე — ლექსები	82
გიორგი კახუაშვილი — ტიშინი, მოთხრობა	84
მურთაზ არაბული — ლექსები	93

80 ირავლი აბაშიძე 80

გიორგი ნატროშვილი — უცხოეთის ქმის წითელსფერი	91
--	----

მომხსენებელი, შატბეგი

ირაკლიძის ოპერები — ქრისტინა სიბინილოვი და ინგრიდოტა უოტსონი მცხრამიძე საბაძის მიწვევა და მისი საზღვრების დასაწყისში (წინათქმა გიორგი გოჩიაშვილის)	106
--	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გონიკ ხარანაული — გვახთაშვილის რაბა	124
ინგოპოლიანი — „გარე სამყაროში ზღვას შერთული“	129

მეხსენებელი

თეოდორე ინაბაძე — მინა და მთავრის რაინდები	135
ვახტანგ ხარაილაშვილი — საქართველო სპარსულ წყაროში	147

ი. მ. გორგოჯანი

საქართველოს კა ტექნიკური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მწერლის
სახ. საბ. რეგისტრ.
გამომცემლობა

იპატავ აბუაშვილი — ბერძნული ახალშენები კვიმო ქართლში 155
 პარინა ჩხარტიშვილი — ქართული ინტორიული აზრი XI საუკუნეში 155


ნიგნების მიმონილვა

სოლომონ დომუხანაშვილი — რომანი თანამედროვე პოეზიაში 167
 შარნალ „მნათობის“ 1959 წლის ნომრების შინაარსი 174

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

ხარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, კ. აბაშუაველი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
 შიაშვილი, ვ. დოჩანაშვილი, მ. ლასური, მ. ლეგანიძე, ე. მალ-
 რაძე, ლ. შრალაშვილი, ვ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-
 ტორის მოადგილე), რ. პატარიაძე, ჯ. ჩაქვიანი, ნ. წულეისკერი, თ. ზი-
 ლაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.



სვედრი

ცნობილ ქართულ პოეტს ბესიკ ხარანაულს ორმოცდაათი წელი შე-
უსრულდა. ეურნალ „მნათობის“ რედაქცია პოეტს ულოცავს მისი
ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჩანმართლობას,
სულიერ მშენებლს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ჩემსოფლელ ბიჭებს არ მიაჩნდათ თავი მის ღირსად —
თუმც დაუღლედალ აქეთ-იქით უტრიალებდნენ,
თუმც მის პაერში თავებს ჩრიდნენ და ღმერთის ნებით
არსებობდნენ კიდევ მის გვერდით...
(რის საბაძევესაც მათ აძლევდათ თვითონ ბუნება —
სადაც ვაზი ჭიგოს ეხვევა
და სოსანი ზამბახების მოვლილ კვლებთანაც
ჭინჭარს უნდა ათას ხერხით მიახლოვება.
შინაური და სახელშეურქმეველ ძაღლების გვერდით
უბატრონო და უუფლებო ძაღლები ყრიან
(სადაც მოუწევთ,
თუნდ სულ ცოტა ხნით გაჩერებული მანქანების მუცლების ჩრდილში).
და თუმც ყოველი
მეორე ხარისხის რაც კი არის ამქვეყანაზე,
მორჩილად გრძნობს თავის ჭიშის უვარგისობას,
გრძნობს თავის ნაკლსაც და დროც მისთვის უფრო სწრაფია —
(რადგან ძირკვევენ ჭინჭარს კარგად გალესილ თოხით,
უჭიშო ძაღლებს დაუდევრად ერეკებიან
და ფეხსაცმელს იხდის ლატაკიც მდიდრის კიბესთან,
რაკი იმისი ფეხის ფლასიც ეძვირფასება)...

ეს ბიჭებიც
იმ თავიანთ ოცნების ხეს შორიახლო უტრიალებდნენ,
სუნთქვა ეკვროდათ შეხვედრისას და სიშორე კი
აღავესებდათ რაღაცა ბრაზით,
რომელსაც იმის ვაშლის ზეებით დაბინდული ფანჯრების წინ გადიგლოვებდნენ
(ყველას როდი ეღირსებოდა განათებულ ფანჯრებს იქით სანატრელი
ლანდის დანახვა,
ყველას როდი ეღირსებოდა, აივანზე სულ ერთი წამით გამსბლტარისთვის
თვალი მოეკრა).
სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ (ჭერ არა სევამდნენ)

და ისე, როგორც უმეცარი კაცი დაწვა იმ ოდესღაც პირველმა ციხესმა ერთი-ორი გაბედულიც, წინათგრძნობას რომ არ ენდნენ, უარს ემსხვერპლა.

უფროსები ვინცა იყვნენ, ზოგნი უკვე ადრეულად ცოლშვილიანი, უიმედოდ თვალს აყოლებდნენ და იმასღა იკვლევდნენ მხოლოდ თუ ვისა ჰგავდა: დედის მხრიდან მოკვებოდა სილაშიაზე თუ მამის მხრიდან.

ყვავილობას კი ვუყურეთ, მაგრამ ნაყოფს ვერ შევესწარიო. სხვამ გასინჯა იმისი გემო, სხვამ მოწყვიტა სულაბლახანს გამონასკვეული. უკვე სკოლას ამთავრებდა, ბოლოს რომ ვნახე. მერე წავიდა, ინსტიტუტში ჩაირიცხა, გაქალაქელდა. მეც დამავიწყდა და სოფელმაც სხვებისაყენ წაიღო თვალი, იმისაგან ნათარებმა ყმაწვილებმა სხვები შეირთეს, ქალაქში კი პირველივე იდიოტს გააყვა.

რალაცნაირად გაეწბილდი და განვიცადე, ეს ამბავი როცა გავიგე. არა, ჩემთვის კი არ მინდოდა, ჩემი სასაიკლო, უღიმღამო ჩემი სოფელი იმისაგან მიმალდებოდა, მაგრამ ქალაქში პირველივე იდიოტს გააყვა და იდიოტობა ზომ უფრო ძნელი საცნობია სილაშიაზეზე! ამიტომაც, ცოტა ხანი გავიდა და.. სოფელში არის და ცხოვრობს თავის გაწბილებულ მშობლებთან ერთად რომლებსაც, ალბათ, მისი ბედი სულ სხვაგვარად წარმოედგინათ და რომლებიც ქალიშვილს დებდნენ ახლა ბრალს და ამუნათებდნენ სიმართლეს რომ შეალიეს მთელი ცხოვრება, ახლა საკუთარი შვილის მიმართ იყვნენ უსამართლონი. მამამისმა ძალლი გაიჩინა — კაცისმკვამელი, თუმც ქალიშვილთან უბრად არის, დღისბოლოსათვის თვლით იბარებს მის ყოველ ნაბიჯს.

11

უსიხარულოა ახლგაზრდა ქალისათვის სოფლის გარემო, მითუმეტეს მასწავლებლისთვის. დღედაღამე წესრიგს უნდა ედგას დარაჯად, მარტო რომ არის მაშინაც და ხალხშიც რომ არის. იმის სახელის ვასატებად ერთი სიგარეტის კვამლიც კმარა, ერთი სიცილიც.

ყველა ზეერავს შეუთანხმებლად, ყველა ამოწმებს და როგორც გინდა სოფლის წესის მიმყოლი იყოს, პატივს მაინც არ მიაგებენ:

რადგანაც ერთხელ ჯერ სილაშიზის გამო ამოიღო სოფელმა თვალში, ახლა კიდევ გამარჯვებულ ცხოვრების გამო. ჯერ შურდათ, ახლა კი ეჯავრებათ.

ვნახე მე ის დიდი ხნისა და წლების, შემდეგ...
 როცა ერთხელ კედლის შენებაში ჩემს მეზობელს ვეხმარებოდი,
 სულ ცოტა ხნით ჩამოსული,
 სულ ცოტა ხნით მიტმასნილი ჩემს ძველ ნაცნობ-ტოლ-მეზობლებთან...
 ოფლიანა... აჩეჩილნი... ეუმენტით და სილით დასვირილნი...
 უცხოსავით შემოვიდა ეზოში და სალამი გვიბორა.
 მე ისე არ გამაკვირვა ჩემი გულის აბაგუნებამ.
 როგორც ამათმა სიმშვიდემ და გულგრილობამ — როგორ შეზღუნენ
 ირემივით შემოხეტებულს!...
 მაგრამ, ეტყობა, ისინი არც მშვიდნი იყვნენ და არც გულგრილნი.
 ისინი ამ ქალს ძველი ჭაგრით უსწორდებოდნენ,
 ვითომ ვინ ხარ და რას დადიხარ, რას დაეძებო,
 ხომ ხედავ, როგორ არაფრად არ მიგვაჩინებარო...
 ერთმაც კი არ შეხედა სწორად.
 განათუ ვინმემ გაუღიმა ანდა ვაწითლდნენ, პირიქით, უფრო შეხალისდნენ,
 ეს უზრდელად უშეაღონი.
 ქვაც ამჩაატეს, უფრო მაგრა დაკრეს ნიჩბებიც
 და კაცურობას მოუმატეს ხმითაც, საქმითაც.
 და ვიფიქრე მე ჩემს გულში ასეთი რამე:
 სიყვარულის დრო რომ დაუდევს ამ სოფელში ქალიშვილს ნეტავ,
 ვინ შეიყვაროს?
 ეს უწიგნური, პრაქტიკული, ღორმუცელა ახალგაზრდები?..
 აჩეჩილი პერანგებიც არ შეისწორეს...
 და რაღა უნდა მოკითხო ამ სოფლის ღამეებს, უღიმვამო დღეებს, ტალახებს,
 რომელი ერთი შეეცდება ამისათვის თავის გარდაქმნას,
 შესწორებას, შელამაზებას...

111.

დიდი ხნის შემდეგ
 გინდა ქალი გინახავს და გინდ მიგდებული ქვეყნის მიღმა ძველი ტაძარი,
 თუნდ გახაფხულზე აყვავებულ ხეებში იდგას ზედ თავამდე გარშემორტყმული,
 თუნდაც იყოს აღდგენილი, ნაბატრონები
 და რელიგიურად განწყობილი ახალგაზრდები ზეიმების დროს წესიერად
 ინახულებდნენ
 როგორც ვახშმად, როგორც ჩაიზე... თითქოს თავის ხნიერ პედაგოგს,
 რომელიც მათ, მხრებზე თბილშალწამოხურული (თანშეზრდილი კატის
 თანხლებით),
 თეთრ, თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდისკენ მიიპატოყებს,
 თან ძველისძველ ბროლის ლარნაკში
 იმით მორთმეულ იებსა თუ ყოჩივარდებს მიმოლაგებს,
 შეასწორებს, შეყოვნდება, ღამის არის იქვე დარჩება,
 იმ ყვავილებთან,
 იმ კუნძულზე, ნიჩბებს უკვე რომ აღარ უსვამ
 და დგაბარ... (რისთვის!)
 მინც უცებ კომპლიმენტი რომ მოაბრუნებს
 (უხერხული, უადგილო, რაღატქმა უნდა),
 რასაც ბედად გადაცურებელი შალის კალთის სწორებაში გადაივიწყებს.

ოცი წლის შემდეგ ქალი უკვე სხვა არსებია:

თუნდაც შეესწრო

ბროლის ყელით და მარმარილოს თეთრი მკლავებით სარეცხს დაბურულ და გაზაფხულის სურნელებით გაჟღენთილ დღეში —
საიდანდაც რომ გამოგზებდავს — მკლავებიდან, გაშლილ თმიდან
ანდა ზეწრის თეთრი კალთიდან.

რომელიც თან ფარდაც არის (ამ ქვეყნის წინ) — სურვილისამებრ...

რალაცა მიაქვს დროს ქალისგან (სილამაზე?), წავა წაიღებს,

თუმც უყურებ და კვლავ აღნიშნავ გაკვირვებული —

ყელი ბროლისა და მკლავები მარმარილოსი...

და ახალი გრძნობისათვის გიბატყებებს ის ძველი ქალი,

თუმც არ გცალია, ანდა უკვე გვიანი არის.

IV

ჩვენ წასულნი ვართ ამ სოფლისთვის — თუნდაც ვიყოთ მობრუნებულნი,

პატროტებიც, მზრუნველებიც მისი მიწის და წყალ-ჰალების,

ველარასდროს ვერ ვიქნებით მისთვის ნამდვილი,

რადგან ოდესღაც წაყითებული ფურცელივით ვართ, ქარმა უკან რომ

მოაბრუნა,

თუნდ საწნახელშიც ერთად ჩადგეთ, მძიმე ქვებიც

ერთადა ვწიოთ,

სუფრაზეც დავსხდეთ და წარსულიც ერთად ვიხსენოთ,

ჩვენ არა ვართ მისთვის ნამდვილი...

თანაც ცოტა თუ არც აშინებ...

ყველაფერი ამის გაგება კიდევ უფრო ბევრად მეტისაც,

რაც თქვენს შორის და თქვენს გარშემოა, მიუწოდოშია

და არ უნდა შეეცადო მიკედლებას, რაიმეს შეცვლას.

შენ უნდა დარჩე — შენად, ცალკე... შელამებისას,

მათ შენავლებ ხელს რომ დაიბან, შეგიძლია მთვარიანში გაისეირნო,

და ასე, ერთხელ, უცაბედად გადაეყარო...

როცა მეჯლისზე არ მიდიან, როცა ბრუნდებიან...

დაღლილი და მხრებჩამოყრილი, იმედი რომ გაუცრუვდება

თავის თავზეც და სტუმრობაზეც,

ოდნავ მთვარის მსუბუქ შუქით დაამებული.

ხვედრი... როგორი მწარეა ხვედრი.

ერთხელ რალაცას გულუბრყვილოდ მოიმოქმედებ

და მერე შენი შეიქნება სამარადეამოდ.

და შენ კი არა, შენი ხვედრი იქცევა შენად,

მას ერქმევა შენი სახელი.

იმით შეაღებ ყველა კარს და იმით დაწვები...

ღმერთო ჩემო... ცხრაათსჯერ პერანგი რომ გამოიცვალო,

იმით დაწვები...



„ოცნებაო, ჩემო ძველო...“

მოთხრობა

საქართველო ობლისში ახლად დაბრუნებულ ეზოებს მაგონებს. ოღონდ ეზოს გულბინიან ნაწილს კი არა, იმ პატარა ვადაჩენილ მიწას, ეზოს კედელსა და ახლადტან შორის რომ არის მოკცული. მომწვევდელი, ვიღაცა რომ დაურჩავს ამ ვადაჩენილ მიწაზე ცოტათუნე მწვანე.

„ალუბლის ზეს რომ მოსტეხე ტოტი, მითბარ, სახსოვრად დიდხანს ატარე“, — ბლავიან რადიოში.

— გაა, ადექი დედა, არ დაგაგვიანდეს!

არ ვიმჩნევ. ვითომ მძინავს.

— არ დაგაგვიანდეს! — მიმეორებს დედა.

— კარგი რა, — უკმაყოფილოდ ვბასუხობ.

— საკმელი მაცივარშია, მანეთი მაგოდაზე დევს, გაზი არ დაგრჩეს ჩართული!

— ვისაუზმებ აუცილებლად და პურს წამოვიღებ, სამსახურიდან რომ წამოვალ, — ვუმთავრებ იმას, რაც თვითონ უნდა ეთქვა.

დედა ნაწყენი მიდის.

უკვე მეოთხე წელია დედა ყოველ დღით ერთსა და იმავეს მიმეორებს. მეოთხე წელია ცოტა ხანს კიდევ ვრჩები ლოგინში და ჩემს წინ კედელზე ბებიჩემის და ბიძაჩემის სურათებს შევყურებ, რომლებიც აღარ არიან და რომლებიც ძალიან მენატრებიან, განსაკუთრებით ბიძაჩემი. მერე ვფიქრობ რა-

გორ მიემატება ამ სურათების გალერეას დედაჩემის და ჩემი სურათი ერთ მშვენიერ დღეს, არა — ორ მშვენიერ დღეს. კიდევ ბევრ სისულელეზე ვფიქრობ... რადიოში ისევ ტირიან. მართლა, მე ვიკვია. დავამთავრე უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგია. ვმუშაობ რატომღაც გაზის მოხმარების ინსტიტუტში. იმიტომ, რომ სხვაგან ადგილი არ იყო. მყავს დედა. მამაც. ოღონდ ეს უკანასკნელი სამ თვეში ერთხელ მყავს, როდესაც მოდის და მნახულობს. მაინც მამაა და ხომ უნდა მნახოს. სწორედ იმიტომ მნახულობს, რომ უნდა მნახოს. და არა იმიტომ რომ ნახვა უნდა. ზოგადი კითხვების შემდეგ, მამა მხნედ დგება სკამიდან და ყოველი წასვლის წინ, აგერ უკვე ათი წელია, ერთსა და იმავეს მეტყვება: „აბა, შვილო, ყოჩაღად, შენ არაფერზე არ შეწუხდე. ყოჩაღად. ხომ იცი, ყველაფერი შენთვის მინდა“. ამ ბრძნული აზრის შემდეგ მტოვებს მართლ. ან რატომ არ უნდა შევწუხდე, ან რატომ უნდა ვიყო ყოჩაღად, ან რა ყველაფერი უნდა ჩემთვის, დღემდე

საიდუმლოებით არის მოცული. ამ სიტყვების მეტი არაფერი არ მახსოვს მამისაგან. კონცაე არ მახსოვს. დედა მყავს-მეთქი, ვითხარით, და ბიძა, ადრეც ვითხარით. ბიძაჩემი ეურნალისტი იყო, მოქეიფე იყო. და მოკლედ, ძალიან კარგი იყო. იმიტომაც აღარ არის, ძალიან კარგები აღრე კვდებიან. თქვენ? ააა? დიდად სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნოა, თქვენი გაცნობა.

გალერეაზე ფიქრის შემდეგ სწრაფად ვდგები, ლოგინს ვასწორებ, გავრბივარ მეორე ოთახში და სამზარეულოს კარს კარგახანის დამუშავებულ ილეთს ვუტარებ. ვაწვეები ორივე ხელით და ორივე მუხლით. მე ჩოქბაჩენში ვარ. სამაგიეროდ კარი ღიაა. კარის მრცხვენია და სწრაფად ვდგები, კიდეც იმის მრცხვენია, რომ ველარ გავაკეთებინე ეს კარი ამდენი ხანია. სამზარეულოში მაგრად უბერავს, ფანჯარა გატეხილია და იმიტომ. არა, ფანჯარას ჩავასმევი-ნებდი, მაგრამ დედაჩემს ამის შესახებ საკუთარი აზრი გააჩნია: „მამაშენს გაუტყდა ერთხელ და იყოსო“, — მთხოვს. გადამრევენ ეს ქალები.

საბაზანოდან სველი ქათამივით გამოვრბივარ. „კონცერტი დამთავრებულია“. მეუბნება დიქტორი, რომელსაც პანაშვილის სიმღერები საკონცერტო ჰგონია. ვიშშრალეზ, ვიკვამ და კალენდრიდან კიდეც ერთ ფურცელს ვხევ.

„როგორ ვისადილოთ თუ უეცრად სტუმრები მოვიდნენ, სახლში კი არაფერი არა გვაქვს: მაიცივრიდან გამოვილოთ ორი კილო ხორცი, უმჯობესია ცოცხალი, ხუთი კვერცხი, მწვანელი, ახალი კარტოფილი ან სოკო...“ და ა. შ.

მაიცივარში როგორ უნდა აღმოჩნდეს ყველაფერი ეს, ამის შესახებ არაფერი წერია, ჭერჭერობით. კალენდრის ფურცელს საფერფლეში ვაგდებ. „ჩაისუბნის კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა ორას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ოქრო“, — მახარებს რადიო. ჩაისუბანი ჩაის მახსენებს. აღუღებულაია, ვსაუზმობ, სიგარეტს ვუკილებ. სარკეში ვიხედები: ვრწმუნდე-

ბი ჩემს გენიალურ გარეგნობაზე... ვერაზე ვავდივარ. ბელინსკის შემოქმედებული მხედება სამუშაოზე სწრაფად მიმავალი ნაცონებებით, გასტრონომით, სადალაქოთი და ქუჩის კუთხეში შეკრებილი ხელოსნებითა და ლოთებით.

— პრივეტ, ვია-ჯან.

— გაუმარჯოს! — ვეუბნები ძია საქოს, რომელიც გასტრონომის წინ რძეს და კვერცხს ჰყიდის, რომელსაც თეთრი ხალათი აცვია ამ შუა ზამთარში და ხელებს ყოველ წამს იორთქლებს.

— თბილად ხარ, აი, — მანიშნებს ჩემს ძველ ტულუპზე, რომელიც მეცხვარეებისაგან უყიდა ოდესღაც ბიძაჩემს.

— ფეჩივით.

— ეგ რომელი ვოდაა?

— შესდესიათი, პატარა რო ვიყავი, ბიძაჩემზე მახსოვს.

— ხო, დაჟე მეც მახსოვს, მიცინის ძია საქო.

ეხლა ქუჩის კუთხესთან მივალ და მიშა ფულს მთხოვს, აი, ცოტაც დოცადეთ.

— ვია, ოცდაათი კაპიკი არა გაქვს.

— ხო იცი მიშა, რომ მაქვს და ისიც ხო იცი, რომ მანეთიანი მაქვს, — უკვე შემოილონეჩერ ვეუბნები მიშას.

— როგორ არ ვიცი, მე თუ შენი ფული არ ვიცი...

მალაზიაში შედის და ხურდას მალე მიბრუნებს. სულ შინდა დედაჩემს ვუთხრა, რომ მანეთიანი ხურდა ფულით მომცეს.

— „შენ ჩემო შვეიცარიის ბანკო,

რომ არასდროს წამოგცდება,

ფული არა მაქო;

როგორ არ გაქო...“.

ყოველ დღით ნახევრად მთვრალი მიშა ხურდის მოცემის შემდეგ დაახლოებით ევთ საიათონვას სტილში გადაწყვეტილ რაიმე ლექსს მეუბნება პათეტიკური ხმით.

— ვუცინი და გზას განვგარძობ.

— ნიჩევი, კარგი ლექსი იყო, ხო იცი იმ „ნაბოთში“ — შორიდან მეძახის.



— „ნაბოთში“ კი არა, „ნობათში“.

— ვუყვარე მე.

— ზო რა, როგორც არი, წერე, წერე, სალოლ. პუშკინ, ლერმონტოვ რამე... რა იცი, ხალხნი ვართ...

ერთი წლის წინ ჩემი ერთი ლექსი მართლა იყო „ნობათში“. ნეტა არ ყოფილიყო. მიშას, ჩემდა საუბედუროდ, წაუკითხავს შემთხვევით, იმის მერე მომკლა მაგისმა შაყირმა.

მთავარ ქუჩაზე ვარ ეხლა ის გოგო გამოივლის, ყოველ დღით რომ არ მესალმება და გემრიელი ფეხები რო აქვს, სახეს და ტანს თავი რო დავანებოთ, და არაფერი არ ვილაპარაკოთ. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოპა, გამოჩნდება, აუ რას გაზავს, ზო, არ მომესალმოს, არ მომესალმოს, მანანა მყევხარ, ორბელიანი, რა ფეხები აქვს მაინც, გამცდება და აღმაყვარად გადმოშხედავს, აი ესე. კარგი ხარ.

ეხლა კი ბატონ ევგენის ვიხილავ ტროლეიბუსის გაჩერებაზე.

— ოოო, გამაარჯობათ, გია.

— როგორ ხართ, გია?

— გამაღობთ, თქვენ როგორ ბრძანდებით.

— არა მიკირს, არის რაიმე ახალი შენსკენ?

— გუშინს მერე რა იქნებოდა, ბატონო ევგენი.

— რა იცი, ხომ ხედავ რა ტემპებით მივდივართ.

ჩაერთო.

— და ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ თვითონ ადამიანის მე-შიც მოხდეს რაიმე. ერთ დღეში, ერთ საათში. ერთ წამში, შენში თუ არა, შენს გარშემო. ეკ, მეც რომ შენზელა ვიყავი, ვფიქრობდი, რა შეიძლება ამაზე მეტი მოხდეს-მეთქი, მაგრამ ხომ ხედავ მთვარეზე დავდივართ რაც ამ ქვეყანაზე ახალია, განა შენთვისაც არ არის ახალი?

— რასაკვირველია, ბატონო ევგენი.

— ასპირანტურაში ხომ არ ჩავიბარებია?

— გუშინს მერე, ბატონო ევგენი?

— ოკ, სულ დამავიწყდა. იმეცადინე, გია, იმეცადინე, მე ხომ მხედრობა ვიცი, ციებს ვკითხოლობ, ერთი ოცდაათი წლის წინ რომ გენახე, ქალამნებით ჩამოვედი თბილისში.

„არა, ეტლით ჩამოგიყვანდნენ“.

— არა გჯერავს?

— როგორ არ მჯერავს, ბატონო ევგენი — ვპასუხობ და უფრო დამაჯერებელი რომ იყოს ჩემი პასუხი, მის ფეხსაცმელებს ვაკვირდები.

— იმეცადინე, გია, აუცილებლად ჩააბარე ასპირანტურაში, მეცნიერება — ეს არის...

— ბოდიში, ბატონო ევგენი, ჩემი ტროლეიბუსი მოვიდა, — მიხარია ტროლეიბუსის დანახვა.

— აბა, შენ იცი, ყოჩაღად!

ბატონი ევგენი ჩემი ძველი პოლიტეკონომიის ლექტორია, პროფესორი, გიყდება თავის ბედკარულ წარსულზე და ბრწყინვალე აწმყოზე და საერთოდ საკუთარ თავზე, აფრენს კუკის სწავლებაზე, რადგან ამით საკუთარი პიროვნების გამომკვლავნების უფრო დიდი საშუალება ეძლევა.

მაპატიეთ ბატონო პროფესორებო!

* * *

მირიანოვიჩს ოთარი ჰქვია, მაგრამ რასაკვირველია ყველა მირიანოვიჩს ეძახის. მირიანოვიჩი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის არის, თმა თავზე იმდენი აქვს, სულ მგონია ყველა თმის ღერს საკუთარი სახელი აქვს, ეს თმის მსგავსი ჩალა მარჯვნიდან მარცხნივ აქვს გადავარცხნილი მელოტ თავზე, გადავარცხნილი კი არა, დასველებული — გადაწყობილი. საბზე მირიანოვიჩი პუტუნაა, მრგვალი პატარა კაკლები სწრაფად დაუბზიან სასმელისაგან დასიებულ თვლებში. ბოლომდე შეკრული პერანგიდან ყელამდე მაინც ამოდის დახვეწილი და გაქალარავებული თმა, მირიანოვიჩს ძალიან დიდი უკანალი აქვს, რომ ვუყურებ, მგონია რო, ჩასვრილია ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ კაი ათ წლამდე ქვეშ ისვრი-

და. შორაბლოს თუ ჩაუვლი მირიანოვიჩის, შეიძლება ოფლის სუნმა დაგაგდოს. ადრე მირიანოვიჩი თურმე პურში მუშაობდა, მერე ყველში გადასულა იქიდან, მისდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სადოქტორო დისერტაციაც მოსწრებული აქვს და ინსტიტუტშიც იმიტომ მუშაობს, რომ თვითონ როგორც იძახის: „ახლა ასეთი დროა“. მირიანოვიჩი გაუთავებლად ლაპარაკობს, ტურნები სქელი აქვს და სულ ახალპერაშენაკამივით გაქონილი, ძალიან უყვარს ასანთის ღერით კბილების ჩიჩქნა, ეს მისი ყველაზე საყვარელი პობია. განსაკუთრებით, კარგად თუ ჩაავლო ნადავლს კბილში, მაგაზე ბედნიერი ხომ აღარავინაა, ისეთი საბით აუღმერდება მერე ღერზე წამოგებულ მსხვერპლს.

ცხვარიკამიაში მირიანოვიჩის აგარაკის მშენებლობას ჩვენ წელს სექტემბერში მოვრჩით. ბოლო დღეს ღვინოც კი დაგვალევიანა, რის მერეც სამი დღის განმავლობაში თავი სად შემეყო არ ვიცოდი, ისე მტკიოდა. უშანგი გოგიბერიძემ (განყოფილების მდივანმა), ცოლი ისე ცემა, ის უბედური ეხლაც წევს. კოკი მახათაძემ (ბატონმა კოკიმ), მისი უსაყვარლესი ციფრები შეიძულა. გამოთვლით მანქანაზე მუშაობს და გიჯდება, საერთოდ ისე უყვარს ციფრები. მაშინ კი საშინლად შეიძულა: „ყველაფერი, რაც მომდის ას თერთმეტის ბრალით“, — იძახდა. ლაშა ზობუა იმის მერე გამოსწორდა: „ალკოჰოლიკობამდე“ აღარაფერი აკლდა, ეხლა წვეთს აღარ სვამს. მისი ოჯახი სულ მირიანოვიჩის ლოცვაშია.

— არა, ზედმეტი ვიცი, ზედმეტი! — აგრძელებს მირიანოვიჩი.

მე ჩემს მაგიდასთან მივიღივარ და ვჭადები.

— ჯერ ვსვით ჩვეულებრივი ჰიქები, მერე ვისთანაც ვიყავით, იმან ბაბუამისის ნაქონი ყანწი გამოიტანა, ლიტრიანი მაინც იყო, მერე წვევიდა ვაზები, კინკილები და მთელი ამბავი...

რატო დაიგვიანე, ბიჭო შენს მუშაობა-მართავს.

„შენი ბიჭის დედა ვატირე“, — გუნებაში ვეუბნები.

— ტროლეიბუსი იდგა დიდხანს, მირიანოვიჩ!

— არ თქვა ახლა. ბიგელი აგარდა, რაფერეც სკოლაში ატყუებენ მასწავლებელს.

— პროპაში მოვეყვი, მირიანოვიჩ!

— პროპა არ ვიცი მე, სამსახურში დროზე უნდა მოსვლა.

„შენი დედა ვატირე“.

— გესმის?

— კი, მესმის.

„შე ნაბიჭვარო“.

ოთახში ჩემსა და მირიანოვიჩის გარდა კიდევ სამნი სხედან: ბატონი კოკი, უშანგი და ლაშა. ბატონი კოკი ხანში შესულია, უშანგი და ლაშა მირიანოვიჩის ხნისა იქნებიან. ჩვენი ოთახი კუთხისაა, ამიტომ ინსტიტუტის სხვა ოთახებთან შედარებით ცივია. კერძოდ წყალი ჩამოდის. როდესაც წვიმს, ხშირად მიწვეს წვიმის წყლით საესე ტაშტის გადაღვრა და თავიდან შედგმა. ნესტისაგან კედლები ჩაყვითლებულ-ჩაშავებულია.

— ხო, იმას ვამბობდი! — აგრძელებს ეს კრეტანი, — ძლივს ვიცანი იმისი ცოლი, კაცო, ჩემს კლასში ყოფილა.

— იმან თუ გიცნოთ, — ვეკითხები მე.

— ვინა?

— იმ ქალმა.

— იმას ვამბობ სწორედ, იმან მიცნო, და მე ვერ ვიცანი. შევრცხვი კაცი, სხვათა შორის ძალიან კარგი და პატიოსანი ქალია.

„ვითომ ძალიან გვაინტერესებდეს იმ ქალის პატიოსნება“.

— მერე გამახსენდა, ცოტა ჰქვ მონწონდა, შავგვრემანი იყო, მე საერთოდ ძალიან მომწონს შავგვრემანი ქალები.

— რა ჯობია შავგვრემან ქალებს! — ნეტარებით ამბობს ბატონი კოკი, — სკოლაში მეც შავგვრემანი გოგო მომ-



წონდა. პირდაპირ ოცდაერთს გავდა, ისეთი ლამაზი იყო! — საყვარელ ციფრს ამსგავსებს ბატონი კოკი თავის საყვარულს.

— მეც შევგვერმანი მომწონდა! — მხარს უბამს უშანგი.

— მეც! — ამბობს ლაშა და თვალს მიკრავს.

— მეც! — ვამბობ მე, — ოღონდ ის უფრო ოთხმოცდაათექვსმეტს ჰგავდა, ბატონო კოკი!

— აჰ, ოთხმოცდაათექვსმეტი არაა ისეთი ლამაზი, სად ოცდაერთი და სად ოთხმოცდაათექვსმეტი.

— ხუთას სამზე რა აზრის ხართ, ბატონო კოკი, — ეკითხება ლაშა.

— ხუთას სამი ცოტა მსუქანია, ისე არა უჭირს რა, — პასუხობს ბატონი კოკი.

ბატონი კოკი ძალიან ბედნიერია იმიტომ, რომ თავისი ციფრების მეტი არაფერი იანტერესებს ამ ქვეყანაზე. ხშირად აკეთებს ასეთ შედარებებს: „თერთმეტით გამხდრები იყვნენ“, „სამიანივით სევდიანი იყო“, „კმაყოფილი იყო, როგორც ხუთიანი“, საერთოდ, მირიანოვიჩი რასაც ამბობს, იმაზე ყველა ეთანხმება, უღიმის, მათ შორის მეც. მაშინ მე მეზიზღება ჩემი თავი.

მერე ლაშა ბატონი კოკის შაყირს იწყებს, უშანგი მირიანოვიჩის ამბით ვითომ ძალიან დაინტერესებულია. მე აღარ ვესმენ იმიტომ, რომ ზეპირად ვიცი რის შემდეგ რას იტყვიან. ფანჯარას ვუყურებ. იქიდან ცა მიყურებს საშინლად მოწყენილი და მე ვფიქრობ, რომ იმის ნაცვლად, რაზედაც სტუდენტობის დროს ვოცნებობდი, მთელი ცხოვრება ამ კრეტინებში მომიწევს ყოფნა. ამ ნაძირალას სმენაში უნდა გავატარო მთელი დღეები, ბატონი კოკის ციფრების გაუთავებელ შედარებაში, ლაშას გაუთავებელ ბატონი კოკის შაყირში და უშანგის უბნო თანხმობაში. ყველაზე მეტად რაც მაგიყებს ის არის, რომ ამ ნაძირალაზე ვარ დამოკიდებული და ალბათ კიდევ დიდხანს ვიქნები. ალბათ გრძნობს, როგორ ვერ

ვითან. არ შეიძლება რომ არ ვიფიქროს დღეს, ისე ვერ ვიტან. არადაზნაზნა ვფიქრობდი სტუდენტობის დროს, რა კოშკებს ვაგებდი, სად არ ვიყავი, სად არ დავებეტებოდი, სად არ ვეძებდი მადნეულს: მთაში, ტყეში, უშველებელ მინდვრებში თუ გვალვისაგან დახეთქილ მიწაზე, ჩემს ქვეყანაში თუ სადღაც შორს, მოწყვეტილი ყველაფრისაგან, ვთქვათ, აფრიკაში. კარვებს გავშლიდი, ჩავყრიდი ქაბურღილებს და ვიყავით ერთ ამბავში. თავისუფალ დროს რასაკვირველია, ვხატავდი. ის ბავშვობის ოცნება სტუდენტობაშიც გამყვა, ვხატავდი გამხდარ ოქროსთმიან ბიჭს ჭვრით მკერდზე, ხელში დიდი სახრით, ირინეს ვხატავდი, რომელიც, რასაკვირველია, ჩემთან ერთად იქნებოდა ყველგან. არ დავიბოლავთ, ბატონებო, და პატივმოყვარეობაც მაწუხებდა. ძალიან ხშირად წარმოვიდგენდი ჩემს თავს ჩემივე ნახატების გამოფენაზე. ო, როგორ ვღელავდი ასეთ დროს, ამდენი მეგობრები, ალერსიანი ხალხი, ყველა მე მილოცავდა — „როგორ დახატეთ“, „რა კარგია“, „მოგვილოცავს“, „შესანიშნავია“, „თქვენი ავტოგრაფი“. არა, ამ დროს მე ძალიან ვღელავდი, მერე მთელი ღამე აღარ მეძინებოდა, ნადირობა თუ დამამშვიდებდა მხოლოდ. ალბათ ფილმებში ნანახი, სასწაულ ტყეში ნადირობა ბადიანი მანქანებით, არა, ეს რომანტიკოსობა დაღუპავს ახალგაზრდებს. მილიონ რაღაცაზე ფიქრობდი, როგორც ყველა ახალგაზრდა, და ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, იმის მეთაღაც რომ ამსრულებოდა მესამე კურსამდე ვოცნებობდი. მერე აღარა, როდემდე შეიძლება იოცნებო. მერე მეცინებოდა, რომ მაგონდებოდა ეს ყველაფერი. ისე, ძალიან კარგი თვისება აქვს ტვინს. ზოგჯერ, ძალიან ხშირადაც მეორე უკიდურესობაში ვვარდებოდი, როდესაც დაპატიმრებულს წარმოვიდგენდი თავს, ხელებზე ბორკილდადებულს შორეულში მასახლებდნენ, უცნაური ოცნება იყო ეს, ზოგჯერ ძალიან მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო,

ამაზე რომ ვფიქრობდი, მეტირებოდა ხოლმე და რომ მეტირებოდა კარგად ვხვდებოდი, ასეთი გაგივიათ? მე მკვირდა, ბატონებო, თავიდანვე არანორმალური ვიყავი, რომანტიკა დალუპავს ადამიანებს, თუმცა ეხლა, ასე ყოფნას ეგვეც მირჩევნია.

— ხოდა, მიხვალ იქანა და ეტყვი რომე დღეს მშობელთა კრებაა!

— თქვენი?

— ჩემი კი არა ჩემი ბაბანესი, ბიჭო! რა მოგივიდა, შენც პაბმელია ზომ არა ხარ?

— მერე?

— უთხარი ექვსზე სკოლაში იყოს, ვერ ვურეკავ, არ მუშაობს ტელეფონი!

— ესე იგი, ექვს საათზე სკოლაში იყოს.

— კი.

— წავედი.

— აბა, პე, დროზე ქენი.

„შენი დედა ვატირე“.

— მითხარი რამე?

— რაა?

— მითხარი-თქვა, რამე?

— არაფერი.

— ერთი კვირის წინ ჩემს ნათლიასთან ვიყავი სახლში! — იწყებს ახალ ამბავს ეს დამპალი.

სასწრაფოდ ვიცვამ ჩემს ტულუპს და გარეთ გამოვდივარ, რამეზე რომ არ გამაგზავნოს, არ შეუძლია, ალბათ მოცდებდა, რამეზე რომ არ გამოშვას.

* * *

— გია, გია!

ჩემს ცოტა წინ მანქანა ჩერდება, ვილაყა ხელს იქნევს.

— გია!

მანქანას ვუახლოვდები, რომელშიც ახალგაზრდა გოგო ზის, დიდი სათვალე უკეთია, სახეს თითქმის უფარავს.

— ვერ მიცანი?

— ვერა.

სათვალეს იხსნის.

— ნანა?

მეტირებოდა არ მიცანი! დევექვე ვეშევიძლება გაჩერება. გინჯინქვეთება ვკვდები, მანქანა ადგილიდან იძვრება.

— როგორ გამოცვლილხარ, ნანა! — ვეუბნები და ვათვლიერებ.

— კარგისკენ?

— ხო.

— გავხდი.

— პო, ვახლი.

— დედას ვაფიცებ, მართლა გავხდი?

— დედას გეფიცები.

„გამორიკვალე, ოდნავ ვახლი, კიდევ გამაღლდი“.

— დაიწყე?

— არა, კაცო.

— მართალი მითხარი რა?

— რა?

— გავხდი?

ძალიან-შეთქი, ხო ვითხარი.

— რამდენი ხანი არ მინახიხარ.

— ერთი ექვსი თვე იქნება.

— რატომ დამივიწყე?

— რა ვიცი.

— შეეყვარებულე ხომ არა ხარ?

— არა.

— შენ?

— არც მე.

— მანქანა როდის იყიდე?

მე რას ვიყიდდი.

— ხო, როგორც არი.

— სამი თვეა გამომიყვანა შამაჩე-მმა.

— მშვიდობაში!

— მადლობთ.

— რა ჩაქინსული ხარ.

— ძალიან.

— უკვე გული მერევა ამ ქინსებზე.

— რა კომპლიმენტი!

— პალტოც ქინსი არის?

— ხო.

— პერანგიც და შარვალიც?

— დიახ, ბატონო.

— რო გავხადო და ლიფიც ქინსის გეცვას, არ გამოვიჩრდება.

ნანა პერანგს იხსნის, იქიდან კარგად ნაცნობ და სავსე ძუძუებზე ქინსის ლიფი მილიძის.

— როგორვეს გვეცინება, და მე—მინდება ნანა.

— სად მივიყვანო?

— ლენინის ქუჩაზე, სამედიცინო ბიბლიოთეკა რომ არის, — ვპასუხობ გულდაწვევით.

— მედიცინაში გადაიკერი?

— არა, საქმე მაქვს.

— ხედავ, ვერც მიცანი.

— რას გიცნობდი, სათვალეში, ჭინსებში და მანქანაში.

— მე კიდევ მეგონა, გავლამაზდი.

— ღუბლიონკაც გექნება, შენ!

— კი, რა იყო?

— რატომ არ გაცვია?

— მცხელა მანქანაში.

— კაპიშონიან ღუბლიონკაცს ერთოთახიან ლოჯიან ბინაში ცვლის ჩემი ერთი ნაცნობი.

— გავიცინო?

— როგორც გინდა.

— ჭინსის პალტოს გაცვლაც შეიძლება, ოღონდ ულოჯოში.

— რად მინდა, იცი, რა ოთახი მაქვს.

— ცალკე?

— ზო.

— საიდან?

— იქიდან.

— მით უმეტეს.

— რა?

— წამოიყვანე.

— სადა?

— იმ შენს ერთოთახიანში.

— გინდა? — მიცინის ნანა.

მინდება.

— მე კი შენი ოთახი შენატრება.

— წამოდი.

— არა.

— რატომ?

— ექვსი თვე არც ისე პატარა დროა.

— როგორც გინდა.

— შენ რა უხეშიც იყავი, ისეთი და—რჩენილხარ.

— აბა, რა გამომცვლიდა.

— შენ, არაფერი.

— აი აქ, მარჯვნივ.

— ვიცი.

მანქანა ჩერდება, მე ვადმოვდივარ,

ისე კი ძალიან მინდა ნანა. მართლაც, ერთხელ რატომ არ დავრეკავ—

— გმადლობთ.

— არაფრის.

— თუ გინდა, დაგელოდები, ბრუნდები სამსახურში?

— ზო, ვბრუნდები, — მიხარია მე.

— დროზე გამოდი.

მე ბიბლიოთეკაში შევბრბივარ და უცებ იმაზე ვიკერ თავს, რომ ქალს ვგავარ ძალიან; მანქანით მომიყვანვს, დამელოდებიან და დარწმუნებული ვარ ერთოთახიან ბინასაც დამათვალისრუბინებენ. რა ადვილად შეიძლება კაცის შეცდენა.

— ქალბატონი ლამარა მინდოდა!

— აქეთ ვარ, გენაცვალე.

მივდივარ იქით, სადაც „გენაცვალე ზის“. „გენაცვალე“ და კიდევ ორი, ალბათ ისინიც „გენაცვალე“, პატარა მაგიდასთან სხედან და ყაყაყს სუამენ, ერთ-ერთი ქსოვასაც ახერხებს პარალელურად, მოკლე კაბიდან ფეხები მთლიანად მოუჩანს. ეს კიდევ რამეს მოახერხებდა პარალელურად.

— ერთი კაბა მოიტანა გუშინ ნანამ გასაყიდად. ქუედიდან შეიშლებოდი, — ამბობს მოხერხებულად.

— იყიდე? — ეკითხება მეორე.

— არა, პატარა მჭონდა.

— მომკლა ოთარიმ, ამბობს მირიანოვიჩის ცოლი. — ერთი კვირის წინ კიდევ კაბა მომიტანა, მე ვუთხარი, ოთარი, რა არის უოველ კვირას ახალი კაბა უნდა მომიტანო—თქვა.

— მერე! — ეკითხება მოხერხებულად.

— რა მერე, გოგო, ევილე, აბა რას ვიზამდი. ასე მოხარა, რა გენაღვლედა, ეილე, რა, ვთხოვს რამესო. რა იყო, გიას ვენაცვალე?

— მირიანოვიჩმა, ექვს საათზე შშობელთა კრებათ, მე ვერ მივდივარ და თქვენ წადითო.

— დედაა, გიას ვენაცვალე. მე რაფრა წავალ, სამსახურის მერე კრების თავი შექნება კიდევ?

„ნაღდად მე მიპირებს კრებაზე გამგებას“.

— იმისთანა დუბლიონკა უყვიდა მერის ქმარმა, შეიშლები, — ამბობს მობერებულნი.

— როდის? — ეკითხება ჩემი „გენაცვალე“.

— გუშინწინ, თუ იმის წინ.

— სად იშოვა, გოგო?

— ებრაელებში.

— რამდენი მიუცია?

— ორი.

— კარგად უშოვნია კადე, ბედი უნდა ყველაფერს, მერი დაგლაბებული რომ გამახსენდება სკოლაში, ჩემი გამონაცვალით რომ დადიოდა!

— დაგლაბებული ემაზე შენ და...

— მაგ თქვი, გოგო, მაგ თქვა. ბედი, ბედი.

— მე რა ვქნა? — ვერევი საუბარში.

— ასე უთხარი, ნუ იზამ მაგას ოთარი, შენ წადი-თქვა.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, გენაცვალე.

„შენც გენაცვალე“.

— მოათავე შენი საქმე? — მეკითხება ნანა.

— ზო, — დიდი საქმიანით ვპასუხობ, — წავედით.

ნანა მაგნიტოფონს რთავს.

— სადაურია? — ვიცი, რომ ზრდილობის გულისთვის უნდა ვიკითხო.

— ფილიპსია.

არ ვცდები.

— ნუ ნევერ გივ მი იორ მანი... — მღერია მაგნიტოფონში.

— „შენ შე ფულს არასოდეს მამლე“ — ყვება ნანა ქართულად — „ეს მხოლოდ სასაცილო ქაღალდები არის“, — აგრძელებს.

— ინგლისური იცოდი, თუ ეხლა ისწავლე?

— დაიწყე?

— არა, ნაღდად მემალეები, „მე ზომ შენთვის არაფერი მომიცია“.

— კარგი, რა, გაა.

— კარგი.

— კარგი კი არა, კარგი.

— კარგი.

— სამსახურში?

— ზო.

გუნებაში სიმღერას ვყვები, მერე ხელს მუხლზე ვირტყამ და ნანას ვიხსენებ ლოგინში. უკუდი ნაღდად არ იყო.

— წავედით, — ვეუბნები.

— საად?

— შენთან.

— რა გვინდა ჩემთან?

— აი იმ ახალ ბინაში.

— რა გვინდა?

— მაინტერესებს როგორ მოაწყვედდას გეფიციები, რა სისულელეა.

— წავედით?

— ზო, ვნახოთ როგორ ცხოვრობ, თანაც ასე მანქანაში ვერ გელაპარაკები. რომელი სართულია?

— მეოთხე.

— მაგნიტოფონი გაქვს?

— კი.

— ყავა?

— ყავაც.

— დამალევიწიე, რა. მომენატრა შენი გაკეთებული.

— რომელი საათია?

— თორმეტი. ერთი თხუთმეტი წუთით ავიდეთ, ყავა დავლიოთ. მოვესმინოთ რამეს, თანაც სამსახურში არ მიხდა მისვლა.

„ხურავენ ქალები ასეთ შემთხვევებში. თავიანთი სასაცილო თავმოყვარეობის თუ ამპარტანობის შესანარჩუნებლად მთავარია დარწმუნდნენ, რომ შენ გგონია, რომ ტყუვდება. ისე ორივე მხარემ ძალიან კარგად იცის ყველაფერი, მაგრამ ქალი მაინც ჩაეკიდება ამ აზრს: „გონია მატყუებს“.

მანქანა რეასართულიან სახლთან ჩერდება.

— მოვედით, — ვეუბნება ნანა და ჩანთაში ალბათ გასაღებს ეძებს.

— მაგნიტოფონს ტოვებ?

— ზო.

— არ გეშინია, რომ მოიპარონ?

— დღე როგორ მოიპარავენ?

— მაგნიტოფონი კი არა, ჩემი მეზობელია ერთი ქვარცხავა. რაიკომის



მდივანი, ის მოიპარეს თვითონ დღი-სით, მზისით.

— მანქანას კეტავს.

— გადმოვხედავ ხოლმე, თანაც ხომ უნდა ჩამოვიდეთ.

— ზო, აბა რა?

მოვისვენე და ახლა ვნანობ, იმიტომ, რომ ძალიან მეზარება მერე ყველაფერი.

— ძალიან გავხდი, არა?

— ზო, ჩაცმულზე ისე არ გეტყობა, მართლა გამხდარხარ.

— აბა, ყავა დამაღვივინეო...

— მოგატყუე.

— შენ სულ მატყუებ, კარგი იყო?

— ძალიან.

„რა იდიოტური კითხვის დასმა შეუძლიათ, საიდან მოუვათ თავში“.

— მომიკიდე, რა.

სანთებელს იღებს ტახტის გვერდით მდგარ პატარა მავიდიდან.

„უნდა ვკითხო სადაურია, თორემ ეწყინება“.

— რა კარგი „ზაფიგალკაა“, სადაურია?

— იაპონური, ვეცამ მაჩუქა.

— ვაჟა ვინ არის?

— ეკვიანობ?

„ნეტა მართლა ვეკვიანობდე“.

— ზო.

— ერთია, არ იცნობ.

— ძალიან კარგი „ზაფიგალკა“.

— ზო, არა უჭირს რა, იაპონიაშია ნაყიდი.

— შიგ იაპონიაში?

— დაიწყე?

— არა, ხომ შეიძლება კურილის კუნძულებზეც ეყიდათ.

— შეიძლება.

ორივენი ჩუმად ვართ. რა კარგია ასე ჩუმად.

— არა და, მე მიყვარდი, გია.

„დაიწყო“.

— მეც.

— ნუ იტყუები, შენ არასოდეს არ გვევარებივარ.

— რატო გგონია?

— ვიცი.

— კიდევ ვინ გიყვარდა?

— მაშინაც ხომ გითხარი, არ ვიცი.

მეთქი.

— ზო, ზო, გამახსენდა.

— რატომ არ დამირეკე, ამ ექვსი თვის განმავლობაში?

— რემონტი მქონდა სახლში.

— მერე დარეკვის დრო ვერ გამო-ნახე?

— რა ვიცი.

— დამირეკე?

— აბა, რა.

თითს ჩემს მხარს აყოლებს.

— საშინელებაა ცალმხრივი სიყვარული.

— ვითომ ახლაც გიყვარვარ?

— ახლა ისე აღარა. ხომ მიყვარდი?

— კი.

— ჩემი პატარა ბიჭი.

— ზღაპარს არ მომიყვები?

— რაა?

— ზღაპარს. აი ასე. მითხარი, მე შენ ლამაზ ზღაპარს მოგაყვები, გია, და სულ დახურავ.

— ვერ გავიგე, რას მეუბნები.

— არაფერი, არაფერი. რა კარგი თმა გაქვს.

მართლა კარგი თმა აქვს, არც ისე არ არის ცუდი გოგო. მაგრამ ვერაფრით შევიყვარე.

— კარგი ლიფია, არა გია?

— ძალიან.

— ზო გავხდი.

— ოხ, ძალიან, ნანა, ძალიან, მიდი და შეგიყვარდეს, ეხლა“.

* * *

— მე არ შემიძლიაო, მირიანოვიჩ, თქვენმა მეუღლემ, თქვენ წადითო.

— ასე ვითხრა?

— კი.

— ის წავიდესო?

— ის წავიდესო.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— ის წავიდესო?

— ის წავიდესო, — „ზომ არ მაშა-



ყირებს ეს შობელძალი, თუმცა სადა აქვს მაგის თავი“.

— გადამრევს ეს ქალი!

— ნაღდაღ.

— რაა?

— არაფერი.

— გადამრევს მე შენ გეუბნები.

თანხმობის ნიშნად თავს ვბრია.

— ქალები საერთოდ ამას გვანან, ა... — ბატონ კოკის სუფთა ფურცელზე უზარმაზარი X გამოჰყავს.

„ესენი მე მართლა გადამრევენ“, მაგიდის უჯრიდან წიგნს ვიღებ, პოლიტეკონომიის არსი, ღირებულების შესახებ. ერთი კაპიკის ღირებულების საქმეს არ აკეთებს აქ არცერთი, ჩემგან დაწყებული. არა, მირიანოვიჩი აკეთებს. მირიანოვიჩი დიდი ღირებულების საქმეებს აკეთებს.

— წადი, ბიჭო, წყალი მომიტანე! — ეს რასაკვირველია მე მეხება.

„შენი დედა ვატირე. რას ვერჩი საწყალ დედამისს, თავისი არ ეყოფა“?

— გესმის, წყალი მომიტანე-თქვა!

— მე მოგიტან, — ეხვეწება უშანგი.

— იჯექი შენ მანდი!

მე ვდგები, რომ წყალი მოვიტანო. დერეფანში, სადაც ონკანია, უფრო ცივა. წყალი ჭიქით მომაქვს და ძალიან მინდა რომ ჩავუფურთხო. რატომ არ ვუფურთხებ, აზრზე არა ვარ. პოლიტეკონომიის წიგნი ერთ გვერდზე გადაშლილი იყინება.

— კრებაა დღეს და აუცილებლად დღესწარიტ, გეიგეთ? — ამბობს მირიანოვიჩი და წყლით დასველებულ, ქრონიკულ ქონიანობაში მყოფ ტუჩებს ჩაპუტყუნებული ხელით იწმენდს.

— რა კრებაა, მირიანოვიჩ? — ეკითხება უშანგი და სკამიდან იწევა. როდესაც მირიანოვიჩს მიმართავს, ყოველთვის წამოიწევა ხოლმე სკამიდან. რაც მირიანოვიჩისადმი, როგორც პიროვნებისადმი, მის დიდ სიყვარულსა და ქედმოხრას ადასტურებს.

— რა და ადგილკომის, ხო იცი, შენ ბატონებს ეს ადგილკომი.

— რომელ საათზე მირიანოვიჩ?

— ორზე.

— ხომ არ წაგვესაუბროს შენს შესახებ?

— არა, კაცო, კი ვიცი, მაგ საუბრეს რა მოყვება, — თავს იფასებს მირიანოვიჩი.

— არაფერი, ძალიან ვთხოვ, მირიანოვიჩ, წვეისაუზნოთ მხოლოდ.

— ხო იცი რაც მოყვება, — დაღევა უნდა ამ ნაძირალას.

— მოყვეს მერე, ერთი ბოთლი რას გეიზამს.

— კაი, ჯანდაბას შენი თავი.

ოთახიდან გადიან.

— შენ არ გახვიდე, ბიჭო, ოთახიდან, გეიგე? — მეუბნება მე.

— გავიგე.

— თუ შეკითხავს ვინმე, სამინისტროში-თქვა უთხარი.

— ცეკაშია-მეთქი, ვეტყვი, არა ჭობია?

— არა, ცეკა ნამეტანია.

— კარგი, აბა!

— ფეხი არ გაადგა.

ფანჯრიდან ვხედავ როგორ მიდის ორი მძორი ქუჩაში. მარჯვენა ხელს ზევით ეწევ, საჩვენებელ თითსაც ვშლი, თითქოს იარაღი მიჭირავს ხელში, ვუმიზნებ ნაძირალას თავს. ცოტაც და ჩაბნახს გამოვყრავ და მოვკლავ. ამ დროს იხედება ფანჯრისკენ ის შობელძალი, რა იყოთ, გაკვირვებული, ხელით მანიშნებს. სასწრაფოდ დაბლა ვწეე მარჯვენას, თითქოს მართლა მკვლელობის მცდელობის ფაქტზე წამასწრესო, არაფერი, ვანიშნებ მარცხენა ხელით, არაფერი.

— ცივა, — მეუბნება ბატონი კოკი. ისიც ფანჯრიდან ქუჩას გაპყურებს, — სამიანებივით არ მიდიან?

— კი.

— ვხედავ შენს სიძულვილს ამ ნაძირალასადმი და არ მიკვირს. შენც ნუ გაგაკვირდებია, ის რომ ასეთი ქონიანი და ბინძური შეიძლება მილიონივით, მაგან თავის ობოლ დისშვილებს სახლკარი წაართვა და სკლეროზიანი დედა ფსიქიატრიულში მოათავსა, რა უნდა გაგაკვირდეს მაგისგან.



— მიკითხა, ბიჭო, ვინმემ? — ისეთი დაბრუკიანებული თვალები ჰქონდა მირიანოვიჩს. უცხო კაცი იფიქრებდა, რა მორცხვია, თვალს თვალში ვერ მისწორებდა.

- არავის არ ვუკითხივარ?
- ეკო ბატონო, როგორ ხარ? როგორ? — ყარგ ხასიათზე იყო კრეტინი.
- ოცდაჩვიდმეტში რომ ვიყავი ისე, შენ ხარ ჩემი ბატონი.
- რაფრა მაინც...
- ბოდიში და ფალარათი მაქვს სულ.
- მაგ არაა ყარგი.
- მეც ვიცი, რომ არაა, რალაცამ მაწყინა.
- ესე იგი კრებას ვერ დაესწრები.
- თუ არ შევრცხები, კი.
- შენ ფეხი არ გაადგა, ბიჭო, გეიგე?
- გავრგა.

— ამხანაგებო! — დაიწყო სააქტო დარბაზში ტრიბუნაზე ასულმა მირიანოვიჩმა. ამხანაგები უაზრო თვალებით აშტერდებოან. მირიანოვიჩი ერთგულად მიყვება ჩემს მიერ დაწერილ ანგარიშს; თუ რა გააკეთა წლის განმავლობაში, რამდენი აითვისა ადგილკომმა არსებული თანხიდან, რამდენი საგზური დაურიგა ნათესაეებს და რა ყარგი კაცია, საერთოდ.

- შეკითხვები გაქვთ?
- არა! — პასუხობს კრება.
- მაშინ გადავიდეთ დისციპლინის საკითხზე. — ამბობს მირიანოვიჩი.
- გადავიდეთ. — ეთანხმება კრება.
- ამხანაგებო, — იწყებს მირიანოვიჩი და თვალს თვალში უყრის ინსტიტუტის დირექტორს, — ამ ბოლო დროს ჩვენთან ინსტიტუტში შეიმჩნევა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მაგალითად, გუშინ წინ ლაშა ჭკადუა ნასყამ მდგომარეობაში გამოცხადდა სამსახურში. — უტიფრად ამბობს ლაშაზე თვითონ გახეული მთვრალი.
- ბატონო დირექტორო, — ლაშა პირდაპირ დირექტორს მიმართავს, —

მე ნასვამი არ ვყოფილვარ. პახმელია ვიყავი.

— მითუმეტეს, ამხანაგო ლაშა, გრცხვენიათ. პახმელიაზე რომ ინსტიტუტში ცხადდებით. — არცხვენს მირიანოვიჩი თან ამოყინებს.

— სწორია მირიანოვიჩი, — იძახის ვილაცა. — არ გრცხვენია ლაშა? ჭერ დაგელოა ცოტა და მერე მოსულიყავი.

— ეს სახუმარო ამბავი არაა, ამხანაგებო. — აგრძელებს კრეტინი და ისევ დირექტორს უყურებს. უკანასკნელი ყვინთავს.

— არ ვიყავი ნასვამი, პახმელიაზე ვიყავი. — არ ეშვება ლაშა.

— არ უნდა მოვიდეს მეცნიერმუშაიკი სამსახურში პახმელიაზე.

— არავინ არ ივლის მაშინ, — პასუხობს ლაშა.

— მოკლედ, ეს არ უნდა განმეორდეს. კოდევ შეტს ვიტყვი, ყველამ იცის, ალბათ, ერთი თვის წინ როგორ გაიპარა ჩვენი ორი თანამშრომელი.

— მოკლენენ? — ვილაცა კითხულობს, ნალდად კაეფშია.

— არა, ამხანაგებო, გაიპარნენ, ვეა თოფურიათ ცოლად მოიყვანა რუსიკო მახარაძე, ოლონდ დირექტოა არ გააფრთხილა, ისე გაიპარნენ ბათუმში.

— მაგათ დირექტოა კი არა, მშობლები არ გაუფრთხილებიათ; ბატონო, — ეშველება ვილაცა გაპარულებს.

— თოფურია ადექი. თოფურია დგება.

— მეორედ არ გაიმეოროთ ასეთი რამ, გასაგებია?

— გასაგებია. — იგებს ბათუმიდან ახალ დაბრუნებული თოფურია.

მირიანოვიჩი კმაყოფილი სახით უყურებს დირექტორს.

— კოდევ შეტს ვიტყვი. — აგრძელებს, — ჩვენთან ბუფეტში ჩუმად იყიდება არაყი.

— მაგას ვერ დავიჭერებ. — იძახის ლაშა.

— მე თქვენ გეუბნებით, ჩვენთან ბუფეტში ჩუმად როზა ყოდის არაყს გე-

დაქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ჩესხუბ.



კითხვებით, შეიძლება არაყი ინსტიტუტში?

პასუხს არაყინ სცემს.

მირიანოვიჩს ეტყობა, არაყზე ლაპარაკი უნდა და კითხვას იმეორებს:

— არა, შეიძლება არაყი ინსტიტუტში?

— კონიაკი ჭობია, რასაკვირველია, — ამბობს ლაშა.

— მე არ ვხუმრობ, არაყი ინსტიტუტში არ შეიძლება, — ბრძნულად ასკვნის მირიანოვიჩი.

— კიდევ დავამატებ, ტაბელს არ ატრიალებს ნახევარი ინსტიტუტი, ამხანაგებო!

— რა მნიშვნელობა აქვს, სამაგიეროდ მთელ ტაბელს მეორე ნახევარი ატრიალებს, — იძახის ვილაცა.

— ესეც უნდა აღიკვეთოს, გააღვიძე, ბიჭო, რომ გიზის გვერდით, — მე მუუბნება მეზობელზე.

— ძინავს მირიანოვიჩ, — მე ვეუბნები.

— როგორ შეიძლება მერე კრებაზე ძილი, კაცო!

— მაგას აქ კი არა, მინისტრის მოადგილე რომ იყო, ბიუროზეც ეძინა და იმიტომ გამოავდეს იქიდან, — ყვირის ერთი.

— იქ, ბიჭო, ყველას ეძინა, რას ერჩოდნენ ამ კაცს, — იცავს მეორე.

— მართალია, ყველას ეძინა, მაგრამ მაგი ხერხაედა ძილში.

— გააღვიძეთ, რომ გეუბნებიან.

— ცოდოა, მირიანოვიჩ.

ის იღვიძებს.

— და ბოლოს, ყველამ ვიციტ რა საშარცხვინო ფაქტიც მოხდა ჩვენს ინსტიტუტში ამ ბოლო დროს, ისიც ვიციტ, რომ ღამნაშავე დაპატიმრებულია,

— კიდევ დავამატებ...

— ერთად თქვი, შე კაცო, — იძახის ვილაცა.

— ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს ჭანსალი ატმოსფერო შემოიჭრა, თუმცა კიდევ არიან ზოგიერთები, რომლებიც ძველებურ ცხოვრების წესს ვერ შეეღივნ. უტ-

ყუარი ცნობებიდან ვიციტ, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ვინც ვერც ვიციტ, მათგან, მოაწყო რა ინსტიტუტში ერთი ამხანაგი, მისგან ფასიანი საჩუქარი მიიღო.

მე მირიანოვიჩის თავხედობისაგან პირი მიშრება. არც ისე მთვრალია, თავის თავზე რომ თქვას.

დირექტორი მაგიდაზე არტყამს ხელს.

— დაუშვებელია! — ყვირის.

— დასახელე! — ყვირის ყველა.

— მოვა დრო და დავასახელებ, — ამშვიდებს ხალხს მირიანოვიჩი.

„დასახელებ და კარგ დროსაც გაატარებ, შე ნაძირალო“.

— და ბოლოს, ჩვენს ინსტიტუტში საშინელება მოხდა, ეს ყველამ ვიციტ. ის დაპატიმრებულია.

— ვინ? კითხულობს ხალხი.

— ვინ და თენგიზ ტვილდიანი!

— რატომ, — არ ცხრება კრება.

— თენგიზ ტვილდიანმა გააუპატიურა ადრე ჩვენი თანამშრომელი და ქალიშვილი, აწ გაუპატიურებული ნანა სართანია.

— რა ექნა, აბა, არ დანებდა და...!

— ყვირიან უქნიდან.

— კი ქონია გემოვნება.

— მეც არ დავიწუნებდი მაგას.

— რა ეგონა აბა, იმსიმოკლე კაბაში რომ დადიოდა.

— თენგიზა თუ გაგიედა, ჩვენს დირექტორსაც გააუპატიურებს.

— რაო მერე ნანაიამ.

— ნანაიამ უჩივლა და, აუპატიუროს ახლა იქ ვინმე, თუ ბიჭია.

— დაიწუნა, აბა?

— შევეარცხვინე, თენგიზა.

— სად გააუპატიურა მანინც.

— ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

— ბიბლიოთეკაში რა უნდოდა.

— „კაპიტალს“ კითხულობდა თურმე და აღევზნო.

— სიჩუმე, ამხანაგებო!

მირიანოვიჩმა კიკაშა წყალი ჩაასხა, ხელში აიღო, — მე მინდა, ამხანაგებო, ამით, — ცოტახანს გაჩუმდა, —



დავამთავრო, ვინმეს თუ გაქვთ, რამე წინადადება?

— მე მაქვს, მირიანოვიჩი! — წამოდგა ბატონი კოკი.

— თქვით, ამხანაგო კოკი!

— გავალ, თუ შეიძლება!

— მიბრძანდით.

— ესე იგი, სხვას არა აქვს წინადადება!

წინადადება არავის ჰქონდა.

— მაშინ ეს საკითხიც ამოწურულად ჩავთვალოთ. ახლა, ამხანაგებო, ჩვენს სტუმარს მოვეუსმინოთ, ამხანაგ ვენერა სალიას, რომელიც წაგვიკითხავს ლექსებს თემაზე „ვენერიული დაავადება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ბერძენები“.

— ინსტიტუტია თუ ბორდელი, რა არის ეს ბოლოსდაბოლოს! — ვიღაცა გამოთქვამს უკმაყოფილებას.

— რა დროს ლექსია ადგილკომის კრებაზე, — იძახის მეორე.

— დავწყნარდეთ, ამხანაგებო, არ ჯობია ერთ დღეში რომ გამოვიდეთ? სიტყვა ეძლევა ამხანაგ ვენერა სალიას, — აცხადებს მირიანოვიჩი და სალია ცელის მის ადგილს.

— ამხანაგებო, — იწყებს ის, — რა იწვევს ვენერიულ დაავადებას? — გვეკითხება და ეტყობა საშინლად კმაყოფილია თავისივე შეკითხვით, რასაც მისი კარგახნის პაუზა ადასტურებს.

— წერა!

— წლიური თემა! — იძახიან ყოველი მხრიდან.

— შრომისუნარიანობა.

— მეგობრის ზედმეტი სიყვარული!

— ურთიერთგაგება!

— საერთოდ გაგება.

— სქესობრივი კავშირი.

— მართალია, ბატონებო სწორედ რომ ურთიერთობა და სქესობრივი კავშირი იწვევს ვენერიულ დაავადებებს ხშირ შემთხვევაში, — უხარია სალიას.

— კავშირი და ურთიერთობა ერთი ვიცი მე, სქესობრივი, სხვა რა ურთიერთობაა კიდო, ერთი ვიცი და ესე იგი ათმანგო მაქვს, ცხარობს ქალარა-

გარეული კაცი უკანა რიგიდან.

— დაწყნარდით, ამხანაგებო, თვის არავის უკადრებია ათმანგო გაქვთო.

ამხანაგი სალია, დიდხანს ხსნიდა ვენერიული სენის მიზეზებს, კეუას არიგებდა ხალხს, თუ როგორ უნდა აეცოლებინათ ეს ამბავი თავიდან. ბოლოს ისე შეიკრა როლში, თავისი ამბავიც მოკეა, კინალამ რომ შეცდა ერთხელ, მაგრამ როგორ დროულად უშველა თავს და დაიოჯა გარძობები...

— ასეა, ჩემო გია, ასე, ხომ ხედავ ან რა კრება იყო, ან თვითონ როგორ გამოიყურებოდნენ.

— დიახ! — ვპასუვობ ისე, რომ არც გამივიდა ბატონი კოკის ნათქვამი.

ქუჩას მივუყვებოდით ორივე სამსახურის შემდეგ, ბნელდებოდა, ცოდა.

* * *

როგორა ხარო, — ჰკითხეს და არა მივირს რაო, — უბასუბა, ძალიან უსინდისო კითხვა დაუსვეს, ისევე უბასუბა, რამდენჯერ დაუსვამთ ასეთი კითხვა მისთვის, იმასაც რამდენჯერ შეუკითხავს სხვისთვის და არც არასდროს უფიქრია მერე ამაზე. ახლა დაფიქრდა მხოლოდ. ახლა, როდესაც მარტო იწვა თავის ოთახში მწვეანე ტახტზე, რომელსაც მალე გაიტანდნენ, ძალიან მალე, ის არ იცოდა, რომ მალე გაიტანდნენ მის ტახტს და მასაც, უფრო სწორედ, ვერ ზედებოდა, ან თუ ზედებოდა თავს უმალავდა.

— თქვენ ვინა ხართ? — ახლა თვითონ იკითხა. — მარიამ, წმინდაო მარიამ! — იცნო და კედელზე რომ ღვთისმშობლის ხატი ეკიდა იმას გახედა.

— დედაო ღვთისა, მზეო მარიამ... ის... ის გალაქტიონია? იმას გაელიძა.

— ღმერთო, ეს ის კაცია, დღეს რომ მღეროდა? მთვრალი რომ იყო? როცა ჩავიარე სწორედ მაშინ იმღერა ის, ასე რომ მიყვარს, ის კაცია? — მოეჩვენა რომ იმან კვლავ გაიღმა.

— ვაიმე, ღვთისმშობელო, არ მინდა ჯერ თქვენთან, აბა არაფერი არ არსე-

ბობსო? ვინ მითხრა და ხალხმა, ვინ არ იცის, ხალხმა? არავეინ არაფერი არ იცის? არავეინ არაფერი არ იცის! ესე იგი მაინც არსებობს, თქვენ იმის ხმა გაქვთ დედაო ღეთისა... იმის... დედაჩემის, ისიცა ხართ? ჩემშიც? რა თქვით? თქვენ ყველაფერში ხართ, თქვენ ხართ ყველაფერში და არავეინ არაფერი არ იცის? არავეინ არ იცის არაფერი, ვაიმე, რა ლამაზია თქვენთან, ეს წითელი ღრუბლები, რა ხმაურია? ჩემს კანტორაში რომ ხმაურია იმას გავს, ის არის? ისინიც აქ არიან? თქვენ იმათშიც ხართ? ვაიმე, უფალო, არ მინდა ჭერ თქვენთან! ავი არაფერი არ არსებობსო? კითხეთ ვისაც გინდათ, თუ გინდათ ჩემს კანტორაში, ხალხმა არ იცის? არავეინ არაფერი არ იცის? ვაიმე უფალო, მეშინია! აი ის ლურჯი ღრუბელი... უფალო, როგორ გთხოვო! ირინეს ვაჩუქებ, მაპატიე უფალო, შენ ვის რა არ აპატიე, მეშინია, ძალიან მეშინია და არაფერი არ ვიცი, არავეინ არაფერი არ იცის, ღეთისმშობელო, სიყვარული არს თავად ღმერთი! — ბავშვობაში დედამ მითხრა, როცა მეძინა, აი მაშინ ჭონდა შენი ხმა დედაჩემს. ეს კი ვიცი, მეტი არაფერი არ ვიცი, და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი! გამასსენდა, მზეო მარიამ, ჩემთან არს ღმერთი, უფალო მიშველე! ჩვენთან არს ღმერთი? მაინც მეშინია ყველაფრის, მე არ მინდა შორეულში პატიმრად ირინასთან ერთად! მაშინ? ახალგაზრდა ვიყავი, სულელი, რაზე არ მიოცნებია, არ მინდა, მაპატიე უფალო, შენ ვის რა არ აპატიე, მარტო მეშინია, ირინე ცოდოა, კანტორაში? უკან? არა, შორეულში მირჩევნია მარტო, ირინე ცოდოა, მაპატიე უფალო ჩემი ოცნება, შენ ვის რა არ აპატიე, არ მინდა უკან, რა ხდება? რა დასაშინელება, დილით კარებს ვერ ვაღებ, მერე ბატონი ევგენი მხვდება, აი ის, ქალაქნებით რომ ჩამოვიდა სოფლიდან და ახლა პროფესორი რაა, მერე ის კანტორა, ბნელი, ნესტიანი, ცივი, უფროსი — გეცოდინება უფალო, სამინისტროში დადივარ

ყოველდღე და მირიანოვიჩის ქალაქები დამაქვს, ის ქალაქებიც დიდი, მაგრამ ხომ ვერ ვიტყვი, მერე სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე, აღარ შემიძლია, არავეინ არაფრად გთვლის, არაფერი არა ხარ, გაგაგზავნიან აქეთ-იქით, სადაც, მართლა არავეინ არაფერი არ იცის, ღეთისმშობელო! „შენ, გია ბაქრაძე გეყო წვალება, დღეის შემდეგ შენ წაბვალ კუნძულ...“ მაპატიე უფალო, შენ მიშველე მზეო მარიამ, ველარ ვიმეორებ... ეზომ-საზე? ეზომსაზე, შენ, გია ბაქრაძე, იმდენი გითმენია, მოგვიოცებია სული შენი“. გარშემო ზღვას ვხვდებ, დედაო მარიამ თეთრი გემები, ეს სახელო... ეს კოშკი... ეს ეზომსაა?“ შენ, გია ბაქრაძე, ეძიებდე და კპოებდე საბადოს, არა სამსახური, არა მანეთიანი მაგიდაზე, არა სამინისტრო და არა უფროსი, არა ერთი და იგივე, იყავ თავისუფალი მიწასა და ზღვაზე, ეძიებდე საბადოს ცოდვილ შვილთათვის“. მეშინია ღეთისმშობელო, მზეო მარიამ, მეშინია, უფალო, მეშინია, ირინე! უფალო, შენი სახელის ჭირიმე, ირინე! ოცნებაო, ჩემო! ოცნებაო ჩემო! უფალო! რითი დავიმსახურე! ხალხმა იცის? არავეინ არაფერი იცის! არავეინ, არაფერი, არავეინ არაფერი არ იცის, ნახე რა ტყეა, ირინე, მაკოცე კიდევ, აი, იმ წყაროსთან იქნება საბადო, მთელ ქვეყანას რომ უშველის, ან კიდევ იმასთან, თუმცა ვიყოთ აქ და ვეძებოთ, ეს კოშკი ჩვენია, ხომ იცი, ირინე, ირინე, ის მწვანე კაბა გაცვია მე რომ ასე მიყვარდა, ნახე რა ცაა, შეხედე.

* * *

— დედა, დედა, გია, დედა, არ დაგავიანდეს!

„ვაიმე“ — გაიფიქრა გიამ და.

— გია, მთელი დილა ირინეს სახელს იძახი, ადექ, დედა, საკმელო მაცოცხარშია, მანეთი მაგიდაზე დევს, ვახი არ დაგჩრჩეს ჩართული, ისაუბრე, პური წამოიღე, რა წამოხვალ...



— თბილად ხარ, აი, — უთხრა გამ-
ყიდველმა. გიამ უურადლება რომ არ
მიაქცია. გვერდით მდგომს ჰკითხა, რა
მოუვიდაო.

ქუჩაში ნაცნობი გოგო გარბოდა და
ეწეინა. გიამ რომ არ გააყოლა თვალი.

— გია, ერთი ოცდაათი კაპიკი გექ-
ნება? ვაა? — გაუკვირდა მიშას, გიამ
რომ არ შეხედა.

— გამარჯობა გია, გამარჯობა.

— ააა, ბატონო ევგენი, ჩემსკენ ახა-
ლი არაფერია თუმც ეხლა ცხოვრება
ისეთი ჩქარი ტემპით მიდის, სულ არ
იქნება გასაკვირი. ჩემსკენაც მომხდა-
რიყო რამე ახალი. თქვენ, ვიცი, ქალა-
მნებით ჩამოხვედით სოფლიდან და
ეხლა ტყავის ტუფლები გაცვიათ. მეტი
ცხოვრებაში არაფერი შეეცვლილა. ნახ-
ვამდის, — ნერვიულად თქვა გიამ.

— წუბანდელი ნამთვრალეგია, ალ-

ბათ, — გაიფიქრა ბატონმა ევგენიმ
ისე კოტა კი ეწეინა.

— უფფფ მოკვდი, მოკვდი გუშინ,
ესე იგი დავიწყეთ ჰიქებით, — უკვე
უყვებოდა უფროსი მდივანს წუბანდელ
ამბებს.

— ობ, ბიჭო, რა კარგია, რომ მოხვე-
დი, სამინისტროში უნდა წახვიდე.

— სამინისტროში არა...

— რა თქვი?

— არ წავალ.

— მთვრალი ხარ?

გია ჩუმად იღგა და ფიქრობდა.

— ხო, კოტა დავლიე გუშინ და...

— მერე რა მოხდა, შეე კაცო, მასე
არა ვარ მთელი ცხოვრება?.. აი ეს ქა-
ლადლი წაილე.

გიამ ქალადლი გამოართვა და გარეთ
გავიდა. ციოდა გარეთ, გიამ ცას ახედა
და ცრემლი გადმოუგორდა ლოყახე.



ტაგუ მიაზარიშვილი

დღესვე

როგორ დაგააჟადეთ,
როგორ დაგასწულეთ!!!
თელა არა აქვს შენს წყლულებს — ათიათასეულებს,
რომ ჩაეცქერით ურიცხვ და უსაშიშრეს იარებს,
გაფიქრებაც კი გვზაფრავს:
ხომ არ დაეგვიანეთ?!

ერთად ეკვობს ასობით მდიდარიც, ამბოკარიც:
ჩვენი დედა ჩვენივე ხელით ხომ არ მოვკალით?!

რამ, რამ არივ-დარია კალენდარი ქამთასვლის:
შემოდგომა — ზაფხულში,
გაზაფხული — ზამთარში?!

გაგანია ივლისში ბარდნის იანვარულად
იკლებს აქაურობას გრიგალების მარულა-
როგორ დაგააჟადეთ?
როგორ დაგასწულეთ?! —
ზაფრავს კითხვა თბილისელს
ტოკიოელს, სეულელს,
ზაფრავს კითხვა ჯაყარტელს,
ვაშინგტონელს, მადრიდელს...
ამინდიან ამიდებს ნატრულობენ ადრინდელს,
თუ გესურს გახდეს მოწყალე ამინდები უწყალო,
მიწას, ჩვენს დიდ დედაიკოს, დღესვე უნდა ვუწამლოფ.
დღესვე!

სანამ არ რეკავს წარღვნის ელდა-ზაფრაო,
დედის მკერდი ვიდრე არ ჭყეულა სასაფლაოდ.

სულ თან გატარებ

სულ თან გატარებ, მიედივარ სადაც
და თვით მაშინაც, რომ ვარ სულ ობლად.
მარტო არა ვარ, სიზმრად თუ ცხადად
შენთან ბკობს ჩემი მარტოსულობა.



უზარმაზარი შენი ვარამის
ზე,
ჩემს ვარამსაც მციერე შტოდ არბევს...
წამი არ არის,
წამი არ არის,
არ მივემართო მკედრად შენს სამარხებს.

მაგრამ მკედრეთიდან ვდგები უმაღვე,
რომ კვლავ ვეკვეთო დუშმანს შიმშერთით...
თავისუფლების მზის სიმბურვალე
გვიშველის მხოლოდ, თუ რამ გვიშველის.

• • •

— უმარჯვნივით, მომხვედურთათვის
გაუფლიათ თურმე მუსრი...
— ღმერთო, ღმერთო ეგ ხმა ტყბილი
გამაგონე ჩემს მამულში“.

— დაუსჯივით ყველა ტრელი,
ყველა ფლიდი, ყველა მრუში... ა

„— ღმერთო, ღმერთო ეგ ხმა ტყბილი
გამაგონე ჩემს მამულში“.

— ნეტავ მკედარი ბევრი გვყავდეს
ილიასებრ ცოცხალიო...
— ხმაო ამოდ მოსასმენო,
მტრების გული მოწყალიო.

— ხმაო ამოდ მოსასმენო,
მტრების გული მოწყალიო.

მაინც გმადლოვ

„კაფე — თესე, კაფე — თესე“ —
რომ ჩამძახი, გუგულო,
გულჩამკედარი რომ ვარ,
რა ვქნა,
როგორ ვწერო უგულოდ?!

ამინდიც რომ არ ამინდობს,
ჩაკვდა ლექსის ამინდიც.

თუმცა გული არ იჭერებს —
შენსავით მიამიტი.

მაინც გმადლოვ, კაფე-თესვის
მოსვლის დრო რომ მიუწყე...
ვდავობ. მაგრამ ის არ ვიცი:
ვის და რისთვის გავუწყებ.

საუბარი ავსულთან

რემას ახლავს ჩემი შავრა,
ვეპარები მე რემას;
შენ რად მიფრთხობ, რად გშურს ჩემი
სიზმრის ბედნიერება.

მოვახტე და მოვატარო
თობარკით თელნარი.

გავათენო სიციხიანი
ღამე გაუთენარი.

ძილშიც რომ არ გავიხარო,
ჩემს ზმანებებს დარაჯობ?!
კუზიანო, გავასწორებს
ნეტავი რა თარაზო?!

ამოდი, ამომზიანდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერდება ძალ-გულოვნება,
ბერდება შიშისფეთება,
დრო დრო რო არი, ისიც კი
ჩაჩანაქდება, ბერდება.

ბერდება თავად სიფხიზლეს,
სიკეთეს და სიბოროტეს...
ერთია, რომ არ ბერდება
და ჭაბუკია ბოლომდე,

ეგ არი თავისუფლების
ნატვრა —
ღიადზე ღიადი,
მცივა,
ვკანკალებ,
სადა ხარ?!
ამოდი, ამომზიანდი!

კვლავ ის მიხსნის

ეშმაკმა რომ დამიყენა,
ის თვალები ამიხილა
და პირველად დამანახა
მზე ამხელა,
ცა ამხელა.

სულში ავად მოფუთფუთე
ვნება უშალ გამიყინა,
ჯოჯოხეთში მიმავალი,
სამოთხის გზას გამიყენა.

ღმერთი მწყალობს,
შენც წყალობას
არ მომაკლებ თუკი არეს,
რალა მომკლავს, მკვდრეთით აღმდგარ
ჩემსავ თავის შემხედვარეს.

ეშმაგ, რომ გსურს, არასოდეს
მოვიტყევი მასე, არა.
ნუ იცინი.
კვლავ ის მიხსნის,
ვინც ამ სიბრძნეს მაზიარა.

• • •

თავთავიანთი ერქმევა საგნებს
სახელი,
ისე წავიდა საქმე,
გზებს, როგორც იქნა, ორივე ვაგნებთ,
მანდ შენ იქნები ბატონი, აქ — მე.

ორთავესთვის რომ ასე სჯობს, ამას
არ უნდა ბევრი ლარი და ხაზი.
სცადე, არ გინდა წელიწადს სამასს
ხრა ლაგამივით ბოღმა და ბრაზი.

გაქვს თავსაყრელი საქმე შენ შენი,
საქმე — მე ჩემი, საქმე — მას მისი.
მე არ შემშვენის,
არც შენ შეგშვენის,
სვა ჩემი ღვინო ჩემი სასმისით.

ნამდვილ ძმასავით მოქცევა ყოლა
ხომ უნდა სცადო,
ხომ უნდა სინჯო...
რომ ხარ,
იმნაირ მეგობრის ყოლას
სულ უმეგობროდ რომ ვიყო, მიჯობს.

პანტანო წარჩილავა

• • •

ვერა გაფაწყვეთ ბედისწერასთან,
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.
ადის ზეცამდე ჩვენი წყველა და
ვერ აღწევს ჩვენი ლოცვა ზეცამდე.

ვერ დაგაწყნარე და ვერ გიშველე,
ვერ მოვუვლინე შენს სულს მშვიდობა
წყველისგან არის ეს ქარიშხლები
და ცრემლებისგან ეს წყალდიდობა.

ო, რა სასტიკი და რა კუშტია
განკითხვის ბოლო დღეთა ზმანება.
გასკდება ერთხელ ეს ცა ბუშტივით,
ველარ დაიტევს ჩვენს მრისხანებას.

ველარ დაიტევს სიტყვებს მძვინვარეს,
ზიზღსა და კრულვას ველარ დაიტევს.
დაუნდობელო, გაუცინარო,
კაცთა მოდგმავ, მიხვალ საითყენ?...
სისხლით ეს გული რით ვერ იჭერე,
ბალღამში სანამ უნდა იწვალო,
შენ სიძულვილის გამო ისჯები,
უსიყვარულო დედამიწავ.

მაინც დავმარცხდით ბედისწერასთან,
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.
ადის ზეცამდე ჩვენი წყველა და
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე...

• • •

ვინ გაგვთოშა და ვინ განგვასხვავა,
ყველა სხვადასხვა გზას რომ მივყვებით.
ერთი ღმერთი გვყავს და სხვადასხვა
რატომღაც ჩვენი ლოცვის სიტყვები.

ვცალეცალევედებით და ვითიშებით,
ხოლო მიზეზის გვიკირს გარკვევა-
ვიშლებით, ჩემო კარგო, ვიშლებით,
ერთად გვინდა და მაინც ცალკე ვართ.

მაგრამ რა არის აქ გასაკვირი,
რომ რიჟრავის წინ უფრო გამძაფრდეს,
ჭერ ხავსიან ეელს იწმენდს საყვირი,
ჭერ მხოლოდ გუგუნს სწავლობს
დაფდაფი.

ეს განახლების არის ნიშანი
და სასწაული ათასმეერთე.
ჭერ გავიფანტოთ... ჭერ დავიშალოთ,
რომ შერე ურღვევ ტაძრად
შევერთდეთ...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოს შენსას ნუ გაუწყრები,
სამშობლოს ნულარ დაემდურები.
დაგყაყყაშებენ თავზე უძღები
ყვავები, მკაცრი საყვედურებით.

სამშობლოს შენსას შენ ნუ ემდურვი,
ახლა თუ არა ხვალ ეყვარები
და ეს ყვავებიც, ეს უბედურნი,
შენი სამშობლოს არის ყვავები.

და შეიბრაღე, რადგან ისინიც
უსაყვარლესი ცის ყვავებია.
გუნდად შეკრულნი შავი ნისლივით
სამშობლოს მზეს რომ მიხვავებთან.

მისგან შექმნილი, მისგან ნაშობი,
მისთვის წუხდი და მისთვის დარდობდი.
ქვაც რომ გესროლოს შენმა სამშობლომ,
გულში ჩაიკარ ის ქვაც მადლობით.

რატომღა გიკვირს, ყრუს არ ესმოდეს,
ბრმა ვერ არჩევდეს სწორსა და
მრუდეს.
სამშობლო შენი ლაფს რომ გესროდეს,
შენ მაინც უნდა მორჩილად დუმდე.

სძლიე შიშსა და სძლიე ლაჩრობას
და შეუშვირე ცხელ ტყვიას მკერდი.
დღეს შეიძლება მოგკლას სამშობლომ,
მაგრამ ხვალ იგი აღგადგენს
მკედრებით.

თუ მართალი ხარ
და შენს საფლაგზე

შენს ცოცხალ ძეგლად თვითონ დადგება.
ხვალ მოგინატრებს, ხვალ დაგაფასებს
და არ გჭირდება სხვა გამართლება.

სიტყვით თუ ლექსით როცა მიმართავ
სამშობლოს სოფლებს, დაბა-ქალაქებს,
დაე, ჩაგჭოლონ, ოღონდ სიმართლე,
მხოლოდ სიმართლე ილაპარაკე.

დიდების დაფნა დღეს ნუ გწყურია
ფასად ქლესობის, ლიქნის, სიცრუის.
უთხარი უგნურს რომ უგნურია,
უწოდე ბრიყვს და ბინძურს ბინძური.

ქვეიანი ქვეყნად მუდამ ცოტაა,
უგნური ქვეყნად მუდამ ბევრია.
სამართლისოდ შენ ხარ ცოდვილი,
უგნურებისთვის თუ გიმღერია.

ვერას უშველის ტვინი კიანი,
ზღუდე მამულის როცა იქცევა
და სჯობს მადლობა ერთი ქვეიანის
ათასი ბრიყვის თაყვანისცემას.

თუნდაც რომ დარჩეს შენი ნათქვამი
უდაბნოს შინა ხმად მოლაღადედ,
სამშობლოს შენსას უთხარ მართალი,
რომ ბრბო ამალდდეს ბრბოდან
ხალხამდე.

მისგან შექმნილი, მისგან ნაშობი,
მისთვის წუხდი და მისთვის დაობდი.
ქვაც რომ გესროლოს შენმა სამშობლომ,
გულში ჩაიკარ ის ქვაც მადლობით.

მოიქცა ეამი და კვლავ მიიქცა,
დაინგრა ძველი საყდრის კედლები.
როდესაც წაველ და დაგივიწყებ
შენ მხოლოდ მაშინ გაგახსენდები.

რაც დღემდე მოხდა, იყო სიცრუე —
ერთურთს ეძებდნენ ბნელში ლანდები.

როდესაც წაველ და შეგიძლებ,
შენ მხოლოდ მაშინ შეგიყვარდები.

გვიან თენდება, აღრე ბინდდება,
იმოსებიან შავად ბორცვები.
როდეს წაველ და მოგიკვდება,
შენ მხოლოდ მაშინ გაგიცოცხლებდი...



• • •

ამოიძახე: სიყვარული!

ამოიძახე: თავისუფლება!

ამოიძახე: სინათლე!

ისწავლე, ისწავლე სიტყვების ხმამაღლა
წარმოთქმა.

გულის ამოტანა ისწავლე, იმ გულის, ახლა
შენი გაეცეზლებული თვალებიდან რომ ცდილობს
გადმოხტომას. იმ გულის, მზრისხანე მუშტად რომ
შეკრულა და მტრისკენ მიიწევს, ელვასავით რომ
დაეძგეროს და გადათქეროს.

ამოიძახე: არ მინდა!

ამოიძახე: განმშორდი!

ამოიძახე: მძულხარ!

ისწავლე, ისწავლე უარყოფა. ვისაც უარყოფა
შეუძლია, ის სიყვარულსაც შეძლებს.

ამოიძახე: სივრცე!

ისწავლე საკუთარი თავიდან ამოვარდნა, საკუთარი
თავიდან ამოფეთქვა, საკუთარი თავიდან ამოხტომა,
ამოდი შენი სხეულიდან, როგორც ვიოლინო ფუტლარი-
დან, შენ ვიოლინო ხარ და რადგან ვიოლინო ხარ,
უნდა იმღერო, უნდა იკვნესო, უნდა იწვალო.

ამოიძახე: ფრთები!

გამოიტანე მზრებიდან ფრთები, ისწავლე მზრებიდან
ფრთების გამოტანა, ტვინის ხვეულებიდან სიტყვების
გამოტანა, სიტყვებიდან აზრის გამოტანა..

• • •

შენ როცა გხედავ, ცა მახსენდება
და ცა მიყურებს შენი თვალებით
და არსადა აქვს ამ ცას კარები
და არსადა აქვს ამ ცას ხმელეთი
და არსადა აქვს ამ ცას ნაპირი,
არც იწყება და არც რას შეერთვის.

მე ვარ ცისფერი ფერით სწელი,
ცისფერი ფერით ვარ მოწამლული,
ვარ მოწამლული, ვით პორტინარი
და ლურჯი სისხლით, ცით
მომდინარით,
შეღებილია ჩემი მამული.

ლამე ცის ცხურის რომ მოადგება,
როგორც აჩრდილი და მოლანდება,

ის კაცი მე ვარ, მე, ცის მძევალი,
კრელი საწუთროს გნიასს დაეცქერი.
მოჩანს მდინარის თეთრი ტანი და
ტბები, ლაყვარდში მოხასხასენი.

ლამით შენს თვალებს რომ მოადგება,
ვითარცა ცრემლი და მონატრება,
ის კაციც მე ვარ,
ის ცრემლიც მე ვარ,
წამწამთა შენთა ცხატრთან ვდგევარ.

გზა ამერიკა და დამეზინდა,
ნუ გამომდევნი მაგ თვალებიდან.
ნუ გამომიშვებ შენი წყველიდან,
ნუ გამაძევებ შენი ცრემლიდან,
ნუ, ნუ გამაგდებ შენი დარდიდან,
ამ სიზმრიდან და ამ სინათლიდან.

არსად არა აქვს ამ ცას ნაპირი,
 ცაში ვარ, ცაში გამოკეტილი,
 ვით გამჟვირვალე მინის ციხეში,
 მინის ჭერი და მინის კედელი.
 ნუ დასწევ ფარდებს, კარს ნუ მიხურავ,
 ვჩანდე ბეჩაეი და სასაცილო.
 ბრბოს რას დაეძებ,
 დაე, მიყურონ,
 მიყურონ, მტანჯონ და დამამცირონ.

გახლართული ვარ ღრუბლის
 ტრიალში
 ფრთებდამსხვრეული ჩიტი საბრალო.
 მიყურონ!
 შენ ნუ შეგეცოდები,
 ჩემს ციხეს ხელი არ ააფარო.
 მიყურონ!

* * *

გული არც რისი მოიმედება,
 კინია, რაც დღეს მოჩანს დიადად.
 ცუდი ბოლო აქვს ამ კომედიას
 და ამ ზარ-ზეიმს კომედიანტთა.

იმედებს ჩვენსას ელის დამსხვრევა
 და დაღუშება ელის ბაგეთა.
 გველთა ენების ახასხასება,
 დარდი, ცრემლი და სასოწარკვეთა...

* * *

სამსახურიდან დაბრუნებულს კარებში
 თეთრი ვარდების თაიგული დამხვდა...

საიდან გაჩნდი შენ აქ, საბრალოვ,
 შენ უცნაური, თეთრი წერილი.
 თავისი სული ვინ მოგაბარა,
 შენს თეთრ სხეულში შეყუჩული
 და გატყერნილი.

ასე ამაყი, ასე დიდგული
 უხმოდ მოსული, უხმოდ ჩავლილი.
 აქ ვინ დატოვა ეს თაიგული,
 კარზე მიბმული თეთრი კრავივით...

* * *

სავარძელს თეთრად ხარ მითენთილი,
 ვით კორდს დაღლილი თოვლი
 თებერვლის-
 ჩვენ მრავალნი ვართ,
 შენ კი ერთი ხარ,
 ყველას მფარველი და გამგებელი.
 ბედმა გარგუნა სხვისთვის იცხოვრო,
 სხვათა დუბჭირი ყოფა ამშვენო
 და შენს გარშემო ვართ შეკრებილნი,
 ვითარცა მხსნელი თოვლის გარშემო.
 შენ კი ერთი ხარ

და ჩვენ მრავალი
 და ყველას ერთად როგორ გვიშველი.
 ჩვენი ოცნების ერთად შემკრები,
 იქვე გამყოფი და გამოთშველი.
 ჩვენ ყველა ერთად გხედავთ და
 გიმზებთ,
 შენ მარტო ერთმა როგორ გვიწილო
 და დაგვიწახო,
 ჩვენი ნალველი
 და საიდუმლო რომ გაგიმწილოთ.
 როგორ დაგვატყვე შენს ერთ მზერაში,



ან ერთ სიტყვაში როგორ დაგვატყუებ
 საშუალოდ მოს ყივის მამალი,
 მაინც არა ჩანს მთვარე აქამდე,
 რა ქნას ამ მთვარემ,
 ან შენ რას იზამ,
 შენც ერთი ხარ და ისიც ერთია.
 ჩვენ მრავალნი ვართ,
 ხოლო მრავალთა
 წესად ასე აქვთ: ერთს მიელტვიან.
 ერთს, სრულყოფილ და სრულქმნილ
 მშვენებას,
 რომელშიც შორი ღვთის ხმა ღაღადებს,
 რომ მასში კპოვონ ხსნაც და ნუგეშიც,
 მასში აღსდგენ და მასში ამალდნენ.

...თებერვალმა მაცხელებს და
 ცივა. თუღვანეც ანუ
 ბუხართან ანუ კიმიან ლეველიანსა
 სავარძელს თეთრად ხარ მითენთილი.
 არსებობ, რომ სხვებს სწამდეთ,
 უყვარდეთ,
 სჭეროდეთ — ბედი არის კეთილი.
 თენდება.
 გტოვებთ.
 გემშვიდობებით.
 ჩვენ ჩვენი გზებით ცალ-ცალკე მივალთ
 და შენ გვაცილებ ცალ-ცალკე ყველას,
 მაგრამ არ ძალუძს სხვას შენი ხილვა.
 სავარძელს თეთრად ხარ მითენთილი...



ირინე ტალიაშვილი

კოეტის სიკვდილი

მომხრობა

„ცდილობდა არ ეფერკა და მაშინ მართლაც დაიღებულა იყო საქმე“, ფიქრის გარეშე ყოფნა კი უკვე ძნელი გახდა. ახლა რალაინარიად რცხვენოდა კიდევ, რომ სხეულს მოსვენება სჭირდებოდა, თვალებს ძილი, ენას დაფუშება... ჯიბეში კალამი რომ ედო, იმისაც რცხვენოდა. რალა ფროს ლექსების წერა იყო, ვის ახსოვდა პოეზია, ახლა მხოლოდ უნდა ებრძოლა. ებრძოლა იქამდე, ვიდრე არ დაშარცხდებოდა, ან არ დაშარცხებდნენ.

— ღმერთო, გული თუ არ გამოსდებდა, არა მგონია — ნამოიკენსა მოულოდნელად და ჯიბეზე ზელი შოიფათურა. უკანასკნელ ხანს ნატრადგიციტრინის აბები მწესუმზირის მარცვლებივით ეყარა, მაგრამ ახლა უცებ ვერ მიაგნო. ერთ ადგილას გაეცეთილ ჯიბეს ნახურტი გაეკეთებინა და თითები ღრმად ჩაყო კოსტიუმის სარჩულის ქვეშ. როგორც ენა ისევა ნახევარი, სწრაფად დაიდო ენაზე და შევებით ამოისუნთქა. ხელები მუცელზე დაილაგა, ფეხები გაჭიმა და სკამის ზურგს ნებიერად, შევებით მიეყრდნო. დარბაზში ჯერჯერობით სინყნარე იდგა. ახალგაზრდები უკუფ-უკუფად იროდნენ დერეფანში და სიგარეტს ეწოფდნენ, ესმოდა შათი გაცხარებული კამათი, მაგრამ ხმებს ვერ არჩევდა. უკანასკნელ ხანს რალაც ეპოსური და მოუნქარიკებელი გახდა ცხოვრება. ადამიანებმა თითქოს დაკარგეს საკუთარი თავის მართვის უნარი და ყვირილი ისწავლეს. ახლა ისინი უფრო ხშირად იურებოდნენ ერთმანეთის თვალეში. რალაცას ეძებდნენ, ამოუხსნილი, შუუცნობელი კითხვის მოლოდინში ერთმანეთს სცდიდნენ და მაინც უჭირდათ ამოუხსნათ, სანდონი იყვნენ თუ არა იმ იდეისთვის, რისთვისაც ხმის ჩახლენამდე გაყვიროდნენ სახალხო შერებებზე, მტიინგებზე, დემონსტრაციებზე...

ორგვლივ ხმები, მხოლოდ ხმები გაისმოდა: პერში იკარგებოდა ხმები ერთობისა, სიყვარულისა, სათნოებისა და მთელი სიერცე დაფანტული, დამდნარი ბგერებით იესებოდა: სა-ქა-რთვე-ლო!.. ახლა თითოეულისთვის ეს სიტყვა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ცოლი, შვილი, დედა, მამა. თუ არ ექნებოდათ თავისუფალი სამშობლო, უამისოდ უკვე აზრი ეკარგებოდა ოჯახის, სახელმწიფოს ამ პანანინა უყრდნის არსებობას...

დარბაზში ყაყანმა იმატა. ლევანმა ოდნავ გაახილა თვალები. მის წინ უხვად შეპუფრულ ნიღბისსახიანი ქალი იდგა. მოკლე ქვედა წელი და თეთრი კოფთა ეცვა. მუხლებით თითქმის მუხლებზე უხებოდა.

— თუ შეიძლება, გამატარეთ, — ცივი ლიმლით სთხოვა ქალმა და გრძელყურბანი ჩანთა ზეით ასწია. ლევანს ნამოედგომა დაეხარა, მაგრამ ცოტათი მაინც ნამოინია და გზა გაათავისუფლა. ქალმა რომ გაიარა, მუხლებზე მაინც იგრძნო მისი გამხდარი ბარძაყების შეხება და უცნაურმა სიცივემ დაუარა, გააფრტოლა კიდევ. ამ სიცივემ გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა და ტრიბუნისკენ გაიხედა. ტრიბუნაზე უკვე დავილაგებინათ სკამები. მიკროფონთან კრების თავმჯდომარე, თმაშვეერცხლილი კოსტიუმის მამაკაცი იდგა. ანკეილი უღვაშებით და ცოცხალი, მოცმციმე თვალებით ლევანს მუნჯი კინოების ცნობილ გმირს, მობარშოვე მამაკაცების როლის შემსრულებელს აგონებდა, მაგრამ სინამდვილეში, იგი რომელიღაც საკულევი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა და ქალაქში საკამოდ სახელმწიფვეტილ პარონებად ითვლებოდა. აქამდე სულ რუსეთში ცხოვრობდა, რუსული განათლება ჰქონდა მიღებული და ლევანს ახლა უკვარა ამ ადამიანის უცვარი სახეცდილობა. ისიც უყვირდა, ასე სწრაფად რომ მიენდო საზოგადოება და პატრიოტი მოღვანის იარღივი მი-

ანება, მაგრამ უკვე აღარაფრად ღირდა მისი ექვები და საკვირველი ხილვები, დღევანდელ საზოგადოებას მიმტეხებლობის უნარი უფრო ესაჭიროებოდა.

დარბაზი თანდათან იცვებოდა ხალხით. ლევანს გულგრილად ათვალერებდა იქაურობას და გული უმძიმდებოდა. უძილობა და დაღლილობა ეძალებოდა. სამი დღე-ღამე ფიზილობდა. ასაკოვანი კაცი მოშიშვნილ გოგო-ბიჭებთან ერთად მიტმანსებულიყო იჯდა. თავიდან უუზრზულობდა, მაგრამ მერე შეიჭრა. ყურადღებას აღარ აქცევდა მილიციელების ზურგს იქით შემოჭიდებულ ხალხს, თანაგრძნობითა და სვედიანი თვლებით რომ შესცქეროდნენ თითქოსდა ზეარკად შენირულ ახალგაზრდებს. სწორედ მაშინ გაუფასურდა მისთვის სიცოცხლეც... ისედაც მარტო იყო ამ ეულ დედამიწაზე ისედაც ბერბიჭა პოეტად შეიპერდა ქვეყანას. არც მემკვიდრე ვაჟი ჰყავდა, არც ფუძის ქალი. მამ, რისთვის უნდა დაეზოგა სიცოცხლე ვისთვის? აი, ამ...

ლევანმა უნებურად მიკრფე მიიჭირა ხელისგული. მიტინგზე რომ მოდიოდა, პარტიბილეთი ჩაიდო ჯიბეში, უნდოდა მოშიშვნილთა თვალნიან ნაკუნ-ნაკუნად ეცვია, მაგრამ რატომღაც ვეღარ გაბედა. რამდენჯერაც დააპირა ჯიბიდან ამოღება, იმდენჯერ ხელეში გაუტყვდა. უცნობი შინაგანი ძალა ნებას არ აძლევდა. — ვითომ სცდიდა? მაგრამ რისთვის? როდესაც იქიდან-აქამდე ისედაც ცოდეა-ბრალდანიობის სასწორზე ედო თავისი ბედი და სისხლი მეთხვერილი თითებით ფურცლავდა ქართული ერის ისტორიას. კიდევ შენდობა? კიდევ შეწყალება? როდემდე? როდემდე? — ყურთასმენაში წიოდნენ უძლურების კითხვები და უპასუხოდ იღვებოდნენ ცნობიერების მიღმა. არავის შეძლო პასუხის გაცემა დროგამის გარდა. დროს უნდა ეთქვა თავისი სიტყვა, მხოლოდ მომავალს და ლევანაც აყოვნებდა, აყოვნებდა იქამდე, ვიდრე ეს პატარა, ხასხასაყვიანი წიგნაკი საბოლოოდ არ გააგებინებდა, რას ნაწმობადგენდა იგი, პოეტს ლევანს ჯანდირი, რომელ ღმერთს, რომელ მკანამს ემსახურებოდა? ჰქონდა თუ არა უფლება, პატრონანი ენოებებინა განვლილი ცხოვრებისათვის და ალალი კაცის თვლები შეეგებებინა ადამიანებისათვის, თუ არ ჰქონდა, მაშინ აქამდე რაღა იყო მისი ყოფიერება, მხოლოდ სინანული?

— ო, გული! გული თუ არ გამისკდება, არა მგონია! — ექნესოდა მოშიშვნილ გოგო-ბიჭებთანგან გარყიული, თითქმის ბურქებს ამოფარებული, მოკუნტული კაცი და ათრთოლებული თითებით ძღვის იცავებდა უკვე მელანდამშრალ კალამს: „ახლა გულსა

და რწმენას გატეხილს, მიშვებული სიტყვითა და სადავე, მაგრამ არასდროს პურის წაჭყტის არ იყო ჩემი რწმენის სათავე. სიტყვით კი არა, გულით მჯეროდა, გული მართალი იყო იმ დროსაც, რა ფურის დრომაც უნდა მქეროდა, მხოლოდ სიმართლე თვალბა იმ დროსა. ახლა გაცურებს სველი თვლები გულგატეხილი ჩემი ნარსული და კვლავ მიათრებს სხეულს წვალებით, სული ნაცემი და გაძარცვული!“

— აქარბობი, სულმოუთქმელად ნურდა ცეცხლმოკიდებულ სტრატეგებს და მთელ სხეულზეც ცეცხლი ეკადა. რისთვის, ვისთვის ნურდა ჯერაც არ იცოდა. ნუთუ იმ კაცის ღირსების დასაცავად, ენასაც ახლა ჯიბეში მითელყვდიანი პარტიის ბილეთი ედო და კომუნისტის სახელი ერქვა.

ტრიბუნაზე კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ახალგაზრდა ორატორები და აგზნებით, თითქოს მთელი მსოფლიოს გასაგონად მოუნოდებდნენ გაოგნებულ და შეშვებარ ადამიანებს: — ვისთვისაც ძვირფასია საქართველოდამოუკიდებლობა, მამულის, ენის და სარწმუნოების თავისუფლება, ჩვენ მოგინოდებთ დაყაროთ პარტიის ბილეთები და უარი თქვათ ჯალათებთან მოღვენობაზე. უარი თქვათ ოკუპანტებთან თანამშრომლობაზე.

ამის გაგონებაზე ლევანს ისე აენვა თმის ძირები, ხელისგულები გაუოფლიანდა, ერთიანად აიტანა ციებამ, მაგრამ იჭერდა ხელს იმ ადგილზე, სადაც პარტიული ბილეთი ეგულეობდა. — დავენვა, ახლავე, ამით თვალნი. — უკვე წამოუტიტეტიდა გონებაში, მაგრამ ისე შეეყომანდა.

— ისე, დანვას და გადაადებებს რა ფასი აქვს, თუ მტარვალს არ გაეაგებინე რატომ ავიყარე გული, რატომ აღარ მჯერა ჩემი პარტიისა. მე უნდა დაეუმტკიცო, დიხს! უნდა დაეუმტკიცო! ახლავე წავალ მწერალთა კავშირში და განცხადებას დაენერ, ჯერ განცხადებას დაენერ, მერე ცხოვრპირში მიეხალი ჩვენი ეპოქის სინდისს, ტყუას და გონებას!

აფორიატებული და სიმშაგეტანილი კაცი ნამოხდა. საკინძე მოლოდინა და გასასვლელისკენ გაემართა. მოშიშვნილთა შორის რომ ჩამოდიოდა, მოულოდნელად წვირიანმა, უცნობმა ტაბუტმა შეაქრა. ხელში დოლბანდის შეკერა ეჭირა.

— თქვენც შიმშილობთ, არა? — ჰკითხა და დაკვირვებით შეათვალერა.

ლევანი უნებურად გამოთლდა. შეკრთის ორი ლუკმა ფუნთოშმა წინა საღამოს ვილაცამ რომ უწილდა, კინაღამ შხამად შეერგო. შიმშილით, არც შიმშილობდა. თანაგრძნობის ნიშნად ღამეებს ათედაც მხოლოდ მოშიშვნილთა გვერდით. ექმის რომ გაეცო, ალბათ ორ ინფარტგადატანილ კაცს ამის

უფლებასაც არ მისცემდა, მაგრამ ექიმი და საკუთარი გული ახლა ველას ახსოვდა, როცა შიმშილისაგან გულშენუხებულნი ბავშვები ზედზედ მიჰყავდათ სასწრაფო დახმარების მანქანებით.

ლევანმა საწყლად გაიღიმა და ქაბუჯს დამნაშავესაფთო შეხედა. — მე, არა, მე არ ვმომშობობ, მე ვეხმარები...

— ეგ სულერთია! — ბიჭმა ხელი ჩაიქინა, მერე დოლბანდის შეყვრა მიაჩქრა და მოედინსკენ გაახედა, — თუ შეიძლება, მომეხმარეო, ხალხს დაურეცე...

— რისთვის? — უნდოდა ეკითხა ლევანს, მაგრამ ველად მოასწრო, ბიჭი უცებ გაუჩინარდა. დაბნეულმა ლევანმა შეყვრას დახედა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

— მომეცით ერთი ცალი, ბიძო, — მოესმა გვერდიდან. — სოფიანი წყალიც ხომ არა გაქვთ? — გამხდარი მილასლასებული გოგონა ხელებზე წაეტანა ლევანს კაცი უფრო დაიბნა. გოგონას შეყვრა გაუნოდა და ტრიბუნისკენ შეებრუნდა. მალევე, ხმაჩახლეჩილად ლამაზი ბიჭი წყნარად, შვეიდად უხსნიდა მიტინგზე მოსულ ხალხს.

— ძალიან გთხოვთ, ჯარისკაცები რომ გამოჩნდებიან, ნუ დაიბნევით, უფრო შემჭიდროვდით, რათა მოშმილენი დაიფაროთ. ჯარი რამდენიმე მწკრივად წამოვა და შეეცდება ჩვენს დაშლას, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩვენ არ დაევიშლებით. მაშინ ისინი დაიწყებენ ცრემლსადენის სროლას... ნუ შეგეშინდებათ. როგორც ბალტიისპირელმა ძმებმა გვითხრეს, არც ისე საშიშია. ერთი ეგ არის თვალები დაგუნებათ, რაც ცრემლისადენას გამოიწვევს... — ორატორი ნამით დადგმდა, მერე ხალხს გადახედა და სიცილით განაგრძო, — ისე სამოცდაათი წელიწადია სულ ეტრითი და რა მოხდა? ცრემლებს შეჩვეულნიც ვართ, ბალტიისპირელებს თუ დავუჯერებთ, სოფიან წყალში დასველებული ბამბა ან მარლის ნაჭერი ძალიან შევლის ცრემლის დენას, ცრემლს აჩერებს!.. ასე, რომ გთხოვთ, შინ წაბრძანდით და სოფიანი წყალიც მოიპარავეთ შუშებით!..

ლევანს გულმა შემოჰკენესა, — ღმერთო! როგორი გულუბრყვილობაა ღმერთო! — კი-ნაღამ ხმამაღლა წამოსცა. უცებ აისროლა დოლბანდების შეყვრა ჰაერში და ხალხს თავზე გადააყარა. — ღმერთო, რა გულუბრყვილობაა სოფიანი წყალი... ბინტები... ესენი ორმოცდათექვსმეტ წელს არ მოსწრებიან. ვინ მოგცემს საშუალებას ცრემლი მოიწმინდო. მეტი საქმე არა აქვთ, ჯარისკაცებმდე საქმე მივთავსე და სული მოგათქმევიწონე! ტყვიები თავისუფლების ხვედრი, ტყვიები! — შეძრწუნებით იმეორებდა გუნებაში და ხალხში გზას მოცულებდა. ჰაერი აღარ ჰყო-

ფნიდა, ემოციებმა დაღალა, სულსკრამთქმისა და განსაცდელის მოლოდინშიც უცქირსკრამთქმისა ნაირად დამძიმდა და გულზე დაანვა, ცოტათი წამოსისნლა კიდევ ღრმად ამოისუნთქა და ქაშუთის ეკლესიას გახედა, პირჯვარი გადართნა, მერე მობრუნდა და ის იყო მწერალთა კავშირში წასვლა გადამწყვიტა, რომ მხარზე ხელის შეტება იგრძნო.

— გამარჯობა შენი, ბჭოუ!

ლევანმა კისრი მოღრცია და ერთი ძველი ნაცნობი, ქიზიყელი კაცი დაინახა. ივნო და ვერც ივნო. კაცი კი იყინოდა და მხარზე ხელს უტყაპუნებდა.

— ბურ-მარლი დაგვიძველდა, ჯოუ, კიდევ მოგინვით პოეტები, კიდევ?

ლევანმა ახლა გაიხსენა. ამ კაცმა რამდენიმე წლის წინათ, სხვა პოეტებთან ერთად, თავის სოფელში მიიწვია, ოღონდ მისი ვინაობა ველად მოიგონა.

კაცმა შეატყო, — ველად მიცანი, ჯოუ, გოგია ვარ, ბევრიაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— აა! — ლევანმა გულთბილად ჩამოართვა ხელი, — როგორ არა, ბატონო გოგია, როგორ არა!.. აქ... საიდან, ალბათ მიტინგზე დაასწრებდა ჩამობრძანდით, არა?

კაცი უმოქმუნნა და ნარბები ანკიპა.

— რა შემოიტინგება ნეტავი!.. ამთა მოსცლიათ, — უამყყოფილად გაიშვირა ხელი, — გახედე აგე იმ ქანდაკებებსა, როგორ არიან მკვიდრად ჩაქანდაკებული და ჩამოსხმული, მაგათ მოსთხრიან ეგენი, პოეტო, მაგათია?!

თავმჯდომარემ უღვაშებზე გადაისცა თითი და იქედნურად გაიღიმა.

— შენც ხომ არ აგყოლიეს, აა?!.. ეგე, მე და შენ დრო მოვყამეთ, მოვჭამეთ! — დამარცვლა თავისებურად, მსუყე კილოთი და ახითხითდა.

ლევანი უცებ გაბრაზდა.

— შენ ვის რა მოქამე არ ვიცო, მაგრამ... ასეთი ლაპარაკიც არ შეიძლება, ბატონო გოგია!

თავმჯდომარემ ისევ ააბარტყუნა ფართე ხელისგული ლევანის მხარზე.

— ნუ გამოვაგრდები, შენი ქორიმიც ვიხუმრე, თორემ მეც ვიცო, ჯერ იუბილე რომ აა გადავიხდია, ორმოცდაათს ბევრი გყლია?

— უკვე გადავაბიჯე, შემრიგებლურად მიუტო ლევანმა და უცებ აფუსფუსდა, — აა, კარგად ბრძანდებოდე, ბატონო გოგია, მწერალთა კავშირში მიმტქარება.

— მიაცა, ჯოუ, — თავმჯდომარემ ხელი დაუჭირა, — ეგ თქვენი კავშირია თუ რა-ღაცა, იქნება დამიხმაროს... საჩილელებად გა-

მიხდა საქმე კაცო? ჩემს ეზოში აღარ მიშვებენ, შინ ვერ შევსულვარ.

— რატომ? — ცალკხად, ზრდილობისთვის ჰქოთხა ლევანმა და შეყოვნდა.

— რათა და იმ ადგილას, სადაც მე სახლი ავაშენე, უნინ ვითომ სალოცავი ყოფილა... ისე, როცა ბონატანი ვბარავდი, ან ვთხზიდი, რაღაც ნატებები კი ამოცვივდებოდა ხოლმე, მაგრამ შენ საქართველოში ისეთ ადგილს სად ნახავ, რო ან საფლავი არ იყოს, ან ნანგრევები... ნასოფლარი და ნავენახები სადღა არ არი?.. პოდა, აბა, მაგითინ სხვაგან ხო არ გადავიხვებოდი?

ერთ მშვენიერ დღესაც, რაც ე, ეს ამბები დაიწყო, მივედი სახლში და რას ვხედავ? ახალგაზრდებს უცებ არ წამოუჭობიათ ჩემს ეზოში სალოცავი? ვაჰ, გავგვიფი: აღარც ეზო, აღარც ბონატანი, დგას ეს ამდენი ხალხი და ილოცება, სანთლებს ანთებს... ვიყვირე დავანგრევე-მეთქი, მაგრამ ვინა, კაცო?.. ვინა?.. ნავედი რაიკოში, ეგეთი და ეგეთი ამბავი, ჩემი ეზო ახლა სამლოცველა-მეთქი, რაიკოშის მდივანი სიცოლით მოკვდა, არ დაანგრო, ღმერთი გინეენსო. დამარგა ჭკუაზე. იქ ვერა ვნახე სამართალი და ახლა აქ წამოვედი, მთავრობაში საჩივლელად, მე არ ვიცა, ან ჩემი ეზო დამიბრუნონ, ან არა. და... — თავმჯდომარემ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და მდუმარე, ცნობისმოყვარეობით მზირალ ლევანს სახეში მიანერდა. — პოეტო, შენ ჭკუიანი კაცი ხარ, მითხარი, ვითომ მართლა არსებობს ღმერთი? — ისეთი მუდარით ჰქოთხა, რომ ლევანი მიხვდა, კახელ კაცს მარტო ღმერთის არსებობა არაწყებობა როდი ანუხებდა, ახლა მის გვაშა და სულშიც ის ეჭვის ჭია იჯდა, თვითონ მასაც რომ ხრავდა.

ლევანი შეყოვნდა. უნდოდა გულის მოსაღებუნებელი, გამაზნებელი სიტყვები ეთქვა თავმჯდომარისთვის, მაგრამ რატომღაც ენა ვერ მოატრიალა. ან რა უნდა ეთქვა? მთავრობას შენი სალოცავისთვის სად სცალია, თავისიც თავზე ენგრევაო?

— გამაგრდი, ბატონო გოგია, — მხოლოდ ესღა მოახერხა პასუხად და გაულძია. — ჩვენთან არს ღმერთი! — შებრუნდა და დინჯად ნავიდა, ოღონდ მწერალთა კავშირში კი არა, გულმა უკვე კინოს სახლისკენ გაუ... გამაგრდი, ბატონო გოგია, — მხოლოდ აქ შეიძლებოდა...

ლევანმა თვითონაც ვერ გაიგო როგორ დაეწუჭა თვალები. ქუთუთოები დაუმიძიდა და გაუქვავდა მკერდში საშინელ ჩხვლებას გრძობდა. ყურებში ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხმა ედგა და ნანობდა, რომ არ უთხარ, ღმერთი არსებობს... ახალგაზრდების ხმაურითა და ყაყანიტ გარშემორტყა. „ნათობი“, № 12.

მული პოეტი ხილვა-ზმანებას მისცემს და ნათლად ხედავდა ხელში სატენხმის... ქიზიულე კაცს, თავზე რომ დასდგომოდა და გაცხარებით ექაღნებოდა: „მითხარ, მითხარ, არსებობს თუ არა ღმერთი, თორემ ახლავ დავანგრევე ამ სალოცავს...“

ლევანს თავებოდა ხევაოდა, ხედავდა მხოლოდ ადამიანთა შავ ზურგებს, კეფას და განუნყვეტლივ გრძობდა ტკივილს მკერდში, უნდოდა გული ამოეთხარა, გული ამოეგლიჯა, ოღონდ ეს ტკივილი დაეამებინა.

დარბაზში მოულოდნელად სირუშე ჩამოვარდა. ელაცამ ჩაისისთან, ვილაცამ ჩაახველა, სირუშე კი მინც დაძაბული და ხელშესახები გახდა.

ლევანი სრულიად გამოფხიზლდა. სკაშზე გასწორდა და კისერი წაიგრძელა. კრების თავმჯდომარის მაგიერ მიკროფონთან ახლა მოტყინილი. მხრებზეარდნილი ხნიერი პროფესორი იჯდა. გარეგნობაზე კეთილშობილთა გვარის შთამომავლობა ეტყობოდა.

— ბატონებო! — დაბალი, მჭმუნეარე ხმით წარმოთქვა პროფესორმა.

— ხმაშაღლა! — იყვირა დარბაზიდან ელაცამ.

— ბატონებო და ქალბატონებო! — ოდნავ აღნია ხმას პროფესორმა. — მოგახსენებთ, რომ ამ ნახევარი საათის წინ, ჩვენ უკვე შეხვედით მთავრობის წარმომადგენლებს და შეეთავაზეთ ის წინადადება, რომელიც გუშინ მიიღო სახალხო ფრონტმა.

— სახალხო ფრონტი ვერ არ არსებობს, ბატონებო! — კატეგორიული ტონით შენიშნა მელოტმა, შეუპოვარი გამოეჩვეტყებინა, მკვირცხლმა მამაკაცმა წინა რიგში, — ჩვენ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ სახალხო ფრონტის სახელით ვიდრე არ დავეუფნდებით, თქვენ უნდა გეთყვით სახალხო ფრონტის რწმუნებულთა სახელით შეეთავაზეთო.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, გთავაზვა, — ხმა ჩაუხრინინიანდა სიტყვის განყვეტით გაღიზიანებულ, ანერვიულებულ პროფესორს, — მთავარია...

— არა, აქვს, ბატონებო! აქვს... შემდგომი მოვლენებისთვის აქვს... მოკლედ განმარტა შეუპოვარმა მამაკაცმა და დარბაზს მიუბრუნდა, — ბოდიშს გიხდით, განაგრძეთ! — ახლა პროფესორს მიუტრიალდა.

— დაახ! — ჩახველებით განაგრძო პროფესორმა, — მთავრობას შეეთავაზეთ წინადადება გადადგომის შესახებ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წინადადება უარყოფილია, ხელისუფლების მთავარმა წარმომადგენელმა განაცხადა, ხელისუფლებას ნებაყოფლობით არავის დაუთმობთო, ასე რომ, ბატონებო... მდგომარეობა ძალზე სერიოზულია, ჩვენ ვიმყოფებით ექსტრემალურ სიტუ-

აციაში, ახალგაზრდების სიცოცხლე საფრთხეშია...

დარბაზში სულსმეხმეთაი, აუტანელი სიწუმე ჩამონვა. ლევანმა საკინძე მოიღელღას. ისე მოძებნა ნიტროგლიცერინი ჯიბეში, მაგრამ ამაოდ.

— ჯალათები!.. ძირს, ჯალათების პარტია! — გაისმა მოულოდნელად ქალის მნივანა, გაბორბებული ხმა. ლევანმა გაიხედა და ნიღბისასახიანი მანდილოსანი იცნო. ქალს ხელში ეროვნული მანია ალამი ეჭირა და გაცხარებით იქნედა.

— ქალბატონო, მორჩი ბაზარს! — დაუვირა ზემოდან წვერიანმა კაცმა, — აქ სამიტინგოდ არა ვართ მოსულები, საქმე უნდა გაკეთდეს.

— ვინ უნდა გააკეთოს საქმე, ვინ? — ანიელდა ნიღბისასახიანი ქალი, — თქვენისთანა ცეცხლებმა? თქვენ მთავრობასთან შეკრული ჯამშუები ხართ, თქვენ მოღალატეები ხართ, თქვენ საკუთარი შეილები ურჩხულებს ჩაუგდეთ ხელში... თქვენ! — ქალს ძალა აღარ ეყო, ხმა ჩაუნყდა, სკამზე დაეცა და აქვიონდა, — იქ ჩემი შვილიც ზის... ჩემი ირაკლი... მოიფრეტო რაიმე, იხსენით საცოდაო ბავშვები... ო, ღმერთო!

— ეიხსნით, ქალბატონო, აუცილებლად ეიხსნით, თქვენ დამშვიდდით! — კვლავ ფეხზე წამოდგა შუპოვარი გამომეტყველების მეღობი კაცი და ყველას გასაგონად ხმამაღლა ჰკითხა პროფესორს.

— ბოლოს რაზე შეთანხმდით, ბატონო ლალი?

პროფესორმა უმწეოდ მოიფშენიბა ხელები.

— შევთანხმდით, რომ ამ საღამოს, ექვს საათზე, არაფორმალური მთავრობის წარმომადგენლებს შეხვედებიან, შეხვედრას ორივე მხრიდან ათ-ათი კაცი დაესწრება.

ვილაციებმა დაუსტყვიეს.

— არაფორმალურიდან ვინ იქნებიან? — დაიკვირა შავთმიანმა, ოდნე სახე შეშუპებულიმა ქაბუკმა, — საფაფივეო კომიტეტს არაფერს უთანხმებენ?

შავთმიანი ქაბუკს ტანსრული, ასაკოვანი ქალი ახედა.

— რას ჰგავს ეს მეგობრებო, ვინც კინაღამ ციხეში დაგვალექს, იმით განზე სტოვეებ და ახლა ამ ახლადგამომცხვარ ლიდერებს მთავრობაში მოსალაპარაკებლად იბარებენ? არავითარ შემთხვევაში... არავითარ შემთხვევაში... არაფორმალური ან ყველანი ერთად დაექსნრებით შეხვედრას, ან მოლაპარაკება ჩაიშლება.

დარბაზი აიშალა, ახმაურდა, ვილაც სათვალანმა, მკაცრი გარეგნობის ახალგაზრდა კაცმა არაფორმალთა მხრიდან, მიკრო-

ფონი წაგლიჯა პროფესორს. **ქალბატონებო!** ბატონებო! — სასონარკვეთილებო, **ქალბატონებო!** ბბბა მოხუცი პროფესორი, — მოუხმეთ კეთილგონიერებას, ეს ღალატია, ეს საქმის საზიანოდ შეტრიალდება, — თქვენ გაჭუბდით! — შეუტრია სათვალანმა და მიკროფონი ჩაბლუჯა, — თქვენ ჩაბრძანდით!.. თქვენ აღზაფერია აღარ გკითხებათ...

— თავხედი! — აღშოიოებით წამოიძახა პროფესორმა და ტრიბუნა ხველებ-ხველებით დატოვა.

დარბაზი დაიძახა. ვილაციები არაფორმალებს გამოექომაგნენ. ვილაციები პროფესორს. ლევანს ერთ ადგილას ჯდომა აღარ შეეძლო. წერეები ღალატობდა. წარამარა მკერდზე იჭურდა ხელს. წამოდგა და კარებისკენ წავიდა. ერთი სული ჰქონდა, აქაურობას მოშორებოდა, ცოტაოდენი სუფთა ჰაერი ჩაეღლა, მაგრამ მოულოდნელად დარბაზში ისევ სიწუმე ჩამოვარდა და ტრიბუნაზე ხნიერი სანდომიანი გარეგნობის, კაფანდარა კაცი ავიდა. ჭრელ ჯემბრეზე გადმოფენილი თეთრი საყელო ქაბუკურ იურს აძლევდა.

— მოსულა, მოსულა, — გაისმა აქა-იქ ჩურჩული. ლევანიც გაჭერდა. მოეჭვნა, რომ ორატორს თვალბში ცრემლი უბრწყინავდა და წინ წაინა, რათა კარგად დაენახა მისი დარდისგან ჩამოღვეთილი, წამონითლებული სახე და შინაგანი მღელვარებისგან ამტყველებული თვალები.

— მეგობრებო! — მშვიდად, დინჯად წამოიწყო ორატორმა, თუმცა ხმაში მაინც გატონაო, რომ ამ მძიმე წუთებში. მზა რეცეპტს ვერ გამოუწეროთ ჩვენს თავს, არავითარ მოლაპარაკებას მთავრობასთან აზრი არა აქვს... თითოეულმა თვითონ განსაჯოს: ან უნდა იარაღი ავიღოთ ხელში, რომელიც სამწუხაროდ არ გავგაზნია, ან არადა, თუ საჭირო გახდება, ჩვენი შეილების გვერდით დავდგეთ და მათთან ერთად დავიხოცნეთ... — უკანასკნელ სიტყვებზე კაცს ხმა აუკანკალდა, წუთით იყუჩა და ისევ გააგრძელა. — მთავარი ახლა ის არის, რომ ახალგაზრდები მიტრს არ შევატოვოთ და განზე არ დავდგეთ... რუსთაველის პროსპექტზე უკვე გამორჩნდა ჯარი და ტანკები...

ამის გაგონებაზე დარბაზი ჯერ გაისუსა, მერე ერთი ორომტრიალი ატყდა. ქალებს გმინვა აღმოხდათ, კაცებმა ყვრილი ატყეს. ნიღბისასახიანმა მანდილოსანმა დაიკიცლა: — ხალხო! წავიდეთ, ჩვენი ბავშვები დავიცვათ, ტანკები შევიწეროთ!

ახალგაზრდები კისრიატებით გაცივიდნენ გარეთ. ლევანიც მიჰყვა. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა იმ ჯგუფს შორის, ტანკებისკენ რომ გარბოდა. ხელისგული

კვლავ მკერდზე ჰქონდა მიჭერილი, მაგრამ ტყვიის აღარ გრძნობდა. მთელი სამყარო თითქოს დაპატარავდა, შეიკუმშა, ცაშ დაბლა-დაბლა დაინია და მიწას შეეხო. ტანკების დგანდგარისგან ხმელეთმაც ქანობა და დრეკა იწყო. „ურჩხულები“ ზანტად, მძიმედ მოლოდაუდნენ... კაცები ისევ მიჩნობდნენ. მიჩნობდნენ ჭაბუკები, რამდენიმე მსცოვანი და ლევანიც. ის და ერთი ჯინსიანი, ქოჩორა ბიჭი წინ მოედგნენ. უკვე სულ ახლოს იყვნენ, ტანკის მუხლუხებთან. ქოჩორა ბიჭმა პირჯვარი გადაიწერა და მიწაზე განვა, სხვებმაც ბიჭს მიბაძეს.

— ნეტა თუ გადაგივლიანი — უნებურად გაიფიქრა ლევანმა და მუხლუხებთან დავარდა კიდევ... ყველაფერი თვალისდახამხამებში მოხდა. უცებ მკერდში ზამბარასავით რაღაც დაიჭიმა. ზამბარა ჯერ შეიკუმშა, მერე ნელ-ნელა გაიშალა, გაიწელა და მთელ მკერდში პანანინა, ჩხვლეტია ნაშხვრეები ჩაიბნა.

— ლმერთო ჩემო! გული გამისკდება, ნამდვილად გამისკდება! — გაუღღვა თავში და სუნთქვა შეეკრა. — რა იქნა ტანკი, რატომ არ გადამივლის, ნეტად მალე დამთავრდეს და მოიხრეს! — ინატრა და შეეცადა თვალი გაეხილა. ვერაფერი გააჩნია. ერთმა-

ნეთში აბლანდული ღრუბლის ფიქვებზე დაბლდასავით თვალებში გაებლუნდა.

— ადვილი ბიძია, წავიდნენ ტანკები, — შეანჯღრია მოულოდნელად ვიღაც ბიჭმა და მის ნამოყენებას შეეცადა. — ადვილი, ბიძია!

ლევანს ნამოღვომის თავი აღარ ჰქონდა. იმასაც გრძნობდა, ველარასოდეს რომ ველარ ნამოღვებოდა. — მითხარი, ლმერთი არსებობს? — გამოკრთა საიდანღაც ხმა. — არსებობს? — ზარჩევით ჩამორეკა ექვსი.

— ე, ბიჭო, მგონი კვდება კაცი! — იყვირა ისევ ლევანის თავთან დახრილმა უცნობმა ბიჭმა და უცებ კაცის გვერდით მიგდებული ნითღლყდიანი პატარა წიგნაკი შენიშნა. ეტყობა, სირბილის დროს ამოუვარდა. — ეა, პარტიული ყოფილა, უფურე შენა! — გაკვირვებით ნამოიბახა, ერთ წამს შეეცოცმანდა, ისე დააშტერდა, თითქოს არ იყოდა როგორ მოქცეულიყო, მერე კოსტიუმის კალთა გადაუნია, პარტიულეთი აიღო და პატრონს ისევ ჯიბეში ჩააუღო.

ლევანი უკვე ველარაფერს გრძნობდა. სახეზე რალაცნაირი დამცინავი, ჩუმი ლიმილი ეფინა. მალე სივრცე გაბრწყინდა და ოქროსფერმა ისარმა გაჰკვეთა ზეცა. ხელბმა უმწეოდ მობლუჯეს პაერი. ჭადრის ხიდან ფოთოლი ჩამოვიარდა და გაქაყავდა.



ლადო სულაბერიძე

ბუნდუ ბეღია

რომანო

წიგნი მეორე

სწობილ ქართულ შერაღს ლადო სულაბერიძეს 70 წელი შეესრულდა. ვერხალ „მნათობის“ რედაქციის თანამშრომლები და სარედაქციო კოლეგია ვულოცაეთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ასალ შემოქმედებით წარმატებებს.

დიალოგი

მოულოდნელობანი აღარ მოცუება.

მე — ბუნდუ ბეღია, — რაც ფრონტის წინა ხაზზე მიმიყვანეს, იმ დღიდან დაწყებული იმდენ მოულოდნელ შემთხვევას გადავანყვდი, გვერდით არჩილი რომ არ მოვლოდა, აღბათ დღემდე ვეღარც კი მოვალწევდი. გაგონილა, ამ მოკლე ხანში ერთი კაცის თავზე ამდენი მოულოდნელი შემთხვევა, ელდა. ცუცხლთაბოგინი დატყევილიყის? რომელი კაცი გაუძლებდა ამას? მე ანკი რა ისეთი გარდაქმნისი ვიყავი, ამგვარი ბეცი და დაუნდობელი შემთხვევები გადამეტანა? მაგრამ ეს ხო ფაქტია, ხო ნამდვილია, ხო გადავიტანე? მართალია, აგერ, ახლა, ტყვეების ბრბოში, გათვლილი, მოსრული, მინგრეულ-მონგრეული ვდგავარ, მაგრამ ჯერ ხო სული მიდგას, ხო გამოვუსხლტი ამდენ მოულოდნელ ბედუქულმართობას? ცოცხალი ხო ვარ და სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ ცოცხალი რო ვარ, რაღა მოულოდნელობა უნდა გამკვირვებოდა? პირიქით, ის მიკვირს, რამდენიმე დღე რო გაივლის და არაფერ მოულოდნელ ფაქტრას არ გადავეყრები.

არც ის გამკვირვებია, გერმანელი უნტერ-ოფიცერი რო მოგვადგა, ბანაკიდან გაგვყვანა მე, არჩილი და გუნადი, ბანაკის წინ, ქუჩის შიორე მხარეს სამხარეთულიანი, აივნებანი სახლი იდგა. საღამოობით აივნებზე გერმანელები გამოფენებოდნენ, ხორხო-ცობდნენ, ლალობდნენ, მღეროდნენ „დოიტ-ჩლანდ იუბერ ალეს“, ბანაკიდან, რა თქმა უნდა, მიაჩრებდებოდნენ ტყვეები, ისინი აივ-

ნებიდან ხელებს იქნევდნენ, იჯლანებოდნენ, „რუს, რუსო“, ჯღაოდნენ, ბაგეებზე მიდებულ ხელის გარმონებს აჭიჭყინებდნენ.

გადავჭერით ქუჩა და ბადრაგმა იმ შენობაში შეგვიყვანა.

აღარც ის გამკვირვებია, ერთ ოთახში რო შეგვიყვანა, რომელშიც ლოგინზე მწოლარე ჰილდა აღმოჩნდა.

რაკი ჰილდა გადარჩენილა, აქამდე მოაღწია და ჩვენი აქ ყოფნაც გაიგო, — (ეგაც ხომ მოულოდნელი შემთხვევაა!), — რასაკვირველია, ველოდი, მოინდომებს-მეთქი ჩვეთან შეხვედრას. მართალი ვითხრათ, ვნატრობდი კიდევ ნეტა ერთხელ კიდევ დამახახაშეთი, მაგრამ ამ ნატურას მე თვითონ საპნის ბუჭტივით უმალვე ვიშორებდი თავიდან. სულაც არ მინდოდა. ამ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ვიყავი, დავენახე ჰილდას. რა სანახავი ვიყავი? ჩამოგლეჯილი-ჩამოფხვნილი, ჩირქიანი ბინდებით ყვა და თავგადახვეული, ლანდავ ქვეული და სიხარული-ნიშტანართმული კი დაეპორიალობდი ჩემ-ნაირების ბრბოში, არც იმას განვიცდიდი ძალიან ალიონა და საშა რო მხედავდნენ ყოველდღე ამნაირს.

ჰილდას რომ ვენახე ამნაირი, ეს კი არ მინდოდა. უნტეროფიცერმა რომ წინ გაგვიდგო სამიგენი, მაშინვე ვიგრძენი, ჰილდას გამოხმობილები ვიყავით, მაგრამ, აბა რაღა მქნა, ხო ვერ გავუძალიანდებოდი უნტერ-ოფიცერს. არჩილი და გუნადი რო გაძალიანებოდნენ, რა თქმა უნდა, მეც გავჯოტბებოდი, მაგრამ მათი გუმანი ვერ მინდებოდა ჰილდამდე და მორჩილად გაჰყვნენ წინ-წინ გერმანელს. მეც გაიფიქრე, შეიძლება ვად-

* დასასრული იხ. „მნათობი“, № 11.



ბი, ჰილდასთან კი არა, სხვაგან მიუყვარათ და მივსდევდი მათ თაქნაღუნული.

ჰილდას ოთახი ისე იყო განაზრახებული, თითქოს საგანგებოდ შეუქურბი მოუშვერიათო. ფანჯარასთან სასთუმალმიბეჭენილ კედელზე მიადგმულ ეათათა სანოლში ჰილდა იწვა. თეთრიშიტკალშემოყრებული საბანი ეწინა მკერდამდე დაგვიანაბა თუ არა, შიშველი მკლავები შემართა და შეჰყვირა:

— აი, ჩემი გამტაცებლები!

ჩვენ კართანვე გავკვავდით. თვალი შემეყინა ჰილდას ზემომართულ მკლავებზე.

— ბუფუ! არჩილ! გუნადი ბიძია!

შეშოგვძიხა ცალცალკე, ნამოიხართა, თხელი საბანი მკერდზე აიფარა.

— მოდით, ახლოს მოდით, აგერ, სკამებზე ჩამოსდებით, რატომ გავქვავდით მაგ კართან?! გუნადი ბიძია, მოდი, დაჯექი!

გუნადი მივიდა სკამთან, დაჯდა. არჩილიც მიჰყვა, მიუჯდა გვერდით გუნადის. სანამ მათკენ ფეხს გადაედგამოდ, ჰილდამ ძლიერ გასაგონად თქვა:

— ბუფუ, რა მოგივიდა? დაიჭერი?

მე ვერაფერი ვუპასუხე, მივედი სკამთან და დაჯექი.

— მერე რა. — განაგრძო ისევ ჰილდამ, — ხო გადარჩენილხათ, ხო ცოცხლები ხართ! ვიფუთ ცოცხლები, განა ცოტა კვდება ამ ომში, რატომ მაინცდამაინც ჩვენ მივემართო?

— შენც გადაარჩენილხარ. — ამოიღო ხმა გუნადიმ.

— ჰო, გადავრჩი, გუნადი ბიძია, სასწაულია, არა?!

— ისიც არის სასწაული, კვლავ რო შევხვდით ერთმანეთს, — თქვა გუნადიმ.

— არ ელოდი ხომ?! — თქვა ჰილდამ და ბალიშზე მიესვენა.

ერთხელ ხო ვინაბატრუ ნეტა ჩითის კაბაში მანახა ეს გოგო-მეთქი. ის კი არ მინატრია, ქათათა ლოგინში მწოლარე რო მენახა. არ მინატრია და ახლა რო ვხედავ, სიხშირე მგონია. ისევ ისეთია, არ შევეცილა. ბალიშზე მშის სხივებითი მიმოფანტულა მწიფე ხორბლისფერი ომა. უფრო ღამაში ყოფილა, კიდრე მუნფიორში ჩანდა.

— შენ რო კიდე გნახავდი, ამას არ ველოდი კი არა, გაფიქრებითაც ვერ გავიფიქრებდი, — უპასუბა ჰილდას გუნადიმ.

მე თითქოს ენა ლოქვეუ მომხვეცა და ვერა და ვერ ავაპირავე. ვერც არჩილმა ამოიღო ხმა. შეიძლება უფრო იმიტომაც, რომ ჰილდას საწოლის თავსასთუმალთან ახლოს, ფანჯარასთან იჯდა ჭაღარამურეული შუახანის გურმანელი პაუპტმანი და თუმცა ღიმილით, მაგრამ ჩვეთისუნი გაურკვეველი ინტერესით გვაფიქნებდა თვალს. შემოვდით თუ

არა ოთახში, აი, ჩემი გამტაცებლები, და მამ იმას მიმართა. ცხადი იყო, მამამ ამბობი ჰქონდა თავისი თავგადასაცალი, არჩილმუნებული ვიყავი. ცუდა არაფერს ეტყოდა ჩვენზე იმის გარდა, შუალამისას მინურში მთვლემარტს მოულოდნელად თავს რო დავუხსით და თავსხმაში ძლიერ მივათრიეთ ბებია ანას სახლამდე. ამის მერე ჩვენ ცუდი არა გვიკადრებია რა და სასაყვედრო რა ჰქონდა. არა, ჰილდა ამ ბატონ ოფიცერს ცუდს არაფერს ეტყოდა და, იმის შიში, რომ იგი გავციხარდებოდა, არც კი გამკარებია გულთან. მე სხვა რამ მამუნჯებდა. გამიხარდა, კვლავ რომ დავინახე და ეს როგორ გამომეთქვა, არ ვიციოდი. ან საჭირო იყო თუ არა, გამეშვილა ეს სიხარული.

ისევ ჰილდას ხმა შემომესმა: — იმ ზორზილამ შემიგდო მხარზე და მთელი ღამე ნაფოტოით მატარა, — არჩილისკენ მიუთითა ოფიცერს, — მაგარი ბიჭია, ტყვია არ ეკარება, მაგრამ ამავე დღის რბილი და თავაზიანი. — მერე არჩილს მიმართა: — არჩილ, ხმა ამოიღე, მოთხარი რამე! არჩილმა დინჯად ამოიღო:

— აბა, რა ვითხრა. კარგია, რომ ცეცხლნაკიდებულ ზღვას გამოუსხლტი.

— ეხდავ ვხედავ, რა დღემაც ჩაეცხნილხართ. — თქვა ჰილდამ.

— ჰო, ჩავუვიდით.

— გამოსხლტილხართ თქვენაც.

— გამოვუსხლტით.

— ბევრი ვერ გამოუსხლტებოდა.

— ძალიან ბევრი.

— ბედი გეონიათ.

— ეგ რაღა ბეღია?!

— ბეღია, აბა, რა. ცოცხლები ხართ!

— რაღა სიცოცხლეა.

— რატომ?

— ვინც მოკვდა, ბედი იმით ჰქონიათ.

— მაინც სიცოცხლე ჯობს, არჩილ.

— ტყუობას ვერ ჯობს.

— გამოიგონია, თითქოს სტალინის აზრი იყოს ეგ.

შტალინ, შტალინო, ნამოიძიხა ამფუნხანს მფუმარედ მჯდარმა გერმანელმა ოფიცერმა, ნამოფდა და არჩილს წინ შეჩერდა, მაინც როგორია შტალინის აზრიო, მიმართა არჩილს რუსულად. ხას ნაცვლად შს გამოთქვამდა. ანევე ზოგიერთი თანხმომავნი ბგერა სხვანორად გამოუდლოდა, თორემ რუსულად საკმაოდ გამართულად ღამარაკობდა. არც გამკვირვებია, არც დაფიქრებულეარ ამაზე. ისე ვიყავი გაოგნებული ამ მოულოდნელი შემთხვევით, რა თავში ვიხლიდი ახლა იმაზე მეფიქრა, საიდან იცოდა ამ გურმანელმა ოფიცერმა რუსული. განა ცოტანი იქნებოან რუსულის მყოფნე გურმანელები?! ერთი იმა.

თგანია ეს ოფიცერიც და ამიტომაც გამოუმნესებიათ რუსი ტყვეების ბანაკის უფროსად. არჩილმაც არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, მის წინ შერეულ ოფიცერს თვალბში მიაჩრდა და უპასუხა:

— ერთი ტყვია შენთვის შეინახეთ. ასეთია სტალინის აზრი.

— პო, პო, ეშ ვიცე, — შეაგება მამინეც ოფიცერმა, — ჩვენ ბევრი რამ ვიცით თქვენზე და ამიტომაც ასე მალე დაგარბიეთ და აგანიოკეთ.

— ჯერჯერობით კი, მართლაც დაგვარბიეთ და აგვანიოკეთ. — ჩაერია საუბარში გენადი.

ახლა გენადის მიაჩრდა ოფიცერი.

— თქვენ რუსი ხართ?! — ჰკითხა მის.

— დიახ, რუსი ვახლავართ.

— მაგი კარგი რუსია, ძალიან კარგი რუსი, — მიეშველა ჰილდა გენადის.

— ოპო, კარგი რუსი! — იქნეულად გაიმეორა ოფიცერმა.

— პო, პო, ბიძა ოტტო, — დაადასტურა თავისი ნათქვამი ჰილდამ, — კარგი რუსია გენადი ხართ, მე ეს ვიცი.

— მეც ვიცი, კარგი რუსებიც რომ არიან რუსეთში, — მიუბრუნდა ოფიცერი ბელერი ჰილდას. მერე ისევ არჩილს მიმართა: — მერედა ერთი ტყვია შენთვის რატომ არ შეინახეთ?

— ჯერ ერთი, იმიტომაც რომა, ტყვეები საერთოდ არა მქონდა, — უპასუხა არჩილმა, — მეორეცა, არ ვეთანხმები მაგ აზრს.

ჰილდა კი ნამოშველა არჩილს, უთხრა, ოტტო ბიძია ჩემი ახლო ნათესავია, კარგი გერმანელია, ნუ მოგერიდება მაგასთან საუბარი, ძალიან აინტერესებს თქვენი ამბებიო, მაგრამ მე მაინც გამიყვირდა, არჩილი რომ ასე თამამად ჩაება გერმანელ ოფიცერთან დიალოგში. პირდაპირ უყურებდა და ისე ესაუბრებოდა, თითქოს ტყვე არ ყოფილიყოს.

— თქვენ ახლა ტყვეები არა ხართ. უფრო სწორად, ჩვენი ტყვეები ბრძანდებით, მაგრამ თქვენი სამშობლოსათვის, შტალინის აზრით, მოლაღატები ხართ.

— სტალინი სხვაა და სამშობლო — სხვა.

— შტალინმა არა თქვა?!

— ეს სტალინმა თქვა, სამშობლოს ხო არ უთქვამს? აბა, ერთი, მოვიდეს ყველა ჩვენთაგანთან, გულში ჩაგვხედოს, გაიგოს, ვართ მოლაღატნი თუ არა?!

— იმას ასე მიაჩნია.

— ის ადამიანია.

— ამ შემთხვევაში თქვენი ვებერთელა ქვეყნის დიქტატორია.

— დიქტატორები მოდიან და მიდიან, სამშობლო არც მიდის და არც მოდის. არის და არის. უცვლელია. მარადიულია. კაცი ერ-

თი დიქტატორის აზრით რომ მოლაღატნი ვართ, ორის დროს შეიძლება შენგვედგინოთ ალიარონ.

— ხელისუფლება?!

— ხელისუფლებაშიც ადამიანები არიან. ადამიანები კი ხან ძალადობით მოიგდებენ ხელთ ხელისუფლებას, ხან ვერაგობით, ხან შემთხვევით. ამიტომაც ისინი სხვადასხვანაირები არიან მუდამ.

— თქვენ მე მომწონხართ! — უცებ საუბრის მიმართულება შეცვალა ჰაუპტმანმა.

— გლადიატორად ხომ არ გნებავთ ამოყვანოთ? — არ დააყოვნა არჩილმა და იმნამსვე უპასუხა.

ჰაუპტმანმა ჰილდას გახედა და გაილიმა.

— გლადიატორად?! — მიხედა არჩილის ირონიას.

— ძველ რომში მონებიდან ირჩევდნენ გლადიატორებს.

— თქვენ ხომ მონები არა ხართ?!

— მონები ვართ, აბა, რანი ვართ?!

— ტყვეები ხართ, სამხედრო ტყვეები, გარდა ამისა, — ისევ ჰილდასკენ მიბრუნდა ჰაუპტმანი ოტტო ბელერი და სკამზე ჩამოჯდა, — ჰილდას მეგობრები ყოფილხართ. უცნაურია ასეთი მეგობრობა. მაგრამ ასე მითხრა თვითონ ჰილდამ. ხო მართალია, ჩემო ძვირფასო?! — დაიმომშა ჰილდა.

— მართალია, მართალი, ბიძა ოტტო, კარგი ბიჭები არიან, ეგ „გლადიატორი“ სწორედაც გამოჩრეულია მაგათგან, ხო ასეა, ბუდუ? ვიცი, შენცა და გენადი ბიძიაც რომ ამ აზრისა ხართ. ნულა შეანუხებ, ბიძია ოტტო, არჩილს, მაგას არ უყვარს ბერიო ლამარაკი.

— იაელო, იაელო! — დაეთანხმა ჰაუპტმანი ჰილდას, მაგრამ დიალოგი მაინც განაგრძო, ისევ არჩილს მიმართა: — ჰილდამ ზოგი რამ მიაბმო თქვენზე, ის ჩემი ძმის შვილია და შვილიყთ მყავს გაზრდილი. მე-გონია, რუსები ჩვენს ტყვეებს დაგლეჯდნენ და ცოცხლად შეჭამდნენ. ასე გვიხატავდნენ რუსებს ყოველთვის.

— ჯერ ერთი, რომ ჩვენ რუსები კი არა, ქართველები ვართ, — შეანყვტინა სიტყვა არჩილმა, — მეორეც ისა, რომა მოგვეწონა ჰილდა, ლამაზი გოგონა და ველარ გავიმეტეთ შესაქმელად.

— მართალია, თქვენ რუსები არა ხართ, მაგრამ ერთი სახელმწიფოს ერთიანი არმირის ჯარისკაცები ბრძანდებით, დამარცხებული და გამწარებული ჯარისკაცები. თქვენ კი პოლდასთან, გერმანელ ტყვესთან, ადამიანური სული უფრო გამოვიჩენიათ, ვიდრე გამწარებული ჯარისკაცის მრისხანება. რომ განრისხებულიყავით, არც ეს იქნებოდა გასაკვირიო. ჰილდა მადლიერია თქვენი, ჩემი პატარა გოგოს ტყვეობას ვერ წარმოვიდგენდი,

და, რასაკვირველია, ვერც იმას წარმოუდგენდი, თქვენისთანა რაინდების ხელში რომ მოხვედებოდა. დიახ, დიახ, თქვენ ნამდვილი რაინდები ყოფილხართ.

— რას ბრძანებთ, ბატონო ოფიცერო! — შეანყებტინა სიტყვა არჩილმა, — გვიბრძანებს და ტყვე არმიის შტაბში მიგყვამდა.

— მიგყავდათ, მიგყავდათ, — აიტაცა არჩილის სიტყვა ჰაუპტმანმა, — მაგრამ ამასაც ხომ მინიშნულობა აქვს, როგორ მიგყავდათ? დანურილებით შიამბო ჰილდამ თქვენ მიერ კანველი გზაზე გერმანელი ტყვე ქალბურთელი, არც ისე ურადო შენახდა... გთხოვთ, ნუ მანყებტინებთ სიტყვას... რაინდები ხართ, რაინდები. არა გკადრებიათ რა. ჰილდა შობილულია თქვენი. მთხოვს, რომ გაგანთავისუფლოთ ტყვეობიდან. მაგრამ ამის უფლება მე არა მაქვს. ამიტომ მინდა, რაც შემიძლია, ის შემოგთავაზოთ, ეგებ თქვენი ამჟამინდელი მძიმე ყოფა ოდნავ შეგიმსუბუქოთ. დამუხმარეთ სამივენი ბანაკში ნენსრიგის დამყარებაში. უფლებებს მოგცემთ. ბანაკის გარეთ დაგაბნელებთ, უზრუნველყოფთ ყოველმხრივ. ჰილდას არ უნდა ასე დარჩეთ. ჰილდას უნდა...

— მომიტყევეთ, ბატონო ოფიცერო, — ნამოგვა არჩილი და ჰაუპტმანს მიმართა: — ჰილდას ჩვენ დიდ პატივს ვცემთ. უბედურების გზაზე ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, ჩვენიანი გვეგონია. მასთან სიახლოვე ჩვენც გვიჩინა, მაგრამ ახლა ეს არ გამოვა. გვიჩვენია იმ ყოფაში დაერჩეთ, რა ყოფაში ვართ.

ჰაუპტმანი არ მოელოდა ასეთ პასუხს. გაშლილი ხელისგული შუბლიდან თმაზე გადაისვა, წინ ნამოცეკნილი ქალკა თმა გადაიტყპანა და თითქოს არც გაეგონოს არჩილის პასუხი, განაგრძო:

— ჰილდას სურს თქვენთან ხშირი შეხვედრა.

— დამთავრდება ომი. ჰილდას ჩვენ მოენახაუთ.

— რა თქმა უნდა, ომი დამთავრდება, ომი წაღე დამთავრდება, ამას თქვენც უნდა ამჩნევდეთ. დიდხანს არ გასატანს. ჩვენი არმია უკვე მოსკოვთან არის.

— ძნელი სათქმელია, ომი წაღე დამთავრდება თუ კიდევ გასატანს ერთხანს, — თქვა არჩილმა, — ომია, ათასი მოულოდნელობა თან ახლავს ყოველგვარ ომს.

— ჩვენთვის საეტეო აღარაფერია.

— დინჯად, აუჩქარებლად განსჯა მანაც სჯობს.

— განსაჯელი, აბა, რაღა დარჩა, დღეს-ხვალ არმიები მოსკოვში შევლენ.

— მოსკოვის იქითაც რუსეთია, ბატონო ოფიცერო და, უნდა მოგახსენოთ, ძალიან

ურცელი რუსეთი... იაპონიამდე ხანდახან წაუღო უკლებლივ უკლებლივ რო გაიხსენებდეთ, არცაა მოსკოვი უკლებლივ წყევდა.

ჰაუპტმანი მიუხედა არჩილს, გაიფიქრა, დასაინწყუნებელი მიკიბულ-მოკიბულობა ამა-სთან არ გაეყო. ეტყობოდა, გულთი ენადა, ჩვენთვის რაიმე სიკეთე გაელო, ჰილდას ხართით, ჰილდას გამო, სასწაულებრივად გადარჩენილი მისიშვილისათვის ზრუნავს. ამდენი რამე გადაუტანია, ტყვეობა, სიმწრით გამოვლელი გზა ზღვამდე, ზღვის ტალღები, მაინც რამე გადაარჩინა, დაჭრილი, ცივ ტალღებში მოქცეული, რომელმა ღვთაებამ წაავლო ზედი, რა ბედისწერამ მოიყვანა აქამდე, ოტტო ბედურამდე, ბიძამისამდე, უგონო, უღონო, მაგრამ ჯერ კიდევ სულიერი? ხო მოაბრუნა საამწრეთისმოვლოდ, ხო იპოვა, ხო აღარ დაეკარგა ჩვილობაში მის მკერდზე ნაღლილიღვეი, ნათათურები, თოთო თითებით რო უჩიჩენიადა მკერდის ბალანს, იქვე გამთბარი, ზედე ნამოზრადილი პანაწიონტედა, დაფხარცული. ვინ იფიქრებდა, ასეთი კარგი გახდებოდა დიდობაში, ქალიშვილობაში? ვინ იფიქრებდა, ომში ნათადოდა, ტყვედ გაიტაცებდნენ და მანაც მასთან, ოტტოსთან, მოყვარულ ბიძასთან მოაგებდნენ ბედის ზარბი, მბრუნავი ნაღმა-უქლმა? ნუთუ ღმერთი მართლაც მათთან არის და „გოტ მიტ უნს“ ტყუილად არ ანერია ყველა გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის ქამრის აბზინფზე? გახარებულა, ქმაყოფილა, ანი ბედის ანაბარა არსოვს მიატყუებს ჰილდას. დახაფრულია გოგონა, ნერვებდანენილია, აფორიაქებულია. ისეთ მდგომარეობაში იყო, თუ თვალს გაახედდა და, მით უფრო გაიღივებდა, აღარ ეგონა. ამ ბიჭების გამოჩენამ ერთბაშად გაუშალა, გაუფართოვა, გაუხსიერესა და შეზლი და თვალ-ნარბი. ამით ნატრობდა, ამით ნახვას ეშურებოდა. აბა, ესენიც აქ არიან, მის ოთახში და გახალისდა, გაუფერადადა პირისაზე, ღიმილი მოერია ჰილდას. ამიტომაც გულით ენადა, ჩვენთვის ეამებინა, რაც შეეძლო, ის არ დაეშურებინა. მიხედა, რომ ჰილდას უჩვენოდა აღარ გაეძლებოდა. ჩაკეცდა არჩილს, დამუხმარეთ, გვერდით ამომიღვიქითო.

— ჩვენ ტყვეები ვართ თქვენი, — თავისას არ იშლიდა არჩილი, — გუშინდელი მტრები, გვერდით როგორ ამოგიადგეთ?

— სულერთია, შტალინისათვის თქვენ უკვე მოლაღატები ხართ, — ერთ დასაინწყუნებელ მოსაზრებას კიდევ წაეტანა ჰაუპტმანი, — იქ მისაბრუნებელი პირი აღარა გაქვთ.

— ფიცო.

— გაგიჭირდებათ ბანაკში.

— ომში გინახავთ სადმე დაღვინებული ჯარისკაცი?!

— სხვა რომ არა იყოს რა, შიმშილს ვერ გაუძლებთ, — არ იძლიდა თავისას ჰაუპტმანი, — შტაბლინმა უარყო საერთაშორისო ნი-თელი ჯვარი, თქვენი ქვეყანა არ არის მიაი წვერი, ამიტომ ვერ დაგებმარებათ თქვენ ნითელი ჯვარი.

— ყველანი ხო არ დავიხოცებთ? — ჯი-უტად იგერიებს არჩილი ბელერის არგუმენ-ტებს.

— თქვენ, ქართველები მაინც რად იყ-ლავთ თავს?!

— ჩვენ თავს არ უვლავთ, ჩვენ გვკლავენ.

— მერედა რისთვის?!

— ოშია.

— ეს ხომ თქვენი ომი არ არის?!

— ამჯერად ერთადა ვართ.

— რუსების ოშია ეს.

— ჩვენიც.

— რატომ?!

— თქვენი მახვილი ჩვენსკენაც არის მო-მართული. ქართველები ვერ ეგუებიან დამ-პყრობლებს.

— ჩვენ დასაპყრობად არ მოვდივართ.

— აბა, რად მიიწვეთ ასე გამშაგებით?!

— კომუნისტებისა და ებრაელების გასაფ-ლტობად.

— საქართველოში ბევრი კომუნისტი, ებ-რაელებიც ბევრი არიან. არ დაგემორჩილე-ბიან. თქვენ ამბობთ, რომ ამჟამად ჩვენ და-მპყრობლების ხელთა ვართ. ერთი დამპყრო-ბელი თუ მეორე თუ შეიცვლება, ამით ჩვენ რას მოვიგებთ?!

ისე უტყვდა არჩილი ჰაუპტმანს, — შეტე-ვაც იყო ეს და თავდაცვაც, — სობრაზისა არა ეტყობოდა რა. ეს მართლაც ასე იყო. არ-ჩილის გაბრახება არც ისე იოლია. დინჯად, აუჩქარებლად და ფიქრინად გამოთქვამდა თავის აზრს, პასუხობდა ოტტო ბელერს.

ჩემი დაკვირვებით, არც ოტტო ბელერს ეტყობოდა სიფიცხე და განიზმატება. თავისი ყველა არგუმენტი უძლური აღმოჩნდა არჩი-ლის გულწრფელსა და შენივთულ მსჯელობის წინაშე. სწორედაც შენივთული და შეუძლებ-ლი იყო მისი პასუხები, არცერთი ზედმეტი და ფუყე სიტყვა, ყურით მოთრეული და გა-ნგებ შეთითხნილი აზრი არ ახლდა მის მსჯე-ლობას. აღბათ კამათის ამგვარი მდინარეა და მარნშიწებლად მოქმედებდა ოტტო ბელე-რზეც. ის ხანგამოშვებით, არჩილის პასუხის შემდეგ, შერეოდებოდა, მკლავს მოხრიდა, ხე-ლისგულს თმაზე გადაისვამდა, მერე თითებს ბაკებზე მიიღებდა, მეორე ხელს მუშტს მოხრილი მკლავის იდაყვს შეუყუდებდა. ხან ამგვარად მდგარი წარმოთქვამდა თავის აზრს, ხან მონყვეტილ ჩამოყრიდა მკლავებს, პი-

ლდასკენ შებრუნდებოდა და ქუჩაყუჩე-ერჩე-ლისკენ მდგარი განაგრძობდა დაღვინებულს შერე ისე შეუბრუნდებოდა არჩილს და თა-ვის სათემელს აუღელვებლად და აუჩქარე-ბლად ამბობდა.

გენადი პირდაღებული უსმენდა ამ დი-ლოგს, ერთი სიტყვაც არ წამოცდენია, ხან-დახან ჰაუპტმანი მასაც გადმობუდავდა ლა-პარაკის ფროს, თითქოს მისგანაც ითხოვდა, შენ რა აზრისა ხარო, მაგრამ გენადი არ ჩა-რუღა მათ პაექრობაში.

რასაკვირველია არც მე გამომიღვია თავი, არც მეონდა ამის სურვილი, რადგან ჰილდა უფრო მტხად ბიძამისის თავგამოღებულ და-ვას კი არ უსმენდა, სულერთთავად ჩემსკენ იყურებოდა. ჩიტის ნაფებურივით, ღიმილის პატარა კვალიც აჩნდა სახეზე და სულ მეგო-ნა, ჰა და ჰა, რამეს მეტყვის და ამით საუ-ბარს შეანყვეტილებს-მეთქი. ამიტომ მე თვალს ვარიებდები, თავი ისე შეჭირა, თითქოს ღრმად ვიყავი ჩართული არჩილისა და ბიძამისის კამათის მოკრეში.

წანილობრივ მართლაც ასე იყო. ვფიქრობ-დი, არ გადააჭარბოს არჩილმა, ვაი, თუ რამე ვერ მოზომოს. ჰილდას სტუმრები კი ვართ, მაგრამ ხო მაინც ტყვეები ვართ, ვინ იცის, ამ გირმანელ ოფიცერს როგორ შეეცვალოს გულბა-ხასიათი, არჩილმა რო მფულარე გა-დაასხას გულზე.

მაგრამ ვხედებოდი, რომ ჰაუპტმანს გულ-წრფელად სურდა ჩვენი აყოლიება, ან ჰილ-დასგან იყო საამისოდ აჯერრიგად მოწუსხუ-ლი, ან თვითონ სურდა, განამებულ ძმისშვი-ლისათვის რამე ეამებინა და რაკი მიმხდარე-ყო, რომ ჰილდასთვის ახლა ყველაზე დიდი სიამე ის იქნებოდა, ყოველდღიურად ჩვენ-თან ახლოს ყოფილიყო, ამიტომ ცდილობდა არჩილის გადაბირებას ასე თავგამოღებით.

ეს რო გავიხარე, იმასაც მოვხედი, საუბრის დროს რას ფიქრობდა ჰაუპტმანი. გაჯერტე-ბულ არჩილს რასაც ეუბნებოდა, ხო მესმოდა, მაგრამ ნათქვამის უკან ნაგულისხმევი სიტ-ყვებიც მესმოდა: „შე კაი კაცო, რა გინდა, რაც ჰილდას უბედურება შეხვდა, სულ შე-ნით მოხდა. მაშინ თქვენთან ყოფნა მისთ-ვის უბედურება იყო, აბა, რა იყო? ახლა თქვენთან ყოფნა მისთვის ბედნიერება იქნე-ბა, გამოვა მშობე მდგომარეობიდან, გაიხა-რებს და რატომ არ გინდა ეს? რატომ არ გინდა გაიხაროს შენს მიერ განამებულმა ჩე-მმა საბრალო გოგონამ?!”

აღბათ ამის გამოც იყო, უტხად მოტყვდა ჰაუპტმანი, არჩილმა რო თქვა, ამით ჩვენ რას მოვიგებთ, ერთი დამპყრობელი თუ მე-ორე თუ იცვლებაო, აღარაფერი უპასუხა, ხელი ჩაქცინა, ჰილდასთან ახლოს თავის სკამზე ჩამოჯდა და თქვა:



— დაეანებოთ თავი პოლიტიკას. მე არ მიყვარს ავტოკრატია და პოლიტიკა. მე ჩვეულებრივი გერმანელი ვარ და მოვალეობას ვუბდი აქ. გასაჭირშია ჩემი პილდა და მის წინაშეც მოვალე ვარ, მინდა, როგორმე გამოვიყვანო ამ მდგომარეობიდან.

— ჩვენ პილდას შეგობრები ვართ, მაგრამ რასაც თქვენ გვთავაზობთ, ის ჩვენ არ შეგვეფერება. ამ განამებულ ტყვეთა ბრბოში წესრიგი რო დაამყარო, ხელთ კეტები და მათრახები უნდა მოიპარჯვო. ჩვენ ამას ვერ ვიხამთ. გთხოვთ, ბატონო ოფიცერო, გვაპატრონო ეს კადნიერება, თქვენი კოილი სურვილებიანათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

— მერე არჩილმა პილდას მიმართა: — გვაპატრუე, პილდა, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. შენ გავვიტებ ამას.

ქადაგება

სწორედ მაშინ, როცა კარი გაიღო და გერმანელმა ეფრეტორმა ტაბლავი დაწყობილი ბუტერბროდები მაკიდაზე დადო, არჩილმა, ნახვამდითო, თქვა და ღია კარისაკენ წავიდა, გენადიც მიიყვებ, რა თქმა უნდა, მეც მათ ავედევნე, მაგრამ უცებ პილდას ხმა შემომესმა:

— ბუფუ, შენ ცოტახნით დარჩი. ის იყო, არჩილი კარში გავიდა, გენადიც კარს მოეფარა, როცა ეს ხმა შემომესმა. ჩემდაუნებურად შეფრთხი და პილდასკენ მივბრუნდი. პაუპტმანიც წამოდეგა, ღია კართან ატუბუღმა საღადათმა ჯერ ის გაატარა და მერე თვითონაც გავიდა, კარი მიიხურა. დავბებინე, მარტოცა დავრჩი პილდას ოთახში და ვერ მომესაზრებინა, რა შეენა.

— ბუფუ, დაჯეცი, — მითხრა პილდამ. დაეჯეცი.

— რატომ არაფერს ამბობ? — მკითხა პილდამ.

— რა უნდა ვთქვა?! — ვუპასუხე ძლივს-გასაგონად.

— მითხარი რამე.

— კარგი ბიძა გყოლია. არ არის ურიგო კაცი. — მოვახერხე ამის თქმა.

— ჰო, ჰო, ბუფუ, — შეიშუმუნა საწოლში პილდა. გვერდულად დანვა და თითქოს ჩემთან საუბრის ძივს ხელი წავაგლო, ხალისიანად განავრძო: — მაგის ხელში ვარ გაზრდილი, არ არის ფხუკიანი და უზრდელი.

— ფხუკიანი და უზრდელი კი არა...

— კარგია, რომ ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩა ბიძაქმზე. — შემანყვეტირა პილდამ.

— ბედი მქონია, რომ აქ შემხვდა.

— მართლაც ბედი გქონია.

— იცი, რატომ ჩამოგამოხრე ამხანაგებს? მე მხრები ავირჩე.

— რაღაც მინდა გითხრა. ყველაფერი ვერაფერად გეტყვი. არ არის საჭირო, გვიღებოთ ინტერვიუ აი, შენ კი, ძალიან მინდა იცოდეს. იმ ღამეს, ნავი რომ გადაყირავდა და ზღვაში მოვადინე ტყაპანი, ისღა მახსოვს, რომ წამოვიძახე, ბუფუ, მიშველე-მეთქი.

— მე რაღას გიშველიდი? — დაუფიქრებლად ვთქვი და სკამზე აენრიალდი.

— ძალიან შორს კი არ ვიყავი ნაპირიდან.

— მაინც.

— ალბათ მეგონა, მოგწვდებოდა ჩემი ხმა, შეიძლება იმიტომაც დაგიძახე.

— რო მომწვდენოდა...

— რო არ მოგწვდა, რო ვერ გაიგონე, მომინდა, ახლა მაინც გითხრა. ყველაფერი გულში ხო არ უნდა შეინახო კაცმა.

— ვერ დაგიმალავ, პილდა, მეც ველარ ვახერხებ ყველაფერი გულში ჩავიშარხო, მახარებს, რო გახსოვარ.

— ბევრი ვიფიქრე.

— საფიქრალს რა გამოლევს.

— ორიოდე კვირაა, რაც ვნეეარ, გონს რო მოვებე, იმის მურე სულ ვფიქრობ.

— მწოლარემ, აბა, შეტეი რა უნდა აკეთო.

— ფიქრიც არის და ფიქრიც.

— ასეთი რა ნაკვიებია?!

— ქვეყანა როა მოწყობილი უკუღმართად.

— ქვეყანას თავისი წესი და რიგი აქვს.

— მეც მაგაზე ვწუხვარ, სულ თავისი წეს-რიგით უნდა გვაბრუნოს და გვათრიოს, ჩვენს პირად სურვილებს ფხებვემ მოიქცევს და გასრებს.

— ქვეყანაში ჩვენს გარდა მილიონობით ადამიანია და ყველას კერძო სურვილს რო აპყვთ, რაღა ქვეყანა იქნება.

— ხანდახან უსამართლობაა.

— ეს ჩვენ გვგონია ასე, თორემ ქვეყანას თავისი წესი და რიგი საშარტლიანად მიაჩნია.

— რა საშარტლიანობაა, რაც ჩვენს შორის ხდება?!

— ოშია, პილდა, ომსაც თავისი წესრიგი აქვს.

— ტყვე ხარო და, გატყობდი, იმისი გეშინოდა, არაფერი წამოგცდენოდა ჩემთან. მეც შებორკილი ვიყავი მტრობის ბორკილებით. მე და შენ ხო არ აღმოვჩნდით ერთმანეთის მტრები?!

— არა, მაგრამ...

— რა მაგრამ, რა ჩვენი ბრალია, ასეთები რო აღმოვჩნდით? ჩვენ ხო არ გვიძებნია ერთმანეთი, შენ ხო არასოდეს ვიფიქრია, აუცოლებლად მტრის გოგო უნდა შევიყვაროო? ანც მე მომსვლია ეს აზრად ვიყვედი ჩემს მიწურში, იოტისოდენა სურვილიც არ მქონია, ამ თავსხმაში გადავალ რუსებთან,



მოგზაზე, ბუდუს და ენახო ერთი, რა ბიჭიათო.

გვეამ მანქანა ეხოს სიღრმეში შეიყვანა და სწორედ თავიანთ ნასახლართან გააჩერა იმ ფიქრით, სანამ ქორნილი და მისი მეორე დღის ხაშთანობა რიგიანად არ ჩაითავდება, გამოყვანა არ დაეჭირდესო, და მზიარულად გადმოყვია მანქანიდან. ეხოში მოფუსფუსე ბიძაშვილ-მამიდაშვილები მათ მეზობლები სიაპოვნებით გადააკოცნა, მათ შორის ჩაგვა და სახიდან სიხარულის ღიმილი ვეღარ მოიშორა. აქ უფრო უჩანალი სიცოცხლე ყოფილა, იქ კი, ციფრებთან და რიცხვებთან, ნიგნებთან და ექალადებთან რაღაც სხვაგვარი მტყვერობა და სიმძიმე ნახვით, რომ თავისუფლად სუნთქვას ადამიანი მშობლიურ ქვეყანა. იქნებ მოტყუვდა კიდევ, სახლი რომ გაყვია. ეს მშვენიერი ტყე მაინც არ უკრას ზედ ამ დალოცვილს. ქვეშით ხეგია და წყალი მუდმივად მიჩხრიალებს, თუ გაუსაძლისი გვაღვა არ არის, ზემოთ კი ტყიაფერდაა. ნახვით, შამშვები სადამდე ჩამოსულანს! არა, არ უნდა გაეყვია თავისი სამოსახლო. გაყოფა თუ აჩუქა, არავინ იცის. აქ რომ სახლი ჰქონოდა და ცოლ-შვილსაც მოჰკიდებოდა... დედის საფლავსაც ხშირად ნახავდა.

— დედის საფლავზე ხომ არ წამოყვანი? გაბებდა გვეამ.

— ახლაც, გვეა, ამ ბიჭებს დავალებას მივიცემ და მე და შენ ნაფიდეო, — გაუხარდა რუხის და ზინას გასძახა რაღაც, მერე ისევ გვეას მიუბრუნდა, — მანქანა ხომ არ დავაქოქო?

— არა, ფეხით გავიაროთ.

— ფეხით სიარული თუ არ დაგაფინჯდა, მაგაზე უკეთესი რა არის... ბიჭულე, მე და გვეა ცრტას გაყოლით და მივე დებურუნდებით. მანამდე გამხადო რამე ქორნილზე გემრიელი პური უნდა ეჭამოთ ამაღამ, თორემ, ხომ იცით, ზვალ ჰენიფის არავის ეცლება.

— ბი არც ზეგ მივდივარ, — ახარა გვეამ ბიძაშვილს.

— შენ განაცალა გვეა, ასე რომ გამახარე! მეუბნებოდნენ, არ ჩამოვაო, და, აი, თუ არა, მთელი კვირით ჩამოხვედი და ეგ არი.

— შეიძლება არც ჩამოვსულიყო, — დონჯად განაგრძო გვეამ ეხოდა როცა გაყოფდნენ, — მაგრამ გულზე ისეთი გრძნობა შემომენტო, თავს ვეღარ მოვერიე დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა ჩემი ყოფილი ეხო-კა-

რის ნახვისა. მეგონა, უვლადფერი ისე ისე იქნება-მეთქი და აქ კი უვლადფერი შევ-
ვლილა.

რეზი დამნაშავესათვის გააჩივლდა. გვამი
შენიშნა და სიტყვა გადააბრუნა:

— ჩემი კი არა, საერთოდ იმ მიადმოსი,
სადაც ბავშვობა გვატარებ. ბოლოს და ბო-
ლოს, მთელი ჩვიდმეტი წელი მიცხოვრია აქ,
ეს საუკეთესო წლები ადამიანის ცხოვრებისა,
მართალია, შეუგნებელი, მაგრამ უვლად-
ზე სასიამოვნო წლები.

— გახსოვს, ა, იმ ქვრამზე რომ ამსვამდი
ხოლმე?

— როგორ არ მახსოვს. მეზობლიდან რომ
ახლაგაულებული ჩურჩხელა მოგაკარინე და
დედაყავა კინალამ გცემა?

ბიძაშვილებმა გულიანად გადაიხარხარეს.

— ვითომ რა, ჩვენ არა გვერნდა ჩურჩ-
ხელები თუ რა იყო?

— არა, მეზობლიაა სეკობა.

ბიჭბებიც იყინოდნენ შუახანს გადაცი-
ლებული კაცები და სასაფლაოსკენ მიმავალ
ოღონო-ჩოღლო გზას მიუყვებოდნენ.

— ეს სახლი ვისია? რა კარგი გემოვნე-
ბით აუშენებია!

— ეს სახლი ისაკოსია. ის — ტიტიასი,
აქეთა — შალვასი, მაგის ქვემოთ გუგულა-
სი! — ერთმანეთზე უკეთეს სახლებზე უთი-
თებდა რეზი და უხაროდა, დიდი ხნის უნა-
ხვ ბიძაშვილს რომ თავის გვერდით ხედავდა.
უწინებოდა, თითქოს ორმოცი წელიწადი
ერთბაშიად ჩამოფერთხოდა მხრებიდან და
ისე იმოღვნა ბიჭი იყო. ნინო ძალიან რომ
ჩურჩხელის მოპარვაზე დაიჭირა. გეგასაც
ასევე უჭყენებოდა, ოღონდ არაფერი არ უხა-
როდა და ეღარაფებოდა კიდეც. ეს დარდი და
სინანული ჯერ კიდევ თბილისში შეიგრძნო,
მერე გზადაგზა გაუცხოველდა და აქ მოსე-
ლისას კი, თუმცა ზეითი შედეგებზე და
ზეითონაც დაფრთხილ ეღიშებოდა, სევეა თა-
ნდათან უკეთარდებოდა და უსიამო ბურუ-
ლის ბაღში ხევედა მის გულს.

სოფელი გალიეს და ერთადერთ გზას და-
ადგინენ, ლამაზ გორაკთან რომ თავდებოდა.
გორაკი ისე იყო დამშვენებული ღამაში სა-
საფლაოებითა და ფოთლოვან-წიწვოვანი
მცენარეებით. რომ სამოთხე მაგაზე უკეთესი
ალარ იქნებოდა.

აი, გვას დაედის საფლავიც! ოთხი მხრივ
რკინის რკუდებით შემოზღუდულ სასაფლა-
ოზე შამბი ამოსულა და წარწერიანი დაფა
ალარ ჩანს. მართალია, ზოგიერთ სხვა საფ-
ლავზე შენიშნა გვამი შამბი და კაჭაჭო,
მაგრამ ღედის საფლავზე ერთად დანახვამ გუ-
ლი ატყინა. წელიწადში მისივე მარცხ რომ
მოდიოდეს, ასე არ მოედებოდა. თუნდაც
მხოლოდ აღდგომას... თუმცა აღდგომაც და-

გავიწყდა და ადამიანის სულისმარცხველი
მართალია, ბოლო ხანს რაღაცეის შესახებ
შემოიღეს, მაგრამ ჯერ დაგვარნებუნეს, სუ-
ლი არ არსებობს და გვედრის პატივისცემა
იცივე მტერის პატივისცემითა და მერე
შემოგვარჩუნეს ხსოვნის დღე. ან რა სარგე-
ბელი მოაქვს ეაცობრიობისთვის ტრადიციის
უბეშ დარღვევას? გვას რომ ჰგონებოდა,
სიყვდილის შემდეგ დედასთან მივალ, მის
საფლავს არასოდეს დაიფრთხებდა. ახლა კი...

გვამი დაფარულკულებიანი კარი გა-
იღო. მათვლი რომ ჰქონდა გაყრილი, შიგ-
ნით შევიდა, სახელოვანი დაიცაინა და შამ-
ხარს გლუჯა დაუნყო.

— არ გინდა, დაისრები! ქორწილი როცა
ჩაივლის, მე თვითონ დავასუფთავებ! — შე-
ჩურებას შეეცადა ბიძაშვილი.

გვამი არაფერი უპასუხა, ისე განაგრძო
გლუჯა.

— აქამდე სად იყავი, ჩემო გვამ? — მო-
ულოდნელად შემოესმა შეიღს დედის კენე-
სანარევი ხმა.

გვას წამნაშები დაუნაშინდა და რეზის
რომ არ შეეშინია, უმაღ ხელის ზურგით შე-
იმშრალა. მერე ცხვირსახოცი ამოიღო და
სახეზე მოიხვია, ვითომცა ოფლი მოვიწ-
მინდუო.

— სახლი რომ არ გაბეჯოდა, ასე არ და-
მივიწყებდი. შე დედამეცვადრო! — მოესმა
ისევე დედის ჩურჩული.

— სახლის გაყოფა რა შუაშია, დედა? —
გულში უბეშად უპასუხა გვამი, ანდა როდის
გავყოფ? ხომ იცი, რომ მუქთად ვაჩუქე?

— ხალხი მაინც ასე ამბობს.

— მერეცა, რა საერთო აქვს სახლის გა-
ყოფას ჩემს მოსვლასთან? ვნდა რეზი დამი-
შლის, წელიწადში ორჯერ რომ მოვიდე და
თითო ღამე დაერჩე? შენს საფლავსაც ვნა-
ხავდი და... — გაიფიქრა გვამი და დედამაც
უმაღ უპასუხა:

— არა, შენო, შენი ფუძე რომ არ მიგე-
ტოკებინა, ასე არ ამოვარდებოდი ცხოვრე-
ბის კალაპოტდენ და ოჯახსაც მოკიდებო-
დი. ნაგუბარში წყალი ჩადებებო, ნათევა-
შია, მაგრამ ახლა სად უნდა ჩადგეს წყა-
ლი, როცა ნაგუბარს აღარაად არის, შენი
უფროსი ძმები მაინც რომ ომში არ დაღუ-
პულიყვნენ, მამამუნის საძეო არ გადაშენდ-
ებოდა.

ეს რა გაახსენა დეამ? ნუთუ ამოსწყდა
მათი საძეო? ძმები მაინც რაღაც უხსენა.
ისედაც გულს უკლავა მათი გაახსენება. მა-
გრამ ასე მიაფრად არასოდეს მონატრებია
ისინი. ცოცხლები რომ კოფილიყვნენ და სო-
ფელიც ეშუშავათ, მართლაც შეიღებითა და
შეიღმყოლებით იქნებოდნენ დაურსულნი.
ახლა კი მხოლოდ გვას ევალება ყოველივე.

მძიმე მოვალეობა დააკისრა დედამ მამისა და ძმების წინაშე.

პეპერას საფლავის ქვაზე ჩამოჯდა გვაბი. იტაურობის დასუფთავება რეზიმ განაგრძო.

— ის ვისი საფლავია? — იკითხა გვაბმ ჯაგის იქით რომ საფლავი იყო.

— ჭკაძეებისაა, თედოს ცოლისა, ქვათედოს რომ ეძახიან.

— ის, გვერდით, რა ქვებია, სხვებიც დაიხოცნენ?

— ეგ პატარა ქვები შინმოუსულელი ბიჭებისაა, ომში რომ დაიღუპნენ.

— მათი საფლავები იპოვეს იქა გვაშები აქ გადმოსავენეს?

— არა, მაგრამ მაინც გააკეთეს სამახსოვრო დაფები. გვარი და სახელი აწერია, დაბადების წლები და ომის დანებება-დამთავრების თარიღი, გარდაცვალების თარიღის ნაცვლად.

ხომ შეიძლება აქაც, დედის საფლავის დაფასთანაც დადგმულყო ისეთივე დაფები, რომლებზეც გვაბს ძმების სახელი და გვარი ამოკვეთებოდა. რამდენიმე მეგობარი მხატვარი ჰყავს და წარწერაში ბევრი არაფერი დაეხარჯებოდა. თუნდაც დაეხარჯოს, მის ხელფასს ამით არაფერი დააკლდებოდა: ბოლოს და ბოლოს, ერთი ღერი კაცია. ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე მოაკითხავდა, საფლავს განმეზღვდა და სანთელს დანათებდა... მარტო, კამ როგორ მოაკითხოს? რა ხალხის აქვს მარტოდ მგზავრობას? მართალია, ბიძაშვილებსა და მეზობლებს მისი დანახვა დედად გაუხარდათ, მაგრამ მაინც შეუძლია დასახლთან სტუმრობა... იქნებ მოტყუვდა, სახლი რომ გაყიდა? კი არ გაყიდა, მუქთად გადააგდო. თუმცა რეზი რომ ძალიან თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს, ესეც ხომ საკმეა? იქნებ ასე სჯობდა.

— ადვილ რეზი საფლავის ქვიდან — მოსულოდნულად შემოსმა გვაბს საყვედურნარევი სიტყვები. ნუთუ პეპერას ხმა? არ მოსწრებია, მისი ხმა არასოდეს გაუგია და ახლა კი... არადა, რა ძალიან ნაცნობი ხმა იყო. ეს ხმა გვაბს მამის ხმასაც წააგავდა და დეიტი გვაბს ხმასაც. აღბათ გვაბს შეილსაც ასეთივე ხმა ექნება. მაგრამ რა ანუხებს პეპერას? ის ხომ მრავლდება? ხედავ რეზის შვილი ცოლს მოიყვანს და ეგებ სამი შვილი გააჩინოს?

— მე კი ეგრძელდები, მაგრამ მამაშენს ვინ აგრძელებს? ეგეც არ იყოს, რეზის შვილის იმედად რატომ დამიტოვე?

გვაბა დაფიქრდა და მიხვდა, რომ მისი მამის ბიძაშვილების — კობას და გიორგის ომში დაღუპვით, მათი გვარის ერთი შტო უკვე გადახმა. იოსების ომში დაღუპვითა და მისი შვილების უძეოდ გადამწერებით მე-

ორე შტომაც შეწყვიტა ზრდა და...
ჯერი გვაბს მამაზეც მიმდგარა...
მისი პაპა ჯერ ისევე გრძელდება რეზის შვილის სახით, მაგრამ რეზი გვაბს მამას ვერაფრით გააგრძელებს.

— რა ძალიან დაღონებულხარ? — კითხა რეზიმ და პაპის ქვაზე ჩამოჯდა გვაბს პირისპირ, — სახლის გაყიდვაზე ხომ არ დარდობ?

რა ძალიან ათქმევინა ეს სიტყვები რეზის? სახლის გაყიდვას, განა ჩუქებაზე? კაცს თუ არუქებ რამეს, სანაცვლოდ ერთი ვამლიც არ უნდა გამოართვა.

— რა? ვთქვი რამე? — დაიბნა გვაბი.

— არ გითქვამს, მაგრამ ისეთი დრო მოდის, ყველა სოფელში იშენებს სახლს. თუ ეგ გადარდებს, ადგილს მოგჭირი და შენც ააშენე!

გვაბმ სასოებით შეხვდა რეზის და მის მიმართ უზომო სიფარული შეიგრძნო. რამ მოაფიქრა ასეთი წინადადება, თუ არა პეპერას სულმა ანდა იმ პაპისამ. რომლის ქვაზეც დაუდევრად ჩამოხვდარა რეზი.

— შენ გენაცვალე, ჩემო რეზი! — წამოაგება გვაბი, რეზის ჯერ ისევე უნაკლოდ შავი თმა თითებით გაუჩერა და ოფლიან სადეთქელზე აკოცა, — პატარაობითვე კარგი ბიჭი იყავი და ისეც კეთილი გულისა ყოფილხარ. ვითომ ადგილი მოგჭირია და ამიშენებია კიდევ — უნდოდა დაემატებინა, სახლის გაყიდვა რად მიხსენეო, რატომ ჩუქებდა არ ჩამითვალეო, მაგრამ თავისი მეზობელი კუკური გაახსენდა გვაბს. ერთხანს, მანქანას როცა გაყიდა გვაბმ და ახალი უნდა ეყიდა, თავის გარაგში მეზობელ კუკურის დააყენებინა მანქანა: გვეყნოს, სანამ ახალს ვიყიდო. თითქმის მთელი წელიწადი ვეღარ იყიდა გვაბმ მანქანა და კუკური ღოცავდა, შენი ოჯახი ააშენოს ღმერთმა, მანქანა რომ გარაგში მიყენია, ღამე არხვინად მიძინავსო. ერთხელ კი, როცა კუკურის მართვის მოწმობა ჩამოართვეს ინსპექტორებმა და გვაბა წაიყვანა გამოსართმევად და როცა გვაბმ მოწმობა კაინში წაუღო, კუკურიმ გამარჯვებული აკიცნა ღმირლით გადაულაპარაკა ინსპექტორებს, არ მომცემდიო და გვაბა დახარალდებოდა, ჩემი მანქანით ყოველდღე მაგას ვემსახურებიო. უწყინა გვაბს, დედად უწყინა კუკურის ნათქვამი, მაგრამ ინსპექტორებთან ხომ არ შეეამათებოდა? მას შემდეგ ბევრჯერ გაახსენდა კუკურის მწარე ნათქვამი, რასაც აღბათ კუკურიმ ანგარიშიც არ გაუწია, და დღეს რეზიმ უთხრა ასეთი სიტყუი. არ უწყინება. რეზი მაინც კარგი ბიჭია, სამოსახლო რომ შესთავაზა.

ისევე მავთულით გახლართა გვაბმ რეზის რკულუბიანი კარი სასაფლაო გადმოიარეს.

ნაწილობა გვარი და სახელები ამოიკითხა გეგამ ზოგიერთ საფლავზე, თანაკლასელებიც კი... მერე ისევ გზაზე გამოვიდნენ და ისევ რეზის წინადადება გაახსენდა.

— სახლი ვისთვის მინდა, ჩემო რეზი, თუ... ნდაც ავაშენო?

— ცოლი შეირთე.

გეგამ მწარედ გაილიმა.

— როდისღა რას მოვესწრები, სამი ჩვიდ-მეტი წელი შევასრულე და ერთი ტანჯვის ჩვიდმეტი წელიღა დამიჩრენია.

თუმცა პირველად მოისმინა რეზიმ გეგას ასეთი ნათქვამი, მაინც ვასაგები იყო.

— რა იცი, რომ სამი ჩვიდმეტი არ დაგ-რჩენია? ჩვენებიანთ სვიმონა სამოცდათორ-მეტი წლისა იყო, მესამე ცოლი რომ მოიყვანა და ზედიზედ ორი გოგო ეყოლა. ხალხი ამბობდა, როდის რას მოესწრება, ეს ბაღე-ბი რომ საძაღლლორედ გააჩინაო, მაგრამ სვიმონამ ოთხმოცდაათთხმეტე წლამდე იყო-ცხლა და დასაფლავებაზე სწორედ იმ სიძე-ებმა სცეს ყველაზე მეტი პატივი.

— რას მეთუზნები? — თუმცა იცოდა, მა-ინც გაიკვირვა გეგამ მისი ნათქვამი.

— საბუარი კი არ გახდა სიბერეში, სიკ-ვედლიამდე ბარი და სასხლავი არ გადაუგდია. დამთვრალიყო და გაციებულყო, თორემ დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

— რას მეთუზნები? — ხელახლა გაიკვირვა გეგამ.

— თუნდაც მარტო ერთი ჩვიდმეტი წელი დაგრჩენადის, რა გენაღლებია, უმადლესში ვერ მოხდება შენი შეილი ჩემი შეილივით, თუ?..

— ყველაფერი სათქმელია. — თვითონაც არ იცოდა გეგამ, რისთვის თქვა ეს სიტყვ-ები, — მაგრამ, რა ეიცო, მაინც მგონია, რომ დაგვიანებულია.

— რაც გაკეთდება, დაგვიანებულად აღარ ითვლება. თუ გაბედავ რამეს, მოგიჭრი ნა-კვთის და სახლის აშენებაშიც დაგებმარები. არადა, სოფელი დაცარიელდა და მეც გული აღარ მიდგება.

გეგას სათქმელი თქვა ამ კაი კაცმა. გე-გამ უკეთესად იცის საქართველოს დემოგ-რაფიული ცნობები და ხედავს, რომ საქარ-თის ეკლესია „მეტება“ ასე თუ გაგრძელდა, სამაისი წლის შემდეგ ქართველთა სახსენებელი აღარ იქნება. ამას გეგა უკვირებს სტუდენტ ახა-ლგანზრდობას და აქ კი, უმცროსი ბიძაშვი-ლი ასწავლის, საშუალო სკოლაც რომ არ და-უმთავრებია. რა ხდება მის თავს? სხვას ას-წავლის თუ სხვები ასწავლიან?

— ვიფიქრებ.

— იფიქრებ კი არა, უნდა გადამწყვიტო. ხშირ-ხშირად რომ ჩამოდიოდე, ჩვენ თვითონ

შეგაბამდით ევენს. აქ ისეთი... ბი არიან... ლამაზი ექიმიც...

გეგას გაეღიმა. გაუხარდა ბიძაშვილი რომ ასე ზრუნავდა მისი კეთილდღეობისთვის. იქ-ნებ ცამდე მართალია ეს კაცი? იქნებ დაგ-ვიანებული არაფერია და ყველაფერს მოეს-წრება? ამ დაჩრდილ წვალების ჩვიდმეტ წელს გაუთავებელი ურჯის მესმეთე ჩვიდმეტ წელსაც თუ მიუვმადტებთ, რომელიც შეილე-ბთან და შეილიშვილებთან სიამოვნების წლე-ბად შეიძლება შეიცვალოს, ყველაფერი მოგ-ვარდება. რეზიმ თქვა, სიმონამ ოთხმოცდა-ათთხმეტე წელიწადს ისე იცოცხლა, ბარი და სასხლავი არ გაუგდიაო ხელიდან. გეგამ კი ერთი მეცნიერიც იცის, ას წელს რომ უკა-კუნებს და კალამს ხელიდან არ უშვებს. მა-რთალია, გეგას ფილოსოფიის მიხედვით, ის უკვე უშველებელი ხრწნადლობის პერიოდშია, მაგრამ არავინ იცის, ვინ რა ასაკში იწყებს ხრწნას. ეგებ ყველასთვის არ არსებობს ეგ პერიოდი? შშროშელი კაცი ხორცს დაკარ-გავს ერთხელ, გამოშრება ჩურჩხელასავით და არის ის და არის სიკვდილამდე ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ეგების გვერც ასე იყოს? ანდა რად უნდა ადამიანს ხანგრძლი-ვი სიცოცხლე, თუ შთამომავალს არ გააშრავს. ვლევს? იფიქრებს, ნამდვილად იფიქრებს ამ საკითხზე. გასათხოვარი მასწავლებლები არი-ანო? მეზობლად მათემატიკის მასწავლებელი ცხოვრობს, ოცდაათიოდე წლისა იქნება, სპე-ტაკზე სპეტაკია, ზელდაუკარებული თვალე-ბში ისეთი მონინებით შეხეციონებს გეგას, ცალმხად რომ უხსენოს ცოლად გაყოლა, ცას მივინჯა. შეულებსაც ბევრს გაუჩენს, რაკი ასე ძალიან უყვარს სკოლისა თუ ეზოს ბავ-შეები.

— მათემატიკის მასწავლებელი მყავს მე-ზობლად, რომ გაუხსახლო, ხვალეც გამომ-ყვება.

— ჩვენს სოფელს სწორედ მათემატიკის მასწავლებელი უჭირს. მაგაზე კარგი საქმე რა იქნება?

— როგორ აქ ვამუშაო? — რაღაც ენიშნა გეგას და თითქოს გაუხარდა კიდეც.

— რა დაშავდება? მაგ მანვანით ნაიყვან და მოიყვან, როცა გაგებარდება. არადა, ის აქ იქნება და შენ ნახვალ-მოხვალ. ელაქამ-დე ერთი საათი უნდა, მეტი ხომ არა.

გეგას გაეცინა და არაფერი უპასუხა. ენა მაშინღა დაძრა, როცა უბანში შევიდნენ.

— აქ ახლა ვინ ცხოვრობს? — იკითხა გზის მარჯვნივ ბაღში ჩაფლულ ორსართუ-ლიან სახლზე.

— ეხლა აღარავინ. დედა და მამა დაიხო-ცნენ, ერთი შეილი ჰყავდათ და ქალაქში ცხოვრობს.

რაზე მუშაობს?



— ღამის დარაჯია, მოდის ხოლმე
 — აქეთ? — ანიშნა მარცხნივ.
 — ის დამბლადაცემული დედაკაცი რომ იყო, შარშან გარდაიცვალა და ეგ კაციღა დარჩა, — ანიშნა კუნძულზე ჩამომჯდარ თავჩაქინდარულ ხანდაზმულ კაცზე, რომელიც თითქმის თვლებშია კიდევ და ახალა გამოფხიზლდა, — თირკმელები ანუხებს მამა საწყალს... გამარჯობა, გოგია... როგორა ხარ, ბიჯო? რას ფაღონებულხარ?

— რა ვიცი, ბიჭი უნდა მოსულიყო ქალაქიდან და... დაიგვიანა. ხომ არაფერი შეეძინება-მეთქი.

— ნუ გეშინია! მოვა, როცა იქნება.
 — შეილზე გუუბნება?
 — არა. ცოლის შეილზე.
 — როგორ თუ ცოლის შეილზე?
 — ეგ აქ ზესიძე არის მოსული და გერი ჰყავს. ის აქცევს ყურადღებას.

— იქ ვინ ცხოვრობს? — იკითხა შემდგომ სახლზე და, სანამ რეზი რაიმეს უპასუხებდა, თვითონვე განაგრძო, — ჩემს ბავშვობაში სამი ძმა ცხოვრობდა ამ სახლში. ერთს შაქრო ერქვა, ერთს ნიკო და მესამეს ლადო. შაქრო და ნიკო ომში დაიღუპნენ და ლადოა დარჩა.

— აღარც ლადოა. იმ ლადოს ერთი ბიჭი დარჩა და ის ცხოვრობს ორი შვილით, იქითა სახლი გამოკეტლია, — განაგრძო რეზიმ, რაკი იგრძნო, რომ გეგა შეითხვეს არ გამოათავებდა, — აქ ერთი მოხუცი დედაკაცი ცხოვრობს, ესეც ცარიელი სახლია. უფრო სწორედ, ცარიელი იყო და ეხლა შესახლდა ვიღაცა. აქვე ერთი დედაკაცი ცხოვრობს, აქაც... აქ ცოლი და ეშარი ცხოვრობს ერთი ღამიანი გოგოთი. აქ მარტო ცოლი და ქმარია. გოგო გაათხოვენ და ბიჭი ქალაქში გადასახლდა.

— ამოდენა სახლს როგორ უფლიან?
 — აბა, რა ვიცი... ესეც ცარიელი სახლია. შეილიშვილი ეპატრონება სხვა სოფლიდან.
 — იმ სოფელში სახლი არა აქვს?
 — როგორ არა აქვს. ბინა იქაც აქვს და ქალაქშიც, მაგრამ აქაც ეპატრონება. მეტი სიმდიდრე ვის გააფურცა?

— სიმდიდრე... — ჩაიციანა გეგამ, — ალბათ გაჟყიდის?
 — მყიდველი ვინ არი? სოფელში სახლი ყველასა აქვს და ქალაქებებს კიდევ აქ ყიდვის ნებას არ აძლევენ. ეხლა ვერაშრა ის ბიჭი. როცა ჩამოვა, არ ვიცი, სად დასახლდება: თავის სოფელში, ამ სახლში თუ ქალაქში... ეს სახლიც ცარიელია! — ანიშნა შემდგომ სახლზე. ერთი დედაკაციღა იყო და ამას წინათ გადაუხადეთ წლისთავი.

მწარედ ჩაფიქრდა გეგა და უსწაური აზრი მოუვთა: ერთი ბულდოზური უნდა მიუყენოო

ამ სახლებს და მთლიანად ხევში ჩაატანინოო. თავის ბავშვობაში ამ უბანში მოდებოდა მისი ამული ისმოდა. ომის დანუგებამდე მისი აუტყვევით ბავშვებს. თვითონ ძალიან პატარა იყო, მაგრამ მიანიც ახსოვს, უბნის ბიჭები მათ ეზოში რომ თავს მოიყრიდნენ, ტყეა აღარ იყო.

— გაყო, შვილო და გზაზე ითამაშეთ, ხომ ხედავთ, სახნულობა აღარ არის! — ტყუილად ხოლმე ბავშვებისაგან თავმოებრებული დედა, თავის ხუთ შვილს რომ ხუთჯერ ხუთი სხვა ემატებოდა, და ბიჭების ლაშქარი ეზოდან ისე გაეარდებოდა, გეგონებოდათ დედობაზე მიუხარიათო. მერე ის ლაშქარი თითქმის მთლიანად ომში წავიდა და მესამედვიდა თუ დაბრუნდა. დარჩენილებმა კი ვერაფრით შეაქნეს მათი დანაკლისი. ან როგორ შეაქნებდნენ, როცა ერთზე და ორ შვილზე მეტი არავინ იყოლია, შენახვა გვიჭირსო. ახლა ბევრს არ უჭირს, მაგრამ მიანიც აღარ აჩენენ. ამონწყეტლია ეს უბანი და ეგ არის რეზის ერთადერთი ვაჟიშვილი რა ზღედა გასკდება. ხომ შეიძლება, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ უშვილო ცოლი გამოაფეტს. მაშინ უკვე გვარიც ამონყდება. სოფელი სხვადასხვა გვარებით შედგება, ქვეყანა — სხვადასხვა სოფლებით. ერთი გვარის ამონყვება სოფლის სხეულზე უდიდესი დანაკლისია და ერთი სოფლის გაუქმება ერის სხეულზე — აუნაზღაურებელი ზარალი. რაღა ერთისა და ათისა და ასისა არა. მერე ალბათ ის სასაფლაოც ნარკულით დაიფარება... მაგრამ დედამონაზე რომ ხალხი მრავლდება? აი, ეგ არის ჩვენი უბედურება.

გეგამ შიში იგრძნო. ასე ნათლად არ წამოედგინა საქართველოს დაღუპვა. ფიქრობდა, ათასეულ წლებს თუ გაუძლო, ახლაც გაძლებსო, მაგრამ სხვა რომ მრავლდება და შენ მცირედები? მას მოლოდინ განგამის ხმებად ეჩვენებოდა დემოკრატიზაცია ლაპარაკი. ეგონა, აგიტაციას უწევდნო ახალგაზრდობას და სინამდვილეში კი ასე მძაფრად არ არისო საქმე. საქართველოს მოსახლეობა რეჟიმებზე და მრავლდება, მაგრამ ენისით მრავლდება?

— აუცილებლად მოვიფიქრებ მაგ საკითხზე! — გადაჭრით განაცხადა გეგამ რეზის გასაგონად, როცა ბიძაშვილია ქიშკარი შეუღო და წინ გაატარა.

— რაც გითხარი, ჩემი მხრიდან ნაღდი ვარ. აი, ბიჭებია მოსულანი! — მწვანე „ტოპულზე“ და სათონებში მოსაუბრე ბიჭებზე მოუთითა რეზიმ.

— ხიზილალა მოვტანეთ, — შეეგებნენ ბიჭები გეგას და რეზის, — გეგას ხელი ჩამოართვეს, ვისაც არ ენახა, მოიკითხეს და თავით ფეხამდე შეათვლიდნენ. — რა... ?



ვიტანეთ, სათალიც ვიმოვეთ, მაგრამ ცოცხალი არსად იყო.

— იყო, მაგრამ, შევატყუე ძველი იყო და არ წამოვადლებინე. — ჩაიტრიაბა ტანდაბალმა მწითურმა კაცმა, რომელიც გვგამ ვერა და ვერ იცნო, თუმცა თავად ძალიან შინაურულად უღიმოდა და ეტყობოდა, თავსაც აწონებდა, ახლაც გვგას გასაგონად თქვა ეს სიტყვები. ამით დაარწმუნა გვგა, რომ ამ სახლის კეთილისმსურველი ვარო.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? — ამოიხიზნა რეზიმ, — ეკორნილს რა ლაზაით უნდა ჰქონდეს, ცოცხალი რომ არ იყოს.

— მაგაზე ნუ შეწუხდები! — თავის ცხვირწინ გაშლილი ხელში ვასასვსავა დაბლმა კაცმა, — მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!

— შენ რა უნდა იცოდე, თუ არსად იშვებ? — იკითხა რეზიმ.

— წავიღებ საჩხრეც ბადეს და დილაზე ხუთ-ექვს კილო თევზს ჩაგაბარებ. მეტი არ გავინდა. თითო თევზზე ოთხი ცალი არ უნდა ადგომს, მეტი ხომ არა. ოღონდ მოხარშვით ვერ მოეხარშავ. ერთი კარგი მოხარშავი უნდა ვიშოვოთ.

— მოხარშავზე იოლი რა არის, თუკი თევზს დაეჭვრთ, — გააადვილა რეზიმ და ცხვირწინსკარტა, მაღალ კაცს მიუბარუნდა, — შენ ხომ იცი თევზის მოხარშვა?

— არა. მე შინაურებისთვის მოეხარშავ. მაგრამ საქორნილოდ ვერ ვითავებ. ისე უნდა მოიხარშოს, რომ ოდნავ არ დასკდეს, ხუმრობა ხომ არ არის?

— გუგულამ ხომ იცის ანდა ანხორამ?

— ვერც ეგვინი ითავებენ.

— მაშინ მე თვითონ მოეხარშავ.

— გაგიფუჭდება და სტუმრებთან შევრცხვებიო.

რეზიმს ენიშნა. ბევრჯერ ჩაშლია თევზი, მაგრამ მაინც უჭამია, რაკილა ძალიან უყვარს. სტუმარს კი... სტუმარს ვერ მიუტანს ჩაშლილ თევზს.

გვგას გაუკვირდა მათი საუბარი. თევზის მოხარშვა და მწვადის შენვა მისი სტკიცია იყო. სამდე ექსკურსიაზე როცა მიდიან, ასეთ საქმეებში გვგა პირველია. თევზის რამდენიმეგვარი მოხარშვა იცის, ერთნაირი კი არა. სანულებლით და უსანულებლოდ — უბრალოდ დაფინასა და მარილწყალში. გნებათ, ისე შეანულებს, რომ წვენი დაილეოდეს. აქ რაღა დაემართება? თევზი იყოს, თორემ...

— ბიჭებო, თქვენ თევზის დატყრა შესძელით და მოხარშვა ჩემზე იყოს. — გაბუჯდა გვგამ და ყველანი გამოცოცხლდნენ: პროფესორი კაცის დაპირება ხუმრობა ხომ არ არის.

— მოხარშვა კარგად იცით? — გაბუჯდა ტანდაბალმა.

— ვერ კიდევ მოცემბნობს, სპეციალისტი და, თუ ვერ ეიპოვით, მე მოეხარშავ.

— ხარშვით ხოლმე? — ჰკითხა ვილაყამ.

— რა თქმა უნდა ჩემს გვერდით ერთი ჟურნალისტი ცხოვრობს, განთქმული მეთევზეა, როგორც თევზს დაიჭურს, მაშინვე მე მირევავს: თევზს მოვიტან და მოხარშეო. მარწმუნებს, შენზე უკეთესად ვერაიერ ხარშავსო ჩემს ნაცნობებში.

ყველანი დამშვიდდნენ. იფიქრეს, თუ პროფესორის საკადრისად მოიხარშება და იმ მოხარშულს განთქმული მეთევზე არ სწუნობს. ჩვენი სტუმრები რაღად დაინუნებენო.

მეორე დღისას სანამ გვგა ლოგინიდან ადგებოდა და ეზოში გამოსვლას მოახერხებდა, რეზიმ ახარა, ნახევარ ფუთამდე თევზი დაუჭვრიათო, თანაც სულ მურწა და ხრამულიო. ეგ კიდევ არაფერი: ისეთი თანაბარია, თითქოს საგანგებოდ დაურჩევიათო. ცოცხალი, ხომ იცით, რომ არც ძალიან წვრილი უნდა იყოს და არც მსხვილიო. ყველაზე გემრიელი ციფის სიგრძე მურწაა, მაგრამ თევზზე დასადებად უფრო პატარა სჯობიაო.

გვგამ ძველი ტანსაცმელი მოსთხოვა რეზიმს. რეზიმ ძველი არ აჯადრა. რიგინი ტანსაცმელი ჩააცვა და ლამაზი წინსაფარი ააფარა, მგონი თავისი მუღლანსა. თვითონაც წინსაფარი აიფარა და თევზის გასუფთავებას შეუდგნენ, სანამ საუზმეს გაამზადდნენ. მერე, როცა წაინაუზმეს, გვგამ ქვაშირილი მოითხოვა და საკმაოდ დიდი ქვაბი, რათა თავისუფლად მოთავსებულყო თევზი. ახლა მხოლოდ ცეცხლი ამინთეთ და დანარჩენი მე ვიციო.

ცეცხლი აუნთეს, ზედადაგარი გაუმაგრეს, მოწონებულ ქვაბში წყალი საქმარისად ჩაუსხეს, როგორც ეს გვგამ ურჩიათ, და ცეცხლზე შემოდგეს.

ლომლიანი სახით დაელოდა გვგა მარლის მოტანას და მისი ფიქრები გუმოდელ ნათქვამს მიუბრუნდა. ვინ რა იცის, იქნებ გვგაც მოეწაროს თავისი შვილის ქორწილს? ამ ბიჭებსაც დაიპატივებს და ყველა საქმეს თვითონ გაუძღვება. მართლა ისეთი ხანმოკლე კი არ არის ეს ნუთისოფელი როგორც ზოგიერთს ჰგონია. მოგწყინდება სიცოცხლე და მაშინ მოგაკითხავს სიყვდილი. მანამდე კი რამდენს გაიხარებ შეიღებთან და შეილო. შეიღებთან. ნათქვამია, შვილი სატანჯავად ჩნდებაო, მაგრამ შენს შვილში რომ შენს წინაპარს ხედავ, მაგაზე ბედნიერება რა უნ-



და იყოს. შენს უკუდავებას რომ გრძნობ და განიცდი, მაგაზე მეტი საიმედოება როგორ-ღა უნდა განიცადო? ქვემარლის მოტანა დააგვიანებს და წყალი უკვე გათბებოდა კიდევ გეგამ კი ცივ წყალში იყოს თევზის ჩაყრა.

— გამარჯობა! — თავზე წამოადგა ოჯახის დიასახლისი.

— გაგიმარჯოს ჩემო რძალო! — მიუგო გეგამ და ახლა შენიშნა, რომ ზინას მოხარული თევზის თვალები ჰქონია. კი მაგრამ, რატომ გამოსცრა კბილებში გამარჯობა? წელან ხომ შენიშნა გეგამ და მიესალმა კიდევ. მგონი, მოკითხა კიდევ, მაგრამ ზინამ არაფერი უპასუხა. ხომ არაფერი ანეუნიან თავისდაუნებურად? რა მოხდა ისეთი?

— თქვენ დაგვიბარებთ ვართ და რა გნებავთ?

— იკითხა ზინამ უფრო ცივი ხმით.

— მე არ დამიბარებინარ.

— რა ვიცი, მარალი უნდაო, და, აი, მა-რალი აქ არ გივადათა?! — მოუთითა ზინამ ექსტრამარლის კოლოფზე.

— ჰო, ქვემარლი მოკითხოვე.

— ქვა რაღა და დაფუთი რაღა? — დამცინავე ღიმილი გაუერთა ტუჩებში.

— ქვემარლი ამბავებს თევზს და ადვილად არ იშლება, კარგ ფერსაც აძლევს, ხსნარი ჯერდება და არც მღამდება.

— ეგ პირველად გაიგონე.

— მომიტანეთ, თუ გაქვთო.. თუ არადა, ექსტრამარლისაც ვიხმარ, მეტი რა გზაა.

ზინა უხალისოდ გაბრუნდა და მცირე ხნის შემდეგ უშველებელი გონი გამოუტანა.

— ჩაქურცი მიშოვე!

— მერე აღმათ ლურსმანსაც მომთხოვე, — გადართაქანა ზინამ ვიღაც მეზობელს და ხმამაღლა გააკინა. ჩაქურდი დროზე მოუტანა, ქვაბს ახადა და წყალში ჩაიხედა: — ეს რამდენი წყალი ჩაგისხამთ? — იკითხა გაკვირვებით, როცა გეგამ მარალი გატეხა და საკმაოდ მოზრდილი, დაფუფხვილი ნატები ქვაბში ჩაუშვა.

— ნებოვრად უნდა მოიხარშოს, რომ არ დაიშალოს.

— მე ჩემებურად ჩავასხი და დამამატებინა, — შესჩვილა იმ ქალმა, წელან რომ ზინამ ხმამაღლა გააკინა.

— ნებოვრად მოხარშვა აღარ გამოვიცა, — ჩაილაპარაკა ზინამ იმავე ქალის გასაგონად და ვითომ გაბრუნდა. სინამდვილეში კი შორიხლოს გაიქცა და თვალთვალი დაუწყო. რას იხამს თევზის მომხარშავი.

გეგამ კიდევ მოტანა მარლის, მაგრამ ეპატარაა, მერე კიდევ და ორი ნატები ჩაუმატა.

— ეგ რამდენი ჩააგდეთ, ბატონო! — ვალარ მოითმინა ზინამ, გეგას შეაქუქა და დამცინავე ღიმილით მიაპყრო თევზის თვალები.

გეგა დაიბნა. თუმიცა დაწმუნებული იყო, რომ მარალი ზომიერად უყო და კიდევაც ცოტათი გული ეთანადებოდა, ვაი, თუ არ ეყოსო, მაინც დაეჭვდა, მართლა ბევრი ხომ არ მომივიდაო.

— ბევრია?

— ცოტათი კი არა, ძალიან ბევრია. ამოდენა მარალი რად უნდა თევზს? მაგას ვინღა შესტამს? არც ამდენი წყალია საქვირო.

ზინამ მოზრდილი სანუნით წყალი ამოამხო, მერე მოუტრია წყალა, ხელი ჩაყო, გლოცა, შესაბარლისად დაილრჯა და თავი გაიენინა:

— ოჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა ძან მღაშეა! — მერე ქიტი მოძებნა, მარლის ნატებები სათითაოდ ამოლაგა და ნაქირავებ მაგიდაზე დაალაგა ურთმანეთის გვერდით.

— უმარლო გამოგვივა, — უმწიოდ გაიბრბოლა გეგამ, მაგრამ ზინამ ისეთი დამცინავე თვალებით შეხედა, კამათი ვულარ გაუბედა.

— დაილოდე, აფულდება და ჩაყარე! — დაარჩია ზინამ, როცა საკუთარ ძალებში დაწმუნდა.

— ჩაყრით მანამდე უნდა ჩავეარო, სანამ აფულდება, — შეუდავა გეგა და ბავშვივით განითლდა.

— აუფულარ წყალში თევზის ჩაყრა ვის გაუგონია?!

— მდულარეში რომ თევზი ჩაყარო, მაშინვე დასკდება, — გეგამ შედავება დააპირა, მაგრამ ზინამ ისევ გამანადგურებელი ღიმილი მოიშველია, თვითონვე დაელოდა წყლის აფულებას, თევზი ჩაყარა და დაარჩია:

— ეგა თხლა მოხარშე! ხომ შეატყობ, როცა მოიხარშება.

— როგორ არა, — ამოლერდა გეგამ, — უნდოდა, ეთქვა, თევზს როცა შეწნაირი თვალები გაუხედა, მაშინ მოიხარშებაო, მაგრამ ვულარ გაბედა.

— ე, სოფელი ყველას უნდა, მაგრამ ძნელია, სოფლის საქმე. — როცა გაბრუნდა, ჩაილაპარაკა ზინამ იმ ქალის გასაგონად, წელან რომ ხმამაღლა გააკინა და ახლაც საკმაოდ გაამხიარულა.

გეგა ცოცხალ-მკვდარი დაელოდა წყლის ერთ გადმოფულებას. ეს კი კარგად იცოდა. წერილ თევზს რომ წყლის ერთი გადმოფულება ჰყოფნის, როგორც კი ქაფს ამოკურს



და დუღილს დაინყებს, უნდა გადმოიღოს, თორემ ჩაიშლება.

ასეც მოიქცა: ამოდულდა თუ არა, ამოდება დააპირა, მაგრამ ერთიანად გაფლავდა ასეც იცოდა. თევზის მოხარშვა თუ გინდათ, გრილ წყალში ჩაყარეთ ნებიერად, მარილი არ დააკლოთ და ამოდულებსთანავე გადმოიღეთ და ჩაფლავება თუ გნებავთ, წყალი და მარილი დააკელით და ქაფქაფა წყალში უძახეთ.

ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა გეგამ, მაგრამ ვინ დაუჯერა?

არც ერთი თევზი არ დარჩა მთელი. გემონახა და მთლად უმარილო იყო. მერე სხვამ შეამონმა, მერე სხვამ და...

- თუნი მოხარშეს? — იკითხა ვიღაცამ
- ფლავიც გააკეთეს.
- ვინ ხარშავდა?

— პროფესორი.

— კაცო, ყველამ თავის საქმეს დააყენა დას. პროფესორი რა შეამიშინებდათ, კა ვიღაცამ.

მანქანა შიგნით ქობდა გაზრებული და აქეთ მაგიდები იყო გაშლილი. ასე რომ არ ყოფილიყო, გეგამ მაშინვე დაქოქავდა და ქალაქისკენ დაემშებოდა.

— ხინა, თევზი გაფუჭებულია. — შესჩივლა ვიღაცამ.

— რა ვერა. გენაცვალე, ყველანი ცოდნას ჩემულობენ და... — თევზის თვალებს უტიფრად აჭრიალებდა და საქმიანი ქალის იერით შეუჩერებლად დადიოდა აქეთ და იქით.

მან შემდეგ აღარც სოფლისკენ გაუხედია გეგამს და აღარც ცოლის შერთავზე უფიქრია. როგორ დაარწმუნოს თავისი სოფელელები, თევზის მოხარშვა რომ ძალიან კარგად იყოს?

საკანონი 54

სარეცხის თოკზე ჰკიდია ქარი,
დააქვს უბნიდან უბანში კორი.

მონაცრისფერო ამინდი არი,
თვალსაწიერი ვიწრო და შორი.

• • •

განწირული ძახილის გაელვება,
ფერფლად შერევია ნაცარს გული.
დანალვერდლებული ცეცხლის აღზე
ღვრება
ნერვი — დაწვევებამდე დაძაბული.
სასმისში სისხლიანი ტყვია გდია,
სიმწრისგან იცინის ორეული.

ვიღვიძებ, სიწყნარე და წყველიაღია,
მამშვიდებს ნათება შორეული.
გამოსავალი, არა, აღარ მრჩება,
უნდა ღამის ტეხვა ავიჩემო.
ტანჯვა-წამებას სული გადარჩება,
ხილვებიც დამტოვებს ავი, ჩემო.

• • •

ცეცხლი არ უნდა ჩაეაქრო,
ვერ გამტებთ ტყბილის ენითა.
მანდავ ვიქნები, გაეა დრო,
რახელაც გინდა ქენითა.

საწუთრომ ვერა დამაყო
ღლე-მუდამ მჭილის ქნევითა.
ჩამაეს ნისლმა დამათრო,
ამამდინარმა ქვენიოთა.

გიორგი ნატროშვილი

უმცროსი ქმის ფუთისოფელი

1989 წელი — ეს არ იყო იუბილეებისა და ზეიმების დრო, ეს იყო ერთიმეორეზე გადაბმულ უბედურებათა წელი, აღსავსე სატანჯველით, მოთქმითა და ვაი-ვაგლაბით.

ეს იყო წელი, როცა ბარათაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, ქვეყნად „დაპქროლა ქარმა სასტიკმა“, დააზრო სოციალურად სავსე ყვავილები და „დრომ უქამურმა“ ცრემლით მორწყო მიდამო, დააკარგინა კაცს სიზარული და გაუხშირა „მწარენი კირნი გულისა“.

თითქმის საუკუნენახევრის წინათ დაიწერა ეს სიტყვები, მაგრამ ვაი რომ დღევანდელ დღეს ნათქვამივით გაისმის.

ღიასაც, ეს იყო წელი, როცა ჩამოდგა ცხრა აპრილის შავნელი დილა, როცა ბედისწერის ბოროტმა ხელმა მოულოდნელად გადაგვისროლა შუასაუკუნეების ბარბაროსულ ეპოქაში, ამას მოჰყვა აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ტრაგიკული ამბები; აქარის მთიანეთში დატრიალებულმა უბედურებამ კიდევ ერთი მძიმე ჭვარი წამოჰკიდა ზურგზე ისედაც გაწამებულ ქართველ ხალხს — მეწყერმა არაერთი ოჯახი გაანადგურა და ქურღმულში ჩაიტანა, არაერთი ადამიანის სიცოცხლე

შეიწირა და მთელი სოფლები აჰყარა პირისაგან მიწისა.

ყოველივე ეს მწარედ განიცადა მთელმა საქართველომ. უბედურებამ იცის საოცრად მძლავრი აფეთქება კაცის გულისა საცრემლოდ და სასოცვარულოდ — ყვდება გული, დნება და ილევა სიბრალულისაგან, გინდა მოეფერო დიდსა და პატარას, მიულოცო გადარჩენა, ანუგეშო და ცრემლი მოსწმინდო.

ასეთ დროს ძნელია იფიქრო იუბილზე და ზეიმზე.

არც უფიქრია არავის — არც მას, ვისაც ნორმალურ და ჩაწყნარებულ ვითარებაში მივესალმებოდით, ყვავილებს მივუტანდით, სამადლობელს ვეტყვოდით სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისა და ამავისათვის, არც მის მკითხველებს უფიქრიათ ეს, არ უფიქრიათ მათ, ვისი გულიც ამ განვლილი ათეული წლების მანძილზე, კირსა თუ ლხინში, ომსა თუ შრომაში არა ერთხელ აუთრთოლებია პოეტის სტრიქონებს.

მის მკითხველებს ყვავილები ახლა სხვა რამისათვის უნდოდათ — საფლავებზე მისატანად.

და მაინც — ერისა და მისი ლიტერატურის ისტორია დასაბამიდან არჩეული გზიდან ვერ გადაუხვევს, უნდა მარად ენთოს წინაპრის ხელით ანთებული სანთელი პოეზიისა, არა აქვს უფლება ჩაქრეს და ელვარება დაეარგოს, ქვეყნის სიკოცხლე უნდა გაგრძელდეს უსაწყისო და უსასრულო წრებრუნვაში, და პოეტის მოვალეა კვლავაც თესოს ხალხის გულში თესლი კეთილი, გონიერული, მარადიული. უამისოდ აზრი ეკარგება არა მარტო პოეზიას, არამედ საერთოდ, კაცობრიობის ცხოვრებასაც.

ირაკლი აბაშიძე — ჩვენი თანამედროვეა, დადის თბილისის ქუჩებში უგამყოლოდ, წელგაშლილად, დადის მოდური ქედით და ფერადი პალსტუხით, და, იმავე დროს, ეს ოთხმოცი წლის კაცი თვითონ არის ისტორია, თვითონ არის კაცი — სიზმრები, კაცი — მოგონება, ფერები და ხილვები, ალანები და ხაზმატები, ქერჩები და ბაქსანები, დიდი ცრემლები და ნისლეები, სხივჩამქრალი შორეული ჩანახატები, ასე დადის ის ჩვენს შორის, და იმავე დროს, ეკუთვნის ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, იმ ისტორიას, რომელშიც ქართულმა სულმა გაიარა თვითშემეცნების მაღალი კიბის ყველა საფეხური და შესძლო მხარი გაეწორობინა მსოფლიო კულტურის ყველაზე მაღალი მწვერვალებისათვის.

ამ ფრიად საინტერესო ლიტერატურული მოძრაობის პროცესში ირაკლი აბაშიძეს მუდამ თავისი ორიგინალური, მარტო მისთვის დამახასიათებელი და გამორჩეული ადგილი ეკირა და ის მომხიბვლელობა, ის ინტიმი, რომელიც აღვიძებს ადამიანის სულში ყველაზე სანატრელ ოცნებას, ცხადია, ამჟამადაც თან ახლავს მის თბილ სტრიქონებს. ქრონოლოგიურად კი ირაკლი ეკუთვნის ქართველი პოეტების იმ თაობას, რომელიც სამწერლო ასპარეზზე ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე

გამოვიდა და რომელიც მომდევნო ათეული წლების მანძილზე, მიუხედავად ოფიციალური შეზღუდვებისა და უადგილო რეგლამენტაციებისა, თავამეტებით ცდილობდა ქართული ლექსისათვის შეენარჩუნებინა ის ეროვნული სული, ეროვნული კოლორიტი, რომელიც მას ანდერძივით გადმოეცა მეცხრამეტე საუკუნიდან.

თავის ერთ ლექსში ირ. აბაშიძემ თავის თავს „უმცროსი ძმა“ უწოდა და ეპიგრაფში ბალზაის ფრაზა შეახსენა მკითხველს — უმცროსი ძმა საბრალოაო. რატომ არის საბრალო? იმიტომ, რომ უფროსი ძმები უკვე წასულან ამ ქვეყნიდან, ქვეულან ლანდებად, აჩრდილებად, ტუბილ-მწარე მოგონებებად, დარჩენილა მხოლოდ უმცროსი, და, კაცნი ვართ, არის წუთები, როცა აქ დარჩენილი ყველაზე უმცროსი იმ თაობიდან მწარედ გაინიციის ამ მარტოობას. და აი, იგი მიმართავს თავის თანამედროვეებს, აჩრდილთა ქვეყანაში წასულ თანამომხვეებს, ხნით უფროსებს, მაგრამ ადრე მასთან ერთ უღელში შებმულ პოეტებს:

დავალ თქვენს შორის
 ისევ იმ შხით დაწვეარ ქალაქში,
 თქვენს ღველ ბინებთან
 სულს ვიბრუნებ,
 როგორც ნიაეში;
 თქვენ იქვე ცხოვრობთ:
 ვერის ზიდთან და სოლოლაკში,
 მაჩაბლის თავზე,
 „კახ-იმერთან“,
 ასბინიანში.

პოეტმა ზედმეტად მიიჩნია ამ ოდნავ დაშიფრული ფრაზების ამოხსნა და მართლაც არც იყო საჭირო ამ გამჭვირვალე სტრიქონებში ჩაქსოვილი გვარების ამოცნობა, ვინაიდან ვისაც ქართული სიტყვა უყვარს, იმან მისამართის დაუსახებლად დადევნოს ქართველ პოეტთაგან ვინ ცხოვრობდა ვერის ზიდთან, ვინ — სოლოლაკში, მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში, ვინ — „კახ-იმერთან“ და ვინ — ასბინიანის მუქქვს საართულზე. და აი, პოეტი, მწველი სიყ-

ვარულით ანთებული, დადის ამ აჩრდილთა თანხლებით ქალაქის ქუჩებში, და სიზმარულ სამყაროდან გამოსვლისა და გამოფხიზლების წუთებში, მარტოდ დარჩენილი, როგორც ძველი ჭარისკაცი ახალწვეულთა შორის, მაინც ისევ იმ აჩრდილებს გასძახის: „და სანამ ვსუნთქავ ჭერაც სუნთქვით თქვენი თაობის, სანამ ჭერ ვუცდი ჩემად მოსულ თქვენს მატარებელს, მე არ ვწყვეტ დავას, დავას ღმერთთან, როგორც ვდაობდით, მე არ ვწყვეტ თქვენთან იმ საუბრებს და უმთავრებელს. მარად გულწრფელად, მარად წმინდად, მარად უცვლელად, ყოვლის უადრეს, უწინარეს, ყოვლის უადრეს — ქართულ სუნთქვაში ჩვენ ვეძებდით მხოლოდ რუსთველურს, ქართულ სუნთქვაში ჩვენ ვეძებდით მხოლოდ უმაღლესს. სულს უცნობ გზებში, სულს ვატარებ ცისკრის ფერებში. ცხოვრების ბრუნვაც კვლავ არ მაკრთობს, კვლავ არ მაშინებს... ეს არის ჩემი უმთავრესი, უპირველესი, თქვენთან და ღმერთთან რაც მაერთებს, რაც მაკავშირებს“.

შემდეგ, იმავე ლექსში პოეტი აღნიშნავს, რომ როგორც ადრე მთელი მისი თაობა, თითონაც ახლა კვლავ შეხარის ყველა სიახლეს, ყველა სიყრმეს, ყველა სანატრელს, უღალატოდ და უშეღავათოდ ემსახურება მხოლოდ უმაღლესს, უღრმესსა და უღამაზესს. ცოტა არ იყოს, გამიგრძელდა ციტატა, მაგრამ აქ მინდოდა გადმომეცა ის უმთავრესი, ის დედააზრი ცხოვრებისა, ის მაღალი მოწოდება, რომლისთვისაც ზეცამ მიწაზე გამოგზავნა მარტო ეს პოეტი კი არა, არამედ მთელი მისი თაობა, რომელსაც ასე გულწრფელად ესაუბრება ირაკლი ლექსში „მონოლოგი აჩრდილებთან“.

ამ შთაგონებულ ძიებაში, ამ ბრძოლასა და შრომაში მიდიოდა უმცროსი ძმის ცხოვრების წლები, ეს არ იყო წყნარი, იდილიური მყუდროების წლები, პირიქით, შფოთი და რიალი იღვა ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც, ავღარი იყო ერთშიც და მეორეშიც. ეს იყო

ათწლეულები ბოროტების განუკლებელი თარეშისა, როცა სტალინის ხელისუფლებამ ხიანი რეჟიმი და შემდეგ დიდი უძრავობისა და ზეზეურად ძილ-ღვიძილის დროება არ იძლეოდა შესაძლებლობას უფრო ფართოდ გაშლილიყო ქართველი პოეტის ფანტაზია, უფრო შორს გაწეულიყო მისი თვალსაწიერი. სავალდებულო ნორმად და ითვლებოდა ოპტიმისტური მრწამსი და ხელოვნური ზარ-ზეიმური პათოსი; ეს ვითარება მძაფრი სატირული ფერებით გადმოსცა ირ. აბაშიძემ თავის საკმაოდ ვრცელ ბალადაში „გაბაასება ვლადიმერ მაიაკოვსკისთან“. ორზე კი არა, სამ კრებაზე ერთდამიშვევ დროს ვისხედითო — ცალკე ხელ-ფეხი, ცალკე ზურგი, ცალკე ცხვირ-პირი. ვისხედით საგანგებოდ მოწყობილ დარბაზებში და ვარიგებდით მკერდის ნიშნებს შექმოვლვარეს, საჩუქრად ვიღებდით მუდმივ ფანქრებსა და ფერად პორთფელებს, ხოლო მეცხრე სართულზე ისეთი სუფრათა იყო გაშლილი, უკეთესს ვერ ინატრებდი... ქვეყანა კი ამ დროს იქცეოდა, ყანა შემოსული იყო, იწვოდა მზის აღმურში, მაგრამ ვის ეცალა მისთვის — მიდიოდა ხელჩართული კონფერენცია და გრგვინავდა პარტიული აქტივი. აი ამ ამბებზე მოუთხრობს ქართველი პოეტი ვლ. მაიაკოვსკის და შემდეგი სტრიქონებით ამთავრებს თავის ბალადას: „თქვენს შემდეგ წლები, მშენებლობა, ომიანობა... ბევრ რასმე ვძლიეთ, ბევრი დავგმეთ, ბევრს მოვესწარიო, მაგრამ თუ რასმე მართლა ჰქვია „მსხდომიარობა“, „მსხდომიარობა“ ჩვენ რომ ვზივართ, აი, ეს არის... ბევრი რამ, ბევრი ჩავაბარეთ ჩვენს ხალხს გამოცდა, მაგრამ ეს კირიც, სულ რომ ხარობს უფრო და უფრო, მეც ეს სათქმელი უცებ თქვენთან ლექსად წამომცდა“.

* * *

ფრონტი... ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის მიდამოები... ქართველი პოეტი, ბრძოლის ველზე რომ სწევდით თავის თანამემამულეებს, რათა ლექსით

უკვდავყოს და სიმღერად აქციოს მათი სახელი, მთელი ღამე უძილობას შეუტყრია. ან რა დააძინებს მას მერე, რაც მან აქ სახილველი იხილა: სიკვდილი და სიკოცხლე გააფთრებით ებრძვიან ერთმეორეს, გაუღვიძია და თავი აუწყვეტა ჯოჯობეთს, რომ უდაბნოდ აქციოს ეს მწვანე და ლამაზი პლანეტა — დედამიწა. ქართველი მეომრებიც იმიტომ ჩამოსულან აქ, რომ შეაჩერონ ეს თარეში სიკვდილისა. ამ უძილო ღამის ფიქრებზე მოგვითხრობს პოეტი:

მოზღოის, ვლადიკავიის
პრისხანე ღამე ყირიმის
ზეცაზე ბევრი ვარსკლავი —
ერთი ნახტომი ირემის.
წერილი ვარსკლავი ზეცაზე
მიწაზე ღამის უკუნი,
შავლვიდან ვინულეთამდე
გაბბული ომის გუგუნი.
აქეთ შტრის ხელი მოიწვეს,
იქით შტერს მისდევს მდევარი,
ზეცა ჩამოაქვს გრივალებს,
მიწას ზეცაში ოცავებს,
ვას თუ ზის იმ წერილ ვარსკლავზე
და გვარყვეს მათი მკვლევარი
— არის თუ არა სიკოცხლე პლანეტა
დედამიწაზე.

ერთი შეხედვით თითქოს გროტესკულ შტრიხებშია მოცემული ის ვილაც უცნობი და უცნაური არსება, რომელიც ვაპ თუ მართლა ზის სადღაც ვარსკლავზე და იკვლევს, იძიებს, გაწყდა დედამიწაზე სიკოცხლე, სრულიად გაჰქრა თუ კიდევ ბოგინობს სადმე, მაგრამ არა, აქ გროტესკი არ არის, აქ ისევ ქვეყნის სიკოცხლეზე შეყვარებული პოეტის შეშფოთებაა. მიწაზე ღამის უკუნი დგას და ამ წყვილიაღში არ სძინავს ომს, გუგუნებს და ღმუის სიკვდილი და მთელი ქვეყანა წამომდგარა ფეხზე მის დასათრგუნავად.

ი. აბაშიძის ლექსებს, რომლებიც ომის წლებში იწერებოდა, ჰოლოში წარწერილი ჰქონდა ხან „1942 წელი, მოსკოვის მანობლად“, ხან „ყირიმი, აკ-მონაი“, ხან „ქერჩი“, ხანაც „ნალჩი-7. „ნათობი“ № 12

კი“. არის სახელები, რომლებიც თავის თავად მეტყველებენ. ვინ ამბობს, ვინ ლა რას ნიშნავს ჩვენთვის ქურონი და ნალჩიკი, რა მწარე ფიქრებსა და საშინელ მოგონებებს აღძრავენ ისინი; იქ, იმ ადგილებში, ბრძოლის ველზე იბადებოდნენ პირველი სახეები და პირველი სტრიქონები ირაკლი აბაშიძის ომის-დროინდელი ლექსებისა, მათი უმრავლესობა, კერძოდ, „კაპიტანი ბუბაიძე“ ჯერ საფრონტო გაზეთების ფურცლებზე დაიბეჭდა.

მე ქართველი ბუბაიძე
ბალუაქეთის მთებში ეწევიარ...

როგორ შეძრა და აამლეღარა ომის წლებში ამ უბრალო სიტყვებმა მთელი ხალხის გული და ეს იმიტომ, რომ ეს იყო მოთქმა, მაგრამ როგორი ვაყკაცური და გულამდე ჩამწვდენი! და რაკილა ეს სტრიქონები აზლად გათხრილი საფლავის პირას იყო დაწერილი, ჰგავდა იგი ძველებურ ქართულ მოტირალსა და ძველებურ ვაყკაცურ გამოთხოვებას, როცა ამ ცხოვრებიდან წისული კაცი უბარებს დარჩენილებს იდგენ ამაყად და უშიშრად. ეს ლექსი დაწერილია, როგორც ეპიტაფია. ძველი საფლავის ქვების წარწერებში მუდამ თვითონ მიცვალბული ლაპარაკობს და არის ამაში რალაც პირველყოფილი მიაშიტური, თუ ბრძნული რწმენა, რომ ის, ვინც გიყვარდა, ვერ მოკლეს, ისევ ცოცხალია და მიწიდანაც, შავეთიდანაც ისევ მოგაწვდინა ხმა. ასევე ისმის საფლავიდან მამაიცი კაპიტანის დანაბარები:

და ვეზარებ ყოველ ქართველს,
მისი წონდა ვალი არის —
მოკლეს, მაგრამ მეკრდიო შეკრას
ფერბენტი და დარიალი.

თანამედროვე ჰოლონელი პუბლიცისტი ზიგნევე ზალუსკი თავის წიგნში „ისტორიაში შესვლის უფლება“ წერს: „ჩვენი ერი, ალბათ, როგორც არცერთი სხვა, მიჯაჭვულია თავის ისტორი-



აზე, ფიქრში მუდამ მასთან არის და განუწყვეტლავ კვლავ და კვლავ ხელახლა განიცდის მას“.

ამ სიტყვების ავტორს, ცხადია, ვერ მოვთხოვთ იცნობდეს ქართულ პოეზიას და ქართულ ეროვნულ მსოფლშეგრძნობას. ის დაინახავდა, რომ ქართველიც ასევეა „მიჯაჭვული თავის ისტორიაზე“, რომ ქართველი პოეტი ხელახლა განიცდის არა მარტო დიდგორსა და ბასიანს, მარაბდასა და კრწანისს, არამედ ქერქსა და ქლუნბორს, ისე როგორც პოლონელი თავის ვესტერპლიაიტესა და მონტე-კასინოს, განიცდის ისე, რომ ხანდახან გეჩვენებათ თითქოს იგი ჰკარგავს დროის შეგრძნობას.

ირაკლი აბაშიძეს აქვს ერთი ლექსი „რად გელანდება“, რომელშიაც ვკითხულობთ:

როცა ტიღებში ღვინი ცხარდება
და გულ-ღვიძლს გინდობს ტუბილი
საკრავი,
ვეცრად თვალწინ რად გეცხადება
უზბანი, ქერჩი, ვლადიკავკასი,
რად გელანდება, რად გაგონდება,
მთებში ქვეშეთა ცხარე დუელი
დაჭორლ ქართველის ჩემი გოდება,
ვეღზე — დამწვარი ყაბარდოელი.
რად გელანდება, რაც გაქვს ნახელი,
მეხის გუგუნში, ქართა სრიალში,
ორმოცდარისი ცხელი ზაფხული
სისხლის წვიმები აყვასიაში.

ეს არ არის მარტო ერთი ადამიანის, ამ შემთხვევაში პოეტის ლირიკული განწყობილება, ეს არის თუ შეიძლება ითქვას, ეროვნული, სახალხო ხსოვნა, ეს არის მოლანდება, რომელსაც ვერ მოიშორებ და არც გინდა მოიშორო, იმიტომ, რომ ეს შენი ხალხის ისტორიაა. მაგრამ ეს ხსოვნა უფრო შორსა სწევდება, ვიდრე ერთი ადამიანის სიცოცხლის ზანგრძლივითაა. „მე სიბერის ზღურბლთან ვდგავარ — ამბობდა მიშლე, — და ჩემს ცნობიერებაში, გარდა იმისა, რაც მე განმიცდია, არის კიდევ ორი ათასი წლის ისტორია... ეს არის ამბები, გატაცებანი, მოგონებანი...“

ამას ყველაზე მკაფიოდ პოეტი ადასტურებს. იგი შეგვხსენებს, რომ მისი მიახლოება „მიჯაჭვული თავის ისტორიაზე“, რომ ჩვენს ხსოვნაში სძინავთ საუკუნეებს და უცებ, რაღაც ბიძგის გამო, იღვიძებს მოგონება თუ მოლანდება.

იღვიძებს არა მარტო მამინ, როცა საქართველოდან შორსა ხარ, არამედ შინ ყოფნის დროსაც. ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზაზე სამი ციხე დგას. პირველს „დაუხვდი“ ჰქვია, მეორეს — „დაკარი“ და მესამეს — „არ გაუშვა“... და პოეტი მიმართავს ჩვენს თანამედროვეს, მოგზაურს, შემთხვევით რომ მოხვედრილა ამ მიდამოში:

უფრი მთვადე ქედებს, მთა-გორებს,
ჩემათ მოვლემარებს კლით-კიღებს,
„დაკარი“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“
იქნებ მოგესმას ამ სიმშვიდესი.

პოეტი ხედავს: ეს ციხეები კი არა, კაცები არიან. „დაუხვდი“ — ფიციბი ქაბუკია: ომის ქარბუკი თავს რომ აიწყვეტს, მომბდურს ყველაზე ადრე მან უნდა შეაგებოს მკერდი, როცა მტრების ალყაში გატყდება მისი ზღუდე, წაიქცევა ეს ქაბუკი, მამინ ომის ქარცეხლში გადაეშევა ციხე „დაკარი“ — ეს უკვე ღინჩი და პარმაგი ვაყვაცია, როცა შემოსეულნი მასაც გადასთლავენ, მტრის წინ დგება ბერკაცო, დგება ციხე, რომელსაც „არ გაუშვა“ ეწოდება.

„დაკარი“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“ —
თ, რა არის ჩვენი მამული.

ამავე ციკლს განეკუთვნებიან ლექსები „ავტო და დმანისი“, „დმანისის ქვები“ და „იქნებ ნატრობენ“. იქნებ ნატრობენ ეს მდუმარე ქვები, ეს ხავს-მოღებულნი ნანგრევები, რომ შენ მათთან ერთად იყო, იქნებ ნატრობენ კაცებს, მეტყველებს, „ხვევისბერებივით ჩამომსხნდარან მთები ქვიანნი, როგორც თემობა, შეწყობილი და ძველებური, რომ თქვან ზღაპრები სულიერი ადამიანის, წლიდან წლებამდე უწყვეტი და გაგრძელებული“. ამ უწყვეტსა და გაგრძელებულზე ბუბბუბებენ

დმანისში მიყრილ-მოყრილი ქვები და, თუ ქვეშარიტი პოეტი ხარ, ის ხმები უნდა გაიგონო და მკითხველამდე მიიტანო.

იქნებ ეს მარტო პოეტების სულში ხდება, იქნებ ეს გადაპარბებული გრძნობიერებაა, მისული უქანასკნელ მიჯნამდე? არა, ეს უბრალო ხალხური განცდაა, ეს სამშობლო მიწის ძაბილია, რომელიც ყველა ხმაზე უფრო ძლიერია.

ირაკლი აბაშიძის ლექსში იგრძნობა ის უხილავი ძაფები, რომლითაც პოეტის გული გადაბმულია სამშობლოსთან. აქ ჩანს ქართული ტემპერამენტი, გაშლილი გული, მზად რომ არის ჩაიხუტოს მთელი მსოფლიო და შორეულ ინდოეთშიც ისე იგრძნოს თავი, თითქოს შინ იყოს: „განგის ნაპირას, როგორც არაგვზე, ახალ მწვენილზე, პურზე, არაყზე, დავსხედით, როგორც თბილისელები“.

იერუსალიმი... ჭვარის მონასტერი... შუა საყდარში დგას ქართველი პოეტი და ათვლიერებს ირგვლივ ყოველივეს, ასკეტრის გუმბათს, დახედავს იატაკს, ფერადი მარმარილოს კენჭებით რომ არის მოფენილი... ახსენდება ადრე წაკითხული, რომ სწორედ ამ ადგილას უნდა ჩანდეს რაღაც შავი ლაქები, გადმოცემა ამბობს, თითქოს ეს ნაკვალუნი იმ მლოცველთა სისხლისა, ოდესღაც საარკინოზებს წირვის დროს რომ ამოუწყვეტიათ. ეძებს, ათვლიერებს... აი, ეს უნდა იყოს ის ნაკვალუნი, შავად ჩაშხარა მოზაიკის ფერად კენჭებში. როდინდელია? ვისია? უცებ თვალში მოხვდა იქვე, იატაკში ჩაქედილი ლითონის ფირფიტა, ზედ ქართული ასომთავრული წარწერაა.

„სწრაფად გავძახე კედლების წარწერებითა და ფრესკებით გართულ აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს, ისინიც მოვიდნენ და ამოვიკითხეთ:

„დქით მტკიცედ და შეურყვევად“.

ქრუანტელმა ამიტანა, — მოგვით-

რობს ირაკლი აბაშიძე, — ამ პატარა ლითონის დისკომ თითქოს ქვემოთაშენი ამწია და პერსი შემისროლდა. იატაკიდან ამოვარდა გუგუნე თავგანწირულთა მოწოდებისა, თუ მახვილდაკრულთა ხმაჩახლეჩილი ძაბილი, სადაც საუკუნეების გაღმიდან.

რითი არა ჰგავს ეს ძველი ქართული ახალს: „არც ერთი ნაბიჯი უქანს“

„დქით მტკიცედ და შეურყვევად“.

— გეჩვენება, რომ ამ სიტყვებს ფირფიტაზე კი არ კითხულობენ, საიდანღაც მოესმით, რა უცნაური წუთით, რა მტანჯველი გულის შეკრთობა!

ეს ადგილი ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიურიდან“ მოგვყავს, სადაც პოეტს მოთბრობილი აქვს, თუ როგორ გაემგზავრა იგი გიორგი წერეთელსა და აკაკი შანიძესთან ერთად იერუსალიმში, როგორ მიიგნეს მათ უკვე დიდი ხნის დაკარგულ პორტრეტს რუსთაველისას, როგორი სასოებით და გულის თრთოლვით სწმენდდნენ კედელს, და როგორ ჩნდებოდა სახე პოეტისა და შემდეგ როგორ ჩამოიტანეს ეს სურათი საქართველოში.

მთელი ეს ამბავი ულექსოდაც, ისე სადად და უბრალოდ მოთბრობილი, როგორც პოეტის ჩანაწერებშია, თავისთავად არის უმშვენიერესი პოეზია.

მთელი ეს ამბავი სამუდამოდ დაამახსოვრდათ თანამედროვეებს და დარჩა საქართველოს ისტორიაში, როგორც დიდი სიხარულის დღე.

საუკუნეების მანძილზე გულში დაგუბებული ნაღველი და ტკივილი, ძებნა რუსთაველისა, ოცნება მისი კვალის პოვნისა იქცა ირაკლი აბაშიძის მთავარ თემად, უფრო მეტიც — იქცა მის პოეტურ ბიოგრაფიად. ორი ასპექტი აქვს ამ ძიებას: პირველი — ეს ისტორიისა და მეცნიერების სფეროა, სადაც ქართველი მკვლევარები ნაყოფიერ ძიებას იწყებენ ჭერ ისევ XVIII-XIX საუკუნეებში და დიდი წარმატებით განაგრძობენ დღესაც. მეორე კი — პოეზიის სამყაროა, დაუცხრომელი ფიჭრისა და ოცნების სამყარო — აჩემებული იდეა



იარო მსოფლიოს გზებზე რუსთაველის კვალის საბოვნელად; ეს უკვე საკუთრივ პოეტის მარშრუტია.

რაოდენ საგულისხმოა, რომ ყოველივე ამას პოეტი იწყებს თავის სიკაბუჯეშივე:

1934 წელი... მოსკოვი... კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი... ერთ სვეტზე — რუსთაველის დიდი პორტრეტია და გასაოცარი მღელვარებით გადმოსცემს პოეტი ამ საგულისხმო ეპიზოდს:

თქვა, მგოსანო საოცრებს მოველ ქვენიდან,
მე გადაეპრა ვახუწავებრელ წვას და
უკუნეთს,
რომ სიკვდილამდე მიქნებობს ცეცხლი
კვიდა,
სიკვდილის შემდეგ იწვებოდა შვიდ საუკუნეს.

იერუსალიმში წასვლას წინ უძღვის მთელი ციკლი ლექსებისა, სადაც პოეტი მოუთხრობს მკითხველს, თუ რატომ ვერ მოუსვენია, რისთვის დადის მალრიბის გაუთავებელ გზებზე:

და მეც დაეად,
კინძლო მის კვალს ვინმეებღე
ინდოეთის
გალაქარგულ გზებზე,
შიდასი წლოს,
შიდილი ათას წვიბის შემდეგ
მის ნაფებურს,
მის ხაკალევს ვებებ.
სად იარა,
სად უქორა ცრემლთა ფრქვევას,
სად მოუსწრო
მისს შეფუცულს ძმასთან?
არაბეთის ზღვასთან იდგა?
მეც აქ ვდგავარ,
მეც აქ მოველ,
არაბეთის ზღვასთან.

პოეტი მოგვითხრობს, თუ რამდენ ხანს ეძებდა ამ კვალს, სად, სად არ გძებნე — მესმეთს თუ სამცხეს მე გულო ჩემი შენს მონად ვრაცხე, ინდთან და განვთან, ფენჯაბს და ლაპორს, შორს, სულ შორს, მაგრამ ახლოს, სულ ახლოს, შენი ხმა მოწვედა ჩემს მგოსნურ გუმანს, მეც ჩემი სმენა დაეძაბე

უმაღლ, და მგოსნის გზებით და მღეერის გზებით, ვკეცე და ვტოლო მამრიყის გზები, მაგრამ ის გზები სდუმან და სდუმან.

და ბოლოს, აი, იერუსალიმიც... ჯვარის მიწასტერი.

მიძნელება გადმოცე შეთბეკდილება, რომელსაც ახდენს ლექსი „შენ აქ ხარ“. რა არის ეს? დიადი სევდა და მწუხარება თუ ზენა სიხარული იქნებ ეს არის ის თავდავიწყება „ის ექსტაზი, როცა ადამიანი ეზიარება მარადისობას და ჰკარგავს დროის შეგარძნებას; არის რაღაც იდეალური იმ ხმელ ჭახანშიც, რომლითაც ჯვარის მიწასტერის კარი იხსნება, თრთოლვით და ძაგძაგით ეხება ხელი ამ კარს, და ესმის ზარი, საუკუნეების წინათ რომ რეკდა, თითქოს იმ საუკუნეებიდან წამოსული ქარი წამოუბერავს და გარდასულ ეამთა სუნთქვას მოიტანს. „შენ აქ ხარ, აქ ხარ“, აღმოხდება პოეტს და აქედან იწყება ის წუთები, როცა იგი უსმენს საუკუნეების წინათ აქ წარმოთქმულ ლაღადს.

უსმენს რუსთაველს, ესმის მისი ამოკენესა და უქანასქელი დანაბარები სამშობლოსადმი.

ირაკლი აბაშიძემ შეძლო ფანტაზიით გადასულიყო მეთორმეტე საუკუნეში ისე, რომ დარჩენილიყო მეოცე საუკუნის პოეტად.

გადასულიყო და მოესმინა რუსთაველის ხმები — „ხმა სამრეკლოსთან“, „ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა კატამონთან“, „ხმა გოლგოთასთან“... აქ ყველგან ჩვენ ვხედავთ შეყვარებულ რუსთაველს, თვით სიკვდილის მოახლოების წუთებშიც შეყვარებულს მიწაზე, საქართველოზე, დიდ თამარსა და ჩვენი ქვეყნის სიციცხლეზე; აქ კარგად არის გადმოცემული საიდუმლო რუსთაველის უკვდავებისა — მისი უქკნობი სიყვარული სიციცხლისადმი, ჰუმანიზმი, თავისუფლებისმოყვარეობა, მისი დაუცხრომელი ლტოლვა სილამაზისადმი, მისი რწმენა ადამიანის გულისა და გონების ძლევამოსილებისადმი და აქ, პალესტინის მიწასტრული მყუდროების.

გაცრეცილი სვეტების, მთელი ამ მკვდართა სამყაროს, ამ სასაფლაოების მიღმა შრიალებს მუდამ ჭაბუკურად ნორჩი გაზაფხული — მზე კორჩინებზე ზის და ქვეყნად მწვანე ამოდის, შრიალებენ მესხეთის ვენახები და შერცხლები თავს დასტრიალებენ თმოგვის ხავსიან კედლებს.

ადამიანს აქვს სამშობლო — ეს არის მიწა-წყალი, მთები და მდინარეები, ლავვარდი ცა და მზე; აქვს სამშობლო — სოფლის ორღობე თუ ქალაქის ქუჩა, რომელიც პირველი დაინახა თვალის ახელისას; აქვს სამშობლო — მამის სახლი და პირველი სკოლა, ჭეჭილებით ამწვანებული მინდორი და სოფელ-ქალაქებით ქავეს ხეობები, — ყველაფერი, რაც შენს ირგვლივ არის, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგვიძლია.

ასეთია სამშობლო, აღბეჭდილი რუკაზე; ამას გარდა, ადამიანს აქვს შინაგანი სამშობლო. ეს არის მისი დედაენა, რომელშიაც გადახატულია ყველაფერი — ეს ლავვარდი ცა და შფოთიანი არაგვიც, დედის სახეც და შვილის თვლების ფერიც, მინდორიც და ტყეც და საგულისხმო ის არის, რომ ამ სამშობლოს თან წაიღებ ყველგან, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით რომ იყო გადახეწილი და განდევნილი, ენა აძლევს კაცს შესაძლებლობას თან ატაროს თავის სამშობლო; მასში ყველა სიტყვა — ხატია, სურათია, ფიქრია, სუნთქვაა, სრბოლა და აღმაფრენაც, ქვათა და კირთა დუღაბია და ჭირთა მალამო.

ასეთია აზრი ლექსისა „ბმა კატამონთან“. აქ კარგად არის მინიშნებული, თუ რამ გააძლებინა საქართველოს საშინელი ქართველიებიანი საუკუნეების მანძილზე, როცა ერთ განსაცდელს უმაღლეს მთაზე მოკვებობდა ხოლმე. თავის დროზე ბაირონმა პოემაში „დანტეს წინასწარმეტყველება“ დიდ იტალიელს ათქმევინა: ჩემს სხეულს სამშობლოს მიწა მიიბარებს, ჩემი სული კი მის ენაში დაჩხვება. ეს არის უკვდავება, ასე დაჩხვება დანტეს სული იტალიურ ენაში,

ბაირონისა — ინგლისურში, ხოლო რუსთაველის სული ასევე ცოცხალია თულ ენაში. ვინც რუსთაველი იცნობს, ვისაც ის უყვარს, გრძობს კიდევაც მას, ხედავს და ესმის მისი ბმა არამართო „ვეფხისტყაოსანში“, არამედ ყველგან — ილიასა და ვაჟის ლექსებშიც, დედის, მეგობრის, სატრფოს საუბარში, მზით განათებულ ქართულ სოფლებსა და ქალაქებში, ყველგან, ყოველ ნაბიჯზე.

ენა — ერის უკვდავებაა, ვინ მოსთვლის რამდენმა ომმა დაარბია საქართველო, რამდენმა მტერმა აიღო მისი ციხეები, მაგრამ ვერსადან მიუღვა ყველაზე დიდ ციხე-სიმაგრეებს — ქართულ ენასა და „ვეფხისტყაოსანს“; ამიტომ ვადარჩა ეს პატარა ქვეყანა, არა მარტო საქართველოს ისტორია, არამედ მთელი კაცობრიობის წარსული და აწმყო ნათლად გვიჩვენებენ, თუ რაოდენ უზარმაზარი ძალა აქვს ენასა და სიტყვას. უკვდავყოფილი წერილობითი სახით სიტყვა იძენს ძალაუფლებას ადამიანთა აზრებისა და ოცნებების მიმართ, და ამ ძალაუფლების საზღვრებს ჩვენ ვერც გავზომავთ და ვერც წარმოვიდგინოთ. სიტყვა ბატონობს დროშიც და სივრცეშიც. მაგრამ აზრი მხოლოდ მაშინ ცოცხლობს და მოქმედებს, როცა ანბანის ბაღში მოექცევა ხოლმე. ყოველივე დანაჩვენს ქარი წაიღებს. წინსვლა კაცობრიული აზრის განვითარების გზაზე, ადამიანის გონების წარმატებანი დაიბადნენ თეთრი ქალაქის მინდორზე ამ ასოების მეშვეობით, ჭეჭილის სუსტ ღეროებს რომ ჰკვანან. უფრო ადრე ისტორიაში სიტყვა თამაშობდა პირველ როლს ყოველი ერის წარმოქმნის პროცესში — იგი აკავშირებდა ერთიმეორესთან გვარეულობებსა და ტომებს, ჰკრავდა ერთად, სახელმწიფოდ, ერთ მთლიან, მონოლითურ და გაუტეხავ ორგანიზმად, იგი ანთავისუფლებდა ქვეყნებს, იბრძოდა სამართლიანობისათვის, ამხვერვდა ბორკილებს, ახალ გზაზე გა-

ყველა ხალხები, და უძლებდა ყველა განსაცდელს:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა მოსიარულს, იქნებ, ყველა ყმა ველად, დაედოს მტკარი ყველა ღივ ხსოვნას, დააქედეს ახრი ნაპოვნის პოვნას, ყოველ ნერვს, იქნებ, დაატყდეს მუხი, ყოველ ძველს, იქნებ, დაედგას ფეხი, მხოლოდ, შენ, უკუნობსა,
შენ, ხატად ქვეულს,
რა დრო, რა დანსეშა
შენს უაღავე სხეულს?

ასე, საუკუნეების შემდეგ ეხმარება თანამედროვე ქართული პოეტი უბადლო გენიოსის გადმოძახებას ჩვენსკენ, ჩვენი დროისაკენ და თვითონ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ირ. აბაშიძის სიტყვებს — დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა, ხოლო შენ, მზიურსა და შუქმოსილს ვერაფერი მოგერევთ. გრძელმა ინტერვალმა, განვლილმა ასწლეულებმა ათასზე მეტი ქირი და განსაცდელი დაატეხეს თავზე საქართველოს, მაგრამ მან გაუძლო ყველა განსაცდელს, იხსნა თავისი რუსთველური ტემბლ-ქართული, „სიკეთისა ხელის მხედელი“, იხსნა თავისი ენა და ენამ იხსნა იგი.

მთელ ამ ციკლში ყველაზე ძნელი და რთული თემა, ყველაზე მძიმე საფიქრალი აღძრულია ლექსებში „ხმა ყვარის მონასტრის ვიღვანთან“, „ხმა ზეთისბილის ბაღში“ და „ხმა გოლგოთასთან“.

პოეტური ნაწარმოები მეცნიერული ტრაქტატი არ არის და არც პოეტი აპირებს რაღაც ახალ პირობებს წამოყენებას. ეს არც ამ წერილის თემა და მიზანია. ჩვენ მხოლოდ ვაღმოვცემთ იმ ფიქრებს, რომლებსაც ირ. აბაშიძის შემოხსენებული ლექსები აღძრავენ: რა მოხდა, რატომ გაემგზავრა რუსთაველი პალესტინაში? რა სქონდა მოსანანიებელი ყველაზე ღივსა და ყველაზე მარტალ კაცს ჩვენს მიწაზე დაბადებულთა შორის? რატომ არ ჩანს მისი სახელი იმ

დროის მატრიანებში? შემატრიანე საქიროდ ჩათვალა აღენიშნა ქრეშე ბესიძის ომის დროს, თამარი ოძრბენსა წარმოგვეგზავრა, იქ „ეახლნეს შეეთელი, კაცი ფილოსოფოსი და ლექსთა გამომთქმელი“, აღენიშნა, რომ აქვეა ევლოგი, სალოსად წოდებული, წინასწარმცნობელობისა ღირსქმნილი“, შემდეგ, შემატრიანეს ისიც აღწერილი აქვს, თუ როგორ ანუგეშებს თამარს პოეტი შეეთელი, როცა სალოსი ევლოგი, მისტიკური ხილვის შემდეგ, მთაზე მირბის სალოცავად. საქართველოს ქარები გამარჯვებულნი ბრუნდებიან ბასიანიდან მესხეთში თამარიც ოძრბედან ვარძიაში მიდის. არც ფრონტზე ჩანს რუსთაველი, არც შინ.

„ისტორიანი და აზმანი“ საესეა ლიტერატურული რემინისცენციებით. როგორ მოხდა, რომ იმავე შემატრიანეს, სიყვარულზე რომ ჩამოაგდო სიტყვა, ვისი და რამინი გაახსენდა, ხოლო ავთანდილი და თინათინი არა, სულამითი გაახსენდა და ფატმანი არა, გვირობაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, „შაჰ-ნამეს“ როსტომი გაახსენდა, ხოლო ტარიელი არ გაახსენდა.

რა თქმა უნდა, „შაჰ-ნამეცა“ და „ვისრამიანიც“ მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლების რიცხვს განეკუთვნებიან და ქართველი მკითხველიც მუდამ გატაცებით ეწაფებოდა ამ წიგნებს, მაგრამ როცა ვაქცავთაზე ან სიყვარულზე ჩამოვარდება სიტყვა, იქ შინაურზე, ეროვნულზე, ქართულზე ადრე უტეხო რად უნდა გაგახსენდეს, შენინი რად უნდა დაგაგიწყდეს იმდროინდელი შემატრიანეები კი ივიწყებდნენ რუსთაველის უბადლო რაინდებსა და მის კდემამოსილ დედოფლებს — ნესტანსა და თინათინს.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ სდუმს ასე ჭიუტად მატრიანე, ეამთალმწერელმა ერთი-ორჯერ მოიხსენია შოთა კუპრი თუ კუპარი და ამ სახელის ირგვლივ თანამედროვე მეცნიერებმა ვინ მოსთვლის რამდენი იღავეს, რამდენს მოეღალა კალამი მასზე წერით

და მიინცე გაძნელდა დამაჯერებელი პასუხის გაცემა მის ვინაობაზე.

რით აიხსნება ყოველივე ეს? საქმე ის არის, რომ თავის დროზე განსაზღვრულ წრეებში გავრცელებული იყო აზრი თითქოს რუსთაველმა გაიზიარა ერესის მომხრეთა პოზიცია, თითქოს იგი განუდგა ქრისტეს; ამის გამო იმავე წრეებმა ეკვის თვალით დაუწყეს სკერა „ვეფხისტყაოსანსაც“, ამ თვალსაზრისმა თავისი ნაკვალევი დასტოვა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში.

არაერთმა ქართველმა მკვლევარმა სცადა აღედგინა სიმართლე და დაემტკიცებინა, რომ რუსთაველი არ განდგომია იესოს სჯულს; ამ საკითხს ვერც პოეტმა აუარა გვერდი, ლოგიკური ცნებების სფეროდან მან მკითხველი მხატვრული სახეების სამყაროში გადაიყვანა და თვალნათლივ გვიჩვენა, რომ რუსთაველი განუყოფადია ქრისტიანული საქართველოსაგან, მას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განდგომილი და ერესის მომხრე ეწოდოს.

აი სტრიქონები ლექსიდან „ხმა ჭვარის მონასტრის გალაყანთან“:

— შენგან განდგომა
ო, ჭვარცხელო,
მე რად დამბრალდა,
მალაღ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპარლთა,
ძლეულთ ნუგეშო,
დავრდომილთა თავშესაფარო,
მაშვრალთ იმედო,
ანთებლო ბნელში ლამპარო,
არას მქონეთა საგანძერო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმადლესო,
რწმენით ნახულო.

ასე ესაუბრება მისტიკურ ხილვაში წასული რუსთაველი „მაშვრალთა“, „დავრდომილთა“, „ძლეულთა“ და „არას მქონეთა“ ღმერთს — პანტოკრატორს ანუ ყოვლისშემძლეს. ქრისტიანობა წარმოიშვა როგორც დაჩაგრულთა მოძრაობა, ის გამოვიდა როგორც რელიგია მონებისა და მონობისაგან

თავდახსნილი ადამიანებისა, ლტოკებისა და უფლებებობებისა, რომის იმპერიაში ის მიერ დამორჩილებული და დაპყრობული ერებისა. მან საქვეყნო სიკეთე და სიყვარული იქადაგა იმ ღვთაების სახელით, რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზუციით მონაბერთა; ასე იქცა ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიად.

რენენანსის დამწეებმა, ქართველმა გენიოსმა ბუნებრივია, რომ თავისი ხარკი მიუძღვნა ადამიანის გაღვიძებული გონების ძლევამოსილებას. დავიმოწმით ისევ ის ლექსი, რუსთაველი მიმართავს იესოს:

მე ზემს გონებას,
ცნობას ვოვლიდი
ზემ ლიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძველი,
შენ მთხოვდი
თაფიანს,
მხოლოდ თაყვანს
თაყვანს განუსყელს,
მე მხოლოდ განსყის,
მხოლოდ განსყის
ეყოჲ მლოცველი.
თუ განმაყაყე,
თუ დამაღვი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესბმის,
ხან დაღონების —
მე მსურდა შენგან
სიტბოც
ცნობის თავისუფლების,
მე მწადალა შენგან
სიბარულიც
განხმულ გონებას.
მე ამ წადილით,
მე ამ ლოცვით
ეყოჲ დამწუარო;
ხამს ლოცვა ზემო
არ მეშუხროს,
ხამს არ წამმწარდეს
და თუ შენ მიინცე

ცოდვად მითვლ
 ამ ჩემს საწადელს —
 ცოდვა, არცოდვის
 ქეშმარიტი
 სად ჩვენ სამძღარი?

როცა მოწაფეებმა ჰკითხეს ქრისტეს
 — უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ
 (საით მიდინარ) და ვითარ შემძლებელ
 ვართ გზისა მის ცნობად? მაშინ იესომ
 უპასუხა: მე ვარ გზა და მე ვარ ქეშ-
 მარიტება!

და ამ გზით წავიდა კაცობრიობა თა-
 ვისი მომავლისაკენ.

ირაკლი აბაშიძის ლექსების ერთ-
 ტომეული, რომელიც მოიცავს პოეტის
 თითქმის მთელ შემოქმედებითი მემკ-
 ვიდრეობას და რომელიც ახლახანს გა-
 მოვიდა წიგნის ბაზარზე, იხსნება უსა-
 თაურო ლექსით, რომელსაც წამძღვარე-
 ბული აქვს ბარათაშვილის სტრიქონე-
 ბი — „მშვენიერება ნათელია ციდან
 მოსული“. ამ ლექსში ვკითხულობთ:

ვინ რას დამძრავას,
 დღე არ გასულა
 მერე აჲ მესუნთქოს
 მიწის სურნელით;
 მე ვივად ქვეყნით საესე, კაცურად,
 ხან უმფროთ, ხან სასურველით.
 ის ხან მანთებდა
 სხვიით, ნათელით,
 ხან ჩემს სულს გლუვდა
 აფთრის კბილებით;
 ქვეყნის სატყეირით
 მე ვარ განმრთელი,
 მე უნდა მოკვდე ამ სატყეირებით.
 მაგრამ მსურს მოკვდე
 როგორც მთის კაცო
 და სამარის წინ
 უთქვა გატეხილად:
 რომ ზოგჯერ
 ზემთის გახსნილ ცისკარში
 მე მსურს ღმერთიც, ღმერთიც მუხილი.

ქეშმარიტად, უაღრესად გულწრფე-
 ლი და ღრმად მგრძნობიარე პოეტის
 დაწერილია ეს აღსარებასავეთ ძუნწი

და მკაფიო სტრიქონები, რომელშიაც
 მოცემულია მთელი შინაარსი, უნდა ვი-
 რი არა მარტო მისი პირადი მრწამსი-
 სა, ცხოვრებისა და პოეზიისა, არამედ
 აქ განსაზღვრულია მოწოდება, ისტო-
 რიული მისია ყოველი შემოქმედისა
 საერთოდ, რომელ ეპოქასაც არ უნდა
 ეკუთვნოდეს იგი. პოეტის გულზე უნ-
 და გაიაროს ყველა სახალხო ტყვილ-
 მა და ყველა სიხარულმა, ის უნდა
 ერიოს ამ მღელვარე წუთისოფლის ყვე-
 ლა ზვირთში, ცხოვრების გაუთავებელ
 საომართიალში, ის უნდა შეებრძოლოს
 საქვეყნო ბოროტებას, რომელიც
 გლეჯს კაცის სულს აფთრის კბილებით,
 პოეტს უნდა სტყოდეს საქვეყნო სა-
 ტყეარო და იგი უნდა მოკვდეს ამ სა-
 ტყეარით.

ფიცივითა სდებს ამ ალთქმას პოეტი
 არა მარტო ამ ლექსში — თავის ბო-
 ლოდროინდელ კმნილებებში იგი კვლავ
 და კვლავ უბრუნდება ამ თემას. ამ
 მხრივ საინტერესოა მისი „თუ ხარ ნა-
 მღვილი“, „მაშ შენ ხარ, მუზა?“,
 „სტრიქონში სიტყვა სულ არ დასწუ-
 რო“, „პოეტი მაინც“, „მხოლოდ იმ
 ერთის“, „როდის სდუმს მუზა“, „ცხო-
 ვრების სიბრძნე“, „გამოუთქმელი ლექ-
 სების ხსოვნას“, „დაგვტოვეთ მარტო“,
 „ფიქრები მთაწმინდასთან“, „პოეტები
 და ისტორიკოსები“ და სხვ. ამას გარ-
 და, ირ. აბაშიძემ არაერთი ლექსი მი-
 უძღვნა თანამედროვე საქართველოს
 ყოფას, მის თვალწარმტაც პეიზაჟებს,
 მის სოფლებსა და ქალაქებს, მის მხე-
 დრებსა და მხვენულ-მთესველებს, მისი
 საყვარელი თემა მუდამ იყო საქართვე-
 ლოს დედაქალაქი, მისი რომანტიკული
 წარსული და აწმყო. ეს იყო და არის
 პოეტის მთავარი თემა. მთელი ამ ლექ-
 სთა ციკლების გადაკითხვა ნათელ-
 ყოფს, რომ პოეტის მხატვრული სიტ-
 ყვა მუდამ განუყრელი იყო. მუდამ გა-
 დაწნული იყო ერის ცხოვრებასთან.

ყველაზე უპირველესი, რითაც ირ.
 აბაშიძის ლექსი მუდამ იქცევა ყურა-
 დლებას, ესაა წრფელი და უღრმესი გა-
 ნცდა სიცოცხლის სილამაზისა. აქ. ამ

ლექსებში ყველაფერი ღრმად ემოციურია, ყველაფერი გადამდებია — სინარულიც, დარდიც, მოთქმაც, მძიმე და ნაღვლიანი ჩაფიქრებაც და გულღია მოლხენაც. და ყველაფერი ეს გამთბარია ადამიანური გულის სითბოთი, სამშობლოს სიყვარულით, მთელი სამყაროს სიყვარულით; კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, რომ თითქოს თავისთავად წამოსული უბრალო სიტყვებიდან გამოკრთის სინათლე უსაზღვროდისა, გრძნობთ, რომ შინა ხარ ყველგან, მიწაზეც და ცაშიც და ღრუბლებიც კი შენი ყრმობის თბილი სიზმრებია: ეს სიყვარული არ ძველდება, არ ემორჩილება ეამთა სელას, თუმცა ამ ბოლო წლებში მუდამ შემართულმა, მუდამ მზნეობითა და ხალისით აღსავსე ბერეკაცმა (როგორ არ უზდება ეს სიტყვა ირაკლი აბაშიძეს!) მაინც დაიჩივლა: ლექსში „ვარსკვლავები“ არის ასეთი ნაღვლიანი, სინანულით აღსავსე სტრიქონები:

ის ძალა მქონდეს —

მე ოცნებებს, ახლა ბებრულებს.

ისე იმ აღმერს შეკუნთებდი, ერკინულნი
აღმერს ბუნებრივს; გინგლირთუქვა

ის ძალა მქონდეს —

დღევანდელ უღვთოთ გაქანებულებს

იმ ძველ სიხანტეს,

იმ ძველ სიგრძეს დაუებრუნდები.

ის ძალა მქონდეს —

და ერთი თქმა:

— შორხა, გათენდი —

და გაქრა ღამე.

შორხა ღამე,

ღამეს შაბაში;

ის ძალა მქონდეს —

მე ვარსკვლავებს ახლად გაეწმენდი —

ისე არ ერთიან, როგორც მაშინ,

ჩემს ბავშვობაში.

გავამზნეთ პოეტი? არა, ირაკლი
კევიანი კაცია და ლიტონი სიტყვა აქ
არ გასკრის, მხოლოდ ძველ ქართულ
ანდაზას შევახსენებ მას — ბებერი ხა-
რისა რქანიც ეწევიანო; ისე კი, მისი
პოეზიის ვარსკვლავები მუდამ იბრწყინებენ
საქართველოს პოეზიის მოწმენ-
დილ ცაზე.



იროდიონ ჟაროპირიძე

ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში

წინათმბა

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომედი-
ყბლობის სახელმწიფო კომიტეტის მივლინე-
ბით საინგილოში გახლდით 1988 წლის ნოემბ-
ბერში. შევისწავლე ინგილოთა ცხოვრება, მათი
ხალხური შემოქმედების ნიმუშები და ხალხური
შემოქმედების მთავარი რედაქციის გადამღებ
ჩვეუფთან ერთად, კაბის რაიონის სოფელ კახისთავის
ინჰაძის სახელობის ქართული კოლმუერწეობის
ელტერის სახლის ვარტელ დარბაზში გადვილეთ
საინგილოს ფოლკლორული საღამო, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ
რამდენჯერმე ვადასცა.

ფოლკლორულ საღამოზე ბრძანდებოდა მასწავლებელი
ანეკა ქვრდაძე. ქალბატონმა ანეკამ თავისი დიდი
წინაპრის ჩანაწერები გადმოცა. მთხოვა ოქნებ
გადაცნოთ ქართველ ხალხს, თუ ინგილოები
დღემდე რა დიდი სიმტკიცითა და ბრძოლით
იციადნენ და იცავენ თავიანთ ერონულ
ზნე-ჩვეულებას, ქართულ ხასიათსა და
რწმენასო. ამ ფერგადსული ფერცილებით
მარცვალ-მარცვალ ამოვიციფე ის ძვირფასი
მასალა, რომელიც დიდ ფასეულობას წარმოადგენს
ჩვენი ერისათვის. აქედან ვგებულობთ, რომ
1881 წლის ზაფხულში კახეთის გლემა მხარეში
მცხოვრები ქართული მრეეღის მწვემსად,
— საინგილოს ბლაღოჩინად, — განმწმუნებოათ
იროდიონ ოქროპირიძე. ამ ჩანაწერების
მიხედვით ჩანს, რომ ბლაღოჩინი

იროდიონი ფრიად, განსწავლული, ქრისტიანული
სარწმუნოების დამკველი და მქადაგებელი
პიროვნება ბრძანებულა.

ბლაღოჩინს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა
შესაყარზე უმოღაწიო საინგილოს მრეეღში
და აღღწერია, თუ რა დღეში იყო იქაური ქართველობის
ქრისტიანული სარწმუნოება ცალკე მოღებია
და ცალკე სასულიერო იერარქიის მაღალ
საფეხებზე მდგომ რეს მმართველთაგან.

იროდიონ ოქროპირიძე საინგილოს ქართველი
მრეეღის წინამძღვრად 1891 წლის ზაფხულს
განმწმუნებოათ და დანიშნულების აღვიღზე
ავიღიტოს გამგზავრებულა. თან ზღებია
მეუღლე ნინო, მციტრწლოვანი შეიღები: მესა,
გიორგი და ძუძუთა ზინა.

სამღლიანი მგზავრობის შემდეგ დანიშნულების
აღვიღზე მწვიდობიანად ჩიულწევიათ.

რადგან ბლაღოჩინის ჩანაწერები საეკლესიო
ქველი რუსულითა და ასევე ძველქართულით
იყო დამიძიებული, რაც თანამედროვე მკითხველისათვის
მწელად გასაგები იქნებოდა, გადავამწმუნე,
თანამედროვე ქართული სალიტერატურო
ენას დავუბლოვე და ასეთი სახით ეთავაზობ
მკითხველს. ჩანაწერისათვის თავდაპირველი
ფორმა და შინაარსი არ დამიკარგავს, ფაქტები
არ დამიმახინჯებია.

გიორგი გორტიშვილი.

თუთის შეწველით სხარტულით შევიღეთ ეკლესიის
ვალაენის კარი და ჩვეს თვალწინ გადაიშალა
მწვენი ბალახით მოხავრდებული და ხე-ნარგავებით
დამწვენებული ფართო ეზო, სადაც ლამაზაინიანი
საბლიც იღვჯა. იქ გულ-

თბილად მოგვეგება სამრეელო სკოლის მასწავლებელი
ქალი, რომელსაც ეცნობდი. მან მცხეთის
ღღდათა მონასტერში გაასრულა კურსი: ეს
ქალი გახლდათ მართა მხსარაშვილი,
რომელიც კახში გამობთვილიყო. მისი მეუ-

საინჟინროში
საინჟინროში

დღე — ადგილობრივი თავადი იოსებ სიდა-
მონკინათაიცი — აქაური ნორმალური სკო-
ლის მასწავლებელი იყო. ეზოში შეგებდა აგ-
რთვე ადგილობრივი ეკლესიის ზოგადი ფი-
ლიმონ ზაღლოვი და მისი შვილები წინა.

ნამგზავრებს დამხედურნი გაგვიმასინდ-
დნენ. მალე დაეხიანადით. მათ ინგილოთა ზნე-
ჩვეულება მოკლედ გაგვაცნეს. მალე სოფელ-
მაკ შეიტყუი ახალი ბლაღოჩინის ჩამოსვლა და
ხალხი შორიდან გვათავალერებდა. ნამგაღ-
ლევს კახის ეკლესიის მღვდელი მოვიდა. უკვე
მოხეტობაში იყო შესული, მაგრამ ვარჯად შე-
ნახული. ეს გახლდათ მამა მიხეილ ყელიშვი-
ლი — კახში მცხოვრები ინგილო. თორმე ის
ყამწილობაში შეჩვევის სკოლაში გაუხრდიით
და მოლა გამხდარა, მაგრამ რადგანაც ბავშ-
ვობაში ქრისტიანული წესით ყოფილა მონათ-
ლული, დიაცობა შეუწყალება და ცოტა ხნის
შემდეგ მღვდლად უყურთხებიათ. მას ხალხი
ზედმეტ სახელად „მირხა ქეშეშ“ ეძახდა. მა-
როლაც, კვიანის, მოხერხებელი, კარგი მეტ-
ყველი და სასარგებლო მღვდელიც გამომდ-
გარყო. იცოდა აგრეთვე შინაური მეურნალო-
ბა და ამ უწყშიმო ქვეყანაში ეს ხელობა დიდ
სახელს უბეჭდა. ხალხი დიდი პატივისცემით
ეყურობოდა. ეს მღვდელი თბილი, სიტყვა-ქე-
ზით შემზდა. მიიხრა: მამა ლეონიდე — მისი-
ონერი და თქვენი სახლიაკაც გაქვბდათ თქვე-
ნა და თქვენი სახლობასაც. ჩვენს მასწავლე-
ბელ ქალს კენიან მარამ სტიმონის ასულსაც
სცნობიხართ სემინარიის სტუდენტობისას და
ესაც გაქვბდათ. იმერაც ვაქვს თქვენი ახლ-
გაზრდული უნარისა და გამოცდილებასა, რომ
დიდ გულშემატკივრობას გამოიჩინებ და შემ-
წიობას გაუწყეთ ადნე შესუღმონობაში მომ-
წავეღულ, შევიწროებულ ერთი მეუბა ქართუ-
ლებს. ეუბანებე, რომ აქაური ქრისტიანობის
მდგომარეობა ჯერ არ ვიცო და ვერც რამე
იმედს მოგვცემთ-მეთქი.

შემიძლია მხოლოდ დავარწმუნოთ, რომ
მოელი ძალიონით შზადა ვარ ყველაფერი მი-
ვეც ამ წმინდა საქმეს. პირველ რაგში, მხო-
ლოდ იმას გთხოვთ, რომ როგორც აქაურმა
აკცმა და თანასოფელთა ბუნების კარგმა
მცოდნემ, გამაცნოთ ამ ხალხის უბირველესი
საჭიროებანი, გზა მიჩვენოთ და თვლი ამი-
ხილოთ თქვენი ცოდნა-გამოცდილებით, წინამ-
ძღოლად მუავდეთ, სანამ მეც თვალს შევამყე-
ვდე ამ სიბნელეს და გზას გავიკვლევდე. მას
გაუხარდა ჩემი ასეთი თავმდაბალი პასუხი და
პირველ ხანებში ხალხით მაკნობდა ინგილო-
თა ყოფა-ცხოვრებას.

პირველი წირვა მალე ვავმართე. ეკლესიაში
ბლომა ხალხი მოვიდა. აქ იყო აგრეთვე ადგი-
ლობრივი უბნის უფროსი (უჩასტკოვი ნაჩა-
ლნიკი), რუსი მერყელოვი მეუღლითურთ. მი-
სი შვილები განათლებული ქართული ქალი

გახლდათ იმის გამო, რომ მინდოდა ვინა-
შეგვეუღოდა აქაური წირვის წესა და
მსულობას, ეს წირვა მღვდელ მიხეილ ყე-
ლოშელის ჩაებატარებინე. სიტყვა კი მე ეუო-
ხარი მრევლს და ის ახრი გაებატარე, რომ
თქვენი სულიერი მოძღვარი და ექშიმ შზად
გახლავართ მთელი ჩემი ძალ-ღონით ნამდვი-
ლი მოძღვრობა გაგიწიოთ-მეთქი. მაგრამ
თქვენიც უნდა დამეხმაროთ, დროულად შემატ-
ყობინოთ ხოლმე თქვენი გაქირებვა-საჭიროება-
ნი, სულიერი სენი და უძღურებანი, თორემ
უამისოდ საყურანებელ წამალს ვერ მივაგნებ
და ვერც სულიერ მეურნალად გამოგადგებთ.
ჩემი სიტყვა ვინც ვაგო, მიეწონა, მაგრამ
ბევრმა ვერ გააგო, რადგან ინგილოები თვი-
თონ ლაპარაკობენ ჩემთვის გაუგებარ ენაზე.
მათს ენაში ბევრი ძველი ქართული და ზო-
გიერთი თათრული სიტყვაც ურყევა. ამის გა-
მოა, რომ წმინდა ქართულ ენაზე ნათქვამ სი-
ტყვებს ბევრი ვერ გეხელობდა სრული თა-
ვისი ახრით.

წირვის შემდეგ გამაცნეს ადგილობრივი ინ-
ტელეგნცია, მასწავლებლები და მერყელოვი
თავისი მუდლით. მერყელოვის ე ინგილო-
ში ლევი მოხელის — ნაიბის სახელით იხე-
ნიებდნენ. იქვე გაიცანე ჩემთვის ფრიად სა-
სამაჟონო პიროვნება, ჩემი ნათლის, დიდე-
ბული მღვდლის ქალიშვილი ელენე გრიგოლის
ასული და მისი ქმარი, თბილისის სათავადაზ-
ნაური სკოლის მასწავლებელი ახელ ნიკო-
ლოზის ძე ბაირამაშვილი, კახის ნორმალური
სკოლის მასწავლებელი იოსებ ვასილის ძე სი-
დამონოვ-ერისსოავი და ადგილობრივი სოფ-
ლების გავლენიანი გლეხები და თავაკები.
ყოველი მათგანი დამპირდა, ვესლებო, ვველა
გარეუობა და ხალხის ზნე-ჩვეულება გავაყ-
ნოთ. ეს ახალგაქნობილი ინტელიგენცია, სა-
დაც უნდა შეეხოვრა, იმ სახლის ათენზე შე-
ვიპატივე და ჩემი მუდლვე გაეცანა.

ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა
ხალხმა და ინტელიგენციამ. ამან კეთილი იმე-
დი ჩამიხერგა. შემდეგ დღეებში მამა მიხეი-
ლის ნაამბობით და „ნაიბი“ მერყელოვის სა-
შუალებით გაეცან საინგილოში ქრისტიანო-
ბის დაწვეებისა და შემდეგ მისი დაბოლოების
ისტორიას.

საინგილოში ქრისტიანობა შემდეგნაირი ში-
ნაარსით მიმდინარეობდა:

საინგილოს საბლაღოჩინო, რომელშიც ახლა
მე გადმომივყვანეს, შეიღ საპრეველსაგან შე-
დგებოდა. მათგან თოხასკომლიან კახის ეკლე-
სიას ორი მღვდელი ემსახურებოდა. აღიბე-
ლოს, ყორღანის, ქოთოქლოს, თასმალისა და
ბელაქნის სამრევლოს, რომელიც 600 კომლი-
საგან შედგებოდა, სხვა მღვდლები ემსახურე-
ბოდნენ.

საინგილო ძველთაგან კახეთის ნაწილი იყო



და პერუთად იწოდებოდა. 1616 წელს, შა-
აბასის ლაჰორის შემოსევისას, დაიწყო მისი გა-
ნადგურება. ზოგი ქართველობა ადგილზე და-
ხოცეს, ზოგიც სპარსეთს გადაასახლეს. მათ ად-
გილას დაამკვიდრეს დაღესტნელი ლეკები,
რომელნიც შა-აბასს ენაშაზებოდნენ ქართვე-
ლების განადგურებაში. იმ ადგილებში, ახლაც
დგანან მშვენიერი ძველი ტაძრები. სოქელ ლე-
კოთის ახლოს შემორჩენილია მთელი სამონას-
ტრო კომპლექსი, სოფელ ყუმბის ახლოს და
სხვაგანაც არის მრავალბუნე ტაძრები.

დამპყრობელმა მუსულმანებმა განადგურებას
გადარჩენილ ქართველობას მდინარე აღახის
ახლოს ქვემო ნაწილი მისცეს დასახლებ-
ლად, რადგან აქ აუბანელი სოცხე იცის, წყალი
და ჰავა უფროსია, ადგილი კი ცუბ-ცხუბ-
ბიანი. ამით თითქმის დიდი მოწყალეა მოადეს
თავის მამულზე დარჩენილ ქართველობაზე. ქა-
რთველთა ახალი სოფლები: ზაქათალა, ჭარი,
ბელაქანი, კატები, მაწეხი, ყუბა და სხვები,
წარსული საუკუნის 70 წლამდე ლეკებს ეკო-
რათ ბატონყმური წესით და მათი მოსავლისა
და საქონლისაგან დიდ შემოსავალსაც ლეებლობ-
დნენ.

ესი და მდინარე ქერმების ჩაყოლებამ
მდებარე სოფლები კი ელსეს სულტნების
ყუბი იყვნენ.

ინგილოები, თუმცა ძალით გაამამდიანეს,
შამაქასათა ჩვეულებრივად ქრისტიანობას მალულად
ინახავდნენ. სახელი „ინგილო“, რომელიც
ყმაღბიველ ქართველებს შუაქვეს, ქართულად
კათალიკოს ნიშნავს ვ. ი. შამაქის ჩველებზე
ახლად მოქცევს. სანამიდ რუსები დაღეს-
ტანსა და ქარ-ბელაქანს დაიპყრობდნენ, ინ-
გილოებმა საიდუმლოდ შოილაპარაკეს, რომ
შამაქასის ჩველებზე, ქრისტიანობაზე გადასე-
ლყვენ. თუმცა ამის გაყოება ლეკებთან ძა-
ლზე საშიში იყო.

ქრისტეს ჩველებზე მონათულა პირველმა გა-
ბედა ესის მცხოვრებმა, გელენინამ მოხეცა,
ივანე ბელუდამვილი, რომელსაც ინგილოები
პატრიუსციმონა და სეყარულით ივანეზამას
ეიხანდნენ. ივანე 1861 წელს თბილისში ჩასე-
ლა და ქრისტეს ჩველებზე მონათულა. მისი
ნათლია თვითონ მთავარპართებელი კროსიკო-
ვი ყოფილა. შამიწ შამილი ყერ დამარცხებელი
არ იყო და საქართველოს მთავარპართებელს
მოწყობა ინგილოთა ქრისტეს ჩველებზე შემობ-
რუნება, რადგან თქობიდა, თუ ივანეზამას მო-
ხედით სხვა ინგილოებიც დაუბრუნდებოდნენ
ქრისტეს ჩველებზე, შამიწ რუსეთის იმპერიას
მტრის ზედგვი ერთგული მომხრეები და გზის
მაჩვენებელი ვყოლებოდა.

მეორე წელიწადს კახიდან და სხვა სოფლებ-
დან ქრისტეს ჩველებზე მონათულად თბილი-
სში ჩაეღდა შვიდი გელენინის მოთავე ინგი-
ლო. მათ შორის იყვნენ ცნობილი ისტორი-

კოსის მოსე ყანაშვილის მამა დე. შვეტიცაშვილი
დიმიტრი ყანაშვილი. სონის ტყვეობის
ქრისტეს ჩველებზე მონათლდნენ. მათი ნათლი-
ები იყვნენ იბდროსთავის გამონილი ქარ-
თველი გენერლები და წარჩინებული თავა-
დები. პატარა დიმიტრი ყანაშვილი სკოლაში
მისცეს. მალე აქედმოც დაამთავრა. მერე სა-
ინგილოში მღვდლად და მისიონერადაც მსა-
ხერობდა. ქართულ სოფლებში დანარჩენი ინ-
გილოები თითქმის მასობრივად ინათლებოდნენ
ქრისტიანულ ჩველებზე.

როცა რუსეთის ყარმა დაღესტანი, ქარი და
ბელაქანი დაიპყრო, საინგილოში ელსე ძვე-
ლებურად დარსდა თორმეტი სამრეულო თა-
ვისი მღვდელ-დაიყენებით. შერგამ ინგილოთა
ამ სხარულს დიდი დღე არ ყურება. სოფელ ბე-
ლაქანში ბანქოს თამაშის დროს რუსის ქარის
ყოფილმა პოლიციემა, ლეკთა ბეგმა საჭი მუ-
რთებმა, ვერაგულად მოკლა ზაქათალის ილ-
ქის უფროსი, თავადი შილიკოვი. ამის შემდეგ
ბელაქანსა და სხვა სოფლებში ბელოენერად
მოაწვეს აქ მცხოვრებ ლეკთა აწანყება. რუ-
სის ქარის მცირე რაზმს, რომელიც რუსეთი-
დან პირველად შემოდიოდა საინგილოში, ლე-
კები ვიწრო ელთან გზაზე ჩაესაფრდნენ და
მეომრები მთლიანად ამოწყვეტეს. მერე კი
აწანყებულ ლეკები დამშვიდა მთავრობამ და
აწანყების მიზეზის გამოძიება დაიწყო.

თვითონ დიდი მთავარი, ახალი მეფისნაცვა-
ლი, მიხეილ ნიკოლოზის ძე იძებდა ამ საქ-
მეს. ავენტურის ჩაგონებით ლეკობამ პირი შე-
პარა და ერთხმად განაცხადა, ძალითა გენა-
თლავდნენ და აწანყება იმიტომ მოეხდინე-
თო. ამაზე დიდმა თავადმა უპასუხა, ჩვენ ძა-
ლით არავის ენათლავთ და არც მოუნათლავ-
თო. ვისაც ქრისტეს ჩველებზე არ ვინდათ, არც
ჩვენ ვინებინათ, თავისუფალი ხართ.

გამოთავისას მხოლოდ აწანყებულ ლეკებს
დაკოტეს. მშვიდობიან ინგილოებს არც კი
გამოუძახეს გამოთავისას. ქრისტეს ჩველებზე
მობრუნებული ინგილოებიც კი არ დაკოტეს,
თუ რომელი მთავარი არის ძალით მონათლ-
ელი, შამილი ეკვე დატყვევებელი იყო და ქარ-
ბელაქანის დაკოტობელი. ინგილოებს დასმა-
რება და ერთგულება რუსეთის იმპერიას ეკვე
აღარ სჭირდებოდა. ამიტომ ამ ქართველობის-
თვის თავის აღარ იწუნებდა.

გამოძიების შემდეგ ლეკები არ დასავენ,
ამით უფრო წაქეჯეს ისინი და ვათამაშებუ-
ლი მოლდო, თავიანთი ავენტურები. დარბო-
ნენ ქრისტეს ინგილოთა სოფლები და ხალხს
უბუნებოდნენ ფად-შამის (ე. ი. გელენინის,
გ. გ.) ბრძანებას. მათ ვინაც ქრისტე-
ობა მთავრობა, ეკველანი ისე გადადგა, ისე
ჩველებდნენ. მღვდლებს კი მოკლეს. აწან-
ყებოდნენ, თუ მოკლეს თავს არ დასაბე-
დნენ და თავიანთი ქვეყანაში არ დასაბე-
დნენ.

ქრისტიან ინგილოვებსაც აწინებდნენ: აგიკლებთ, დაგზოცათ, ვინც არ გადადგებით ქრისტეს რჯულიდანო. ამის გამო თორმეტი სამრევლოდან სამიღა დარჩა. ცხრა სოფლის მრევლი რჯულიდან გადააყენეს და მღვდლები გაიქცნენ. ინგილოების საჩივარს ლეჟა უსამართლობაზე მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა. უფრო მეტიც, მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველების მაგიერ ლეკები დანიშნეს. მათ უფროსად მხოლოდ ერთი რუსი მოხელე დეთყვნეს. მთავრობის პოლიტიკა ახლა სულ სხვა მიმართულებით წარმოაჩინა. ლეკებს უფრო ეფერებოდა, ვიდრე ქართველებს, მაგრამ კახის იმ სამი სამრევლოდან არაინი გადამდგარა ქრისტეს რჯულიდან, არც მღვდლები გაიქცეულან, აღიბეგლესა და ყორღანშიც მღვდელი ადგილზე დარჩა. მხოლოდ მრევლის ნაწილი რჯულიდან გადააყენეს. — ქრისტიანობის ნაცულად მამადიანობა მიაღებინეს.

საინგილოში ქრისტიანობა ასეთი ვიწრო-ვიწრო არსებობდა. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება რომ დაარსდა და განვითარდა (მას წინათ ოსების საზოგადოება ეწოდებოდა, რადგან ის მარტო ოსებში აარსებდა სამრევლოებს, აშენებდა ეკლესიებს და ეწვეოდა მზრუნველობას) სანივილიც ახლა თავისი მზრუნველობის ქვეშ მოიღო. კრებულის სრული წამაგრით უზრუნველყო. აშენებდა ეკლესიებს, აარსებდა სამრევლო სკოლებს, მთელს კავკასიაში დაარსდა მისიონერისა და სამრევლო სკოლების შეთავაზურის სასეკულური თანამდებობანი. ამ საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ აფხაზეთი, სამურზაყანი, სვანეთი, ოსეთი და საინგილო.

მღვდელსა და დიაკვნებს ნახევარი ზღვფასა ხაზინიდან გვეძლეოდა, ნახევარი კი — ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებიდან. მღვდლების წამაგრი 600, დიაკვნებისა კი 300 მანეთს შეადგენდა. სახლიც უფასო გვქონდა. მრევლისაგან კი არავითარ მატერიალურ დახმარებას არ ეღებოდნენ. სრულიად უსამართლოდ უნდა შეგვეკურთხებინა საკლდებულო ქრისტიანული წესები: წირვა-ლოცვა, ანდობი, ნათლობა, წვაისწერა, ზიარება, აღსარება, სახლის განათვა და უველა სხვა წესი. რაც კი საჭირო იყო. ისე რომ, თუნდაც არი წვაისწერა შეგვესრულებინა, ერთ გროშაიც ვერ ავიღებდით. ტახლებისა და ბეჭტავების აღება, რომელიც აღიანდელ საქართველოში დიდ სამარცხინოდ ითვლებოდა, საინგილოში ხომ საძმელდად არ შეიძლებოდა.

ჩემი ოდერი შეხედულებით, სემინარიის კურსის დასრულების დროს სწორედ ასეთი სამსახურის ვნატრობდი და ახლა, ამ მოხუცებულობის დროს, ღუფას შეწევნით, ბედში

მარგნა ეს ნეტარება. — ისე უცხოვრებდით, ედგავარ ამ აზრზე. წმინდად და მშვენიერად ვასრულებ მას, რითაც პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც. თავიდანვე ვედილობდი, ჩემი წმინდა მოვალეობანი, როგორც სამსახურებრივი, ისე დამრავებლობითი, საქმითა და ჩემი ცხოვრების მავალით. ზნობრივი სიწმინდით შემსრულებინა, რაც შესაძლებელი იყო ჩემი ვნაწილიკაცობისათვის და რასაც სამსახური, ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა უველა მღვდლისაგან, ვინც საინგილოში ვმსახურობდით. ამას მოითხოვდა აგრეთვე თეთი ქრისტიანობის მდგომარეობა საინგილოში, რაც აქ საგანგებო მისიონერი დანიშნა, რომელიც ხანგამოშვებით მოდიოდა საინგილოში, მთელი თვეობით რჩებოდა და კახის მეზობლად მდებარე ყორღანში, თამალოსა და სხვა სოფლებში მცხოვრებ განამადაინებულ ინგილოებთან და თვით მოღებთანაც კი საუბრებს მართავდა. ამან შეამფოთა ლეკები. მათი სასულიერო წოდება დავაყურდა და შეეცადა. სოფლებში ყარგად განკითარებული მოღები დანიშნა, შეჩეთები და მათი სკოლები უვეთეს პირობებში ჩაუყენებინა. მოღებმა ასეთი შეჩიბრება გაუმართეს საინგილოებთან. სამღვდლოებაც ცდლობდა თავის სიმაღლეზე ყოფილიყო.

საინგილოსა და მთელს კავკასიაში მამის მისიონერებად დანიშნული იყო სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული კანდიდატის ხარისხით და მღვდელ-მონაზვნად შესული ლეონიდე (ოქროპირიძე). საინგილოში სწორედ მისი შეამაღლებით დამნიშნეს ბლაღოჩინად. როგორც სამიველი ახალგაზრდა მღვდელი. ყოველმხრე ვედილობდი, მისი იმედები არ გაშეკრებინა. ყოველი კვირა-ექვს დღეს წირვა-ლოცვას დაუზარელად ვასრულებდი. წირვის დროს არ ვცდებოდ ქადაგებას, საზარტის განმარტებასა და მოძღვრებას. ყოველივე ამას ვასრულებდი ხალხის გასაგები ენით. ამასთან, როცა კი შემატყობდნენ, დაუყოვნებლოვ გავრბოდი სოფელში სამღვდლოებშიმჭობდი წესების შესასრულებლად. როცა საჭირო იყო ანდობის ამტკიცება, მოცვალბუღოს წინ გაძლიოდა, ახალშობილთა ნათვა, ახალშობიარე ქალის სახლის განათვა, მოცვალბუღოთ მოსახსენებლად სუფრის ეტობზევა და სხვა. ამ წესების შესრულების მოთხოვნა ექვს ვერსზე გაქმულ ოთხასკომლან სოფელში სხირო იყო, მეტადვე ბედნიერ დღეებში. მღვდლებს ხანდახან მთელ დღეს გვიხდებოდა სიბობლი და საღამოთი დალილ-დაქანელი ებრუნდებოდით სახლებში. თუმცა კახი ორი მღვდელი ევაჯეთ და არ გაავიძებლდებოდა ოთხასი კომლის მოვლა, მაგრამ მეორე მღვდელი, — მიხილ ყულოშელი, — სოფელ თასმალის ახალ სამრევლოში გათავაჯენეს, სადაც

ათი კომლი ვლავ დებურუნდა ქრისტიანობას მისიონერ ლეონიდეს შეგონების შედეგად. ამასთან, მღვდელთან და მესულმან ნახთან, მათ მოღუბთან საკამათოდ უფრო შესაფერი და გამოსადეგი იყო მიხეილ ყელიშვილი, როგორც ყოფილი ბოლა და ეურანის მკოდნე. მის მაგერ კი კახში მღვდლად აქვრთბეს სოფელ ყორანის სკოლის მასწავლებელა, ყელიშვილის ვაჟი, ნიკოლოზი. მას ცოლის შერთვისა და მღვდლად კერობხვის შემდეგ ქლექი შეხვდა და მიიყვარა. ამის გამო იმ მღვდლის მოვალეობის შესრულებაც მე მოიხსნა სამ წეწიწადს.

1892 წელს კახში გაჩნდა ხორველა, რომელიც ძლიერ გამძვინვარდა. ამას დაემატა ისიც, რომ მძვინვარე სენის შეყრის შიშით მთავარი დავყანი ფლიმონ მქედლოვი (აღმათ მქედლოშვილი, — გ. გ.) ეპიფიოდ შეიქმნა და სამოღეაწერი ასაბრუნე დავრჩი ერთ მოხუცებულ დიდავან ხაქარია ქილოვთან ერთად. მთელ დღეს სოფელში მიცვალეებულთა დასამარხად, ფოსტის ცხენებზეთ დავებოდით ხან აღმა და ხან დაღმა. ველსია შუა სოფელში იღვა და საყრებელი სახლებიც იქვე ეზოში იყო ვარლავებული. სოფლის ზემოთა და ქვემოთა ნაწილის ბოლოები სამსამი ვერსით იყო დაშორებული ველსიიდან. დღეში ხან ხუთი-ექვსი მიცვალეებული იყო და ხან ერთი და ხან მეორე უბანში ვავრბოდით. კვბოს ხმარება იქ არ იტიან, საყავეზე ვამლან ნახადს, ზედ მიცვალეებულს დააწვენენ და სასაფლაოზე მარბენინებენ. სასულიერო მთავრობიდან მღვდლებს მოწერილობა ვქმონდა, რომ ხორველისაგან ვარლავდებულა ცხერებეს წინ არ ვავძლოდდით. ჟერ დასაფლაონ და ჰერ სასაფლაოზე აუგეთოანდერბი, მავრამ ხალხს ამის ვავონებაც არ უნდოდა და ამ მოწერილობას დიდი უმყოფილებით შეხვდა. მეც უარი ვერაყის უთხარა წინ ვადლობაზე. ყველა ქირსიუფლის დავზარელად მიეღვედი. ბოლოს, როცა ხორველა შეუნელა, მისი ნიშნები მეც ვამომანნდა. მაშინვე მივიღე საწინააღმდეგო ზომები, — დავწვე ცხელ-ცხელი ჩაის სმა, ერთი „სამოვარა“ ვამოვალე, ბოთლებით ცხელი წყალი შევიდგე ფეხებქვეშ და ოფლი მივიღინე. როცა ოფელში ვარგად ვამოვიშეშე, მეორე დღეს ექიმს მოვასხენე ჩემი თეითმკერნლობის შესახებ, მან ვაკეირეებით მოხბრა: მალე მოგისწრიათ და თქვენი თავი ვადავიჩინეთათ. ახლა ამის მებრი აღარაფერი ვინდათო, მხოლოდ ბოტკინის წვეთები მომიყა. მას დღეში სამჯერ ესვამდი. ჩემი მოხუცებული დავყანი ხაქარია კი ყოჩილად ვადარჩა. ჩემზე მავრად ის დარბოდა. მუდამ მხენ და მხობარული იყო.

მღვდლობის ვარდა ნორმალურ ორკლასიან სამონასტრო სკოლაში სამღვდელი რქელის ორი ვავეთილი მქმნდა ყოველ დღეს. ეს პრო-

გრამა ვარსულ ენაზე სრულდებოდა, ხაქმ წინა მოადგილეს მთავრობისაგან სახელმძღვანელო მქმონდა მიცემული რუსული წიგნი და ისიც შევირდებეს ვქკაქიეთო ანუკრებინებდა. საუკეთესო შევირდებო ზეპირად ვეოვეებოდნენ ისტორიებსა და ლოცვებს, ქარბულად კი ვერაფერს ვეუბნებოდნენ. მე სულ სხვანაირი თვალსაზრისი წივეყენ სკოლის ვამგვესო და იმ ინსპექტორებსა და დირექტორებს, ვინც საინგილოში სკოლის სარევიზიოდ ჩამოდიოდნენ, ავუხსენი რომ საინგილო სამისიონერო ადგილია, ხალხს ზელახლად მიუღიათ ქრისტიანობა და თუ ზავშეებს მშობლიერ ენაზე არ ჩავავონეთ სარწმუნოებრივი სწავლა, რუსულ ენაზე ვახუვირებული ისტორიისა და ლოცვებისაგან არაფერი შერჩებათ. ამა, ასეთი სწავლით ქრისტიანობისა რა უნდა ვავონემეთქი.

წამოვიყენე წინადადება, რომ თუ ვინდათ სვინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობა და ზავშეებმიც შევიგნოს სარწმუნობა, ნება მომეცით, ვისწავლო მშობლიური ენის საშუალებით. ამისათვის ვთხოვთ, ვამომწეროთ დეკანოზ ღამბაშიძის მიერ რუსულ-ქართულ ენაზე შედგენილი წიგნი „ნაჩატკი ხრისტასყოფი უჩენია“, რომელიც სასულიერო მთავრობისაგანაც არის მიღებული საშობლო სკოლებში და თქვენი სამოსწავლო კომიტეტისაგანაც არის მოწონებული. სკოლის ვამგვე და დირექტორმა მოასუხეს, რომ ჩვენს სკოლებში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ნატურალური მეთოდით და არა მშობლიური ენის მიხედვითო. ამაზე ვუპასუხე, რომ მამ რათ არის მოწონებული თქვენი სამოსწავლო კომიტეტისგან-მეთქი.

— ჩვენ ის მიღებული ვეაქვს, როგორც დამხმარე წიგნი და არა როგორც სახელმძღვანელო.

მაშინ მე ავუხსენი ეგზარხოსს რომ ასეთი მიღება არასასურველია ქრისტეს რქულზე ზელახლად მოქცეული ქართველებისათვის, რომ ჩვენ ამის ნაცვლად უნდა ვეცადოთ. მავი მშობლიური ენით ვანვამტყოთ მათში ქრისტიანობა-მეთქი.

ამის ვამგონმა დირექტორმა, ჩემი თანდასწრებით, სკოლის ვამგვეს უთხრა, რომ ვამოწერა სახელმძღვანელოდ ჩემს მეორე მოთხოვნილი წიგნი რუსული და ქართული ტექსტით. იმ ვამგვეს მერე ჩემს ვარშეუ რა უთხრა, ის აღარ ვიცი, მავრამ ვამგვე აღნიშნული წიგნის ვამოწერას აჭინარებდა, ჟერ მოხბრა, მისამართი არ ვიცი, საიდან ვამოვიწეროთ. მერე სხვა რალად მომიბოხრა. მისამართი მივეცი, მავრამ მაინც არ ვამოიწერა. ამის გამო ფსინდადებით ამანათი ვამოვიწერე. როცა ფოსტამ წიგნები მოიტრია, ფსინ ვამგვეს ვადავახდევინე. სკოლაში სოკოლოვის ის წიგნები, რომელიც შევირდებისათვის დავირებინა, შევავროვე და



მასვე დაეუბრუნე. საღვთო რწმუნის სწავლას კი ზემს მიერ გამოწერილი წიგნებით შეუდგენი. იგივე სახელმძღვანელო გამომადლა ქართული კითხვისა და ენის შესასწავლად.

შეგირდები მუხრანე განყოფილებას ათავებდნენ და რუსულად წყალობით კითხულობდნენ, ქართულად კი ასობიძე არ აკონდნენ, რადგან მათს სწავლებას პირდაპირ რუსულ ენაზე იწყებდნენ.

ჩემი გამოწერილი წიგნების საშუალებით უფროს განყოფილებაში მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასებში შეინწავლეს ქართული კითხვა, ასტორიას მათ ჟერ ქართულად ვუხსნიდი, ზერე კი რუსულად. ამნაირი მუცადინუობით, მართალია, ძნელად, მაგრამ კარგი შეგნებით გადიოდნენ პარკობას. შეგირდები თვითონაც ცდილობდნენ, რომ რუსულად შეგნებით ესწავლათ. პირველ და მეორე კლასებში სწავლება მიძნელდებოდა, რადგანაც ინგილოური ღამარაკის კილო საგრძნობლად განსხვავდებოდა ჩვენი ქართული ენისაგან. ინგილოთა მეტყველებაში ბევრი თითოური და ძველი ქართული სიტყვები ურევია. ამიტომ პირველად ჩემთვის გაუგებარი იყო მათი ღამარაკი. ასევე იმათთვის იყო გაუგებარი ჩემი ღამარაკი. იძულებული ვიყავი ჩემთვის გაუგებარი ინგილოური სიტყვები თვითონ გულდასმით შემესწავლა, რომ ჩემი მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალი უფრო გასაგებად ამესხნა. ეკლესიაშიც ზემს ქადაგებას მეტი ინგილო ისე ვერ იგებდა, როგორც მიხვილ უფლოშვილისა და მათს მეტყველებას შეჩვეული მღვდლებსა.

შეგირდებს ჟერ ქართული ენაზე ვუხსნიდი მასალას და მათთვის გაუგებარ სიტყვებს მეორე თაყიანთ დიალექტზე ვაგებინებდი. ამ და სხვა მეთოდებით ბეჯითად ვცდილობდი როგორც სკოლაში შეგირდებისათვის, ისე ხალხისათვის შემესწავლებინა წმინდა ქართული ენა.

ერთხელ სკოლაში ჩამოვიდა კაცკასის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამშემწე ზავადსკი. ქართული ენის დიდი მოძულე და სკოლაში რუსული ენას სწავლების მოტრფილუ. სკოლაში შეგირდების სწავლებას დავესწარით, რომ ვაიგო რუსულთან ერთად ქართულსაც ესწავლებდი, წაიბრტყუნა, რა საქროთა ქართული ენა, თქვენ საჩწმუნოებას ჩვენ არ გასთმევთ, ამიტომ ვთხოვთ. შევისწავლით რუსულთა ენა. მიმდლოდა მუქასუხა, რომ თქვენი საჩწმუნოების ერთი და ვინდათ, რომ უთუთოდ რუსულ ენაზე, ჩვენთვის უცხო ენაზე, ვასწავლით შეგირდებს ქრისტეს რწმუნე? მასწავლებელმა ბეჯითულია თაყლით მინიშნა ვამტყობო.

გაკვეთილი ვათავდა ერთამეორეს დაეშორადით და კამათს თაყი დაეანებეთ, მას საღამოთი კამყვე შეეხებოთ მე დი ბეჯითული. რადგან

დავებიარა, თერზე სკოლის გამგეს ჩემსე-რწმუნულად საზიარო აღეძრა, რომ ეთოლუ შეეჩერებინა და მისი გამგის წინააღმდეგ ხალხს ვაძლევდი. სობა შეეფიქრანად, რადგან იმ სამიჯარში რაღაც დიდი რამე მეკვნა. ზავადსკის ვთხოვე მოკითხეთ, რა საბუთის საფუძველზე მიჩივის-მეთი მაგ საქმეს. მის შეკითხვაზე დუნაეკმა უმასუხა: ზაფხულში ერთ ინგილოს აღიზის მოკრას გაეუროვდ, მაგრამ ეგ მოვიდა, რაღაც დაელამარაკა ქართულად და ის კაცი აღიზის მოსაჭრელად აღარ გამოშვეა.

შევეითებ დუნაეკს, გაივე თუ არა, რაც დაველამარაკე იმ ინგილოს-მეთი. იმან ზავადსკის უმასუხა: ქართული არ ეიცო და შავის ღამარაკი ვერ გაიგე. მაგრამ მივხვდი, რომ შავის ჩავიგებით დაანება ჩემს საქმეს თაყიო. შავისთანა შესაფუძლო მომჩივანს უმასუხს არ გაეცემ-მეთი. თქვენ თითონ ზედათ რა ეკვიანობით დაეადებულე ხასიათისაც არის და რამდენად ძნელია შავისთან მშვიდობიანი საშახური-მეთი. ამაზე მასწავლებელმა ბეჯითულია ვერ დამიყრა. ზავადსკი დუნაეკს მიუბრუნდა, დიდად უსაყვედრა შესაფუძლო სამიჯარისათვის. ზავადსკი წავიდა. დუნაეკი მეორე წელიწადს მოვეშორდა. მის ნაყველ ვინაე გრისი გამოგზავნის. საინგილოში გამომგზავრების წინ ზავადსკის გრისი გაუფიქროლებია: „ეი ტამ ასტორიენო“, ატო ტამ ზეზასტი ზაქონოჩიტელ სიღიტო“ (ფრთხილად მოიქეცი, თორემ იქ ებიღბასრი კანონმასწავლებელი ხისი).

სკოლის ახალი გამგე მშვიდობიანი და უფრო სუენდობიერი კაცი აღმოჩნდა. ვველანი მშვიდობიანად და კეთილად ექმნებრბოდით ჩვენს საქმეს. ჩემი სახლობა ნინოც სულთა და გულით შეევიცა იქაურ ხალხსა და ვველაფერს ცდილობდა მათი გონებრივი განვითარებისათვის. ჩვენი ხასელის პირველი რწმუნადს სულელი უქმიოდ იყო და ბევრი ხალხი იბოცებოდა ცუბ-ცუბლებით, მეტადრე ბავშვები და მშობარე დედაკაცები. კახში მცხოვრებლებს ვენახები, სახანა მონები და საქონლის ბინები თაყის ეხოში აქეთ. ხალხიც იქვე ცხოვრობს. ცხელსა და კოზიან ადგილებში მეტწილად ბრინჯს თესავენ. წყალი სასმელად უუარვისია, მაგრამ პირატყვისა და მოსავლისათვის კარგია.

ნინომ სახლში ვაჩინა პატარა აფთიაქი, სადაც მუდამ ქონდა სხვადასხვა წყებები, სასაჭებელი ზეთი, ქინაქინი და სხვა წამლები, რომლებსაც ავადმყოფ ინგილოებს უსასყიდლოდ აძლევდა. ავადმყოფი დედაკაცები, ეისაც შეეძლო, თვითონ მიდიოდნენ და საქროთ წამალი მოქრონდათ, ეისაც ჩვენთან მოსელა არ შეეძლო, ნინოს თვითონ მიქონდა მათთან წამალი. ნინო ბევრ ავადმყოფს შეელოდა და იხვილოს დედაკაცების ნიობა და სიყვარული

დაიშაბტრა. ნინო შევირდ გოგონებს სკოლაში უსასყიდლოდ ასწავლიდა საოჯახო ხელსაქმებს. ხელსაქმისათვის საჭირო მასალებსაც პირველ ხანებში ჩვენვე ვყიდულობდით. შემდეგ კი ნინო მოსწავლეთა მიერ გაკეთებულ ხელსაქმებს ლატარიაში გაათამაშებდა ხოლმე და მასალას იმ ფულით ყიდულობდა.

სკოლაში ქალების სწავლას ინგლისები უხალისოდ შეხედენ. კისაც თვითონ ქონდა განათლება, ქალიშვილებს ისინი აძლევდნ სკოლაში, სხვებს კი ეძნელებოდით. ამოდენა სიფლადან მარტო ათორდე გოგონა დაიარებოდა სკოლაში. თუ ოჯახში შეგნებულნი დედმამიყონ არ არის ოჯახის ლახისი მიმცემი, შვილების გონივრულად გამზრდელი, ქმარ-შვილის დამამშვენებელი, ის ოჯახი ოჯახად არ ითვლება. ის არის პირუტყვთა გომური. განათლება და ქრისტიანობა იმას ვერ მიეკარება. ამიტომ შევეუძლე ხალხსათვის შემეგონებინა, რომ გოგონები სკოლაში მიეცათ. მიითუშრეს, რომ სწავლა უფასო იყო და მათ არაფერი ეხარჯებოდათ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება შევირდებისათვის უფასოდ გზავნიდა წიგნებს, რეკულტებს, დაფებს, კალმებს, ფაქტურებს. მისწავლებულს აძლევდა ჯამაგირს. აშენებდა სკოლის შენობას, ამისათვის თვითონაც ყიდულობდა ასაშენებელ მასალებს და ოსტატებსაც აძლევდა ვასამირჯელს.

როცა საინგილოში ჩავედი, მღვდელ მიხეილ ყულოშვილის მეთვალყურეობით სწავლება საკრებულო ოთახში მიმდინარეობდა. მისვლისთანავე მეც მიბრძანეს ქალების სკოლის აშენება შეეცოთა. მეორე წელს, როცა სასკოლო შენობის სამი ოთახი უკვე მზად იყო, მთავარი დიაცვის მქედლოვის თანხლებით შემოვეარე ყველა ოჯახს, სადაც კი სასკოლო გოგონები გავბეულბოდა, და ოჯახის უფროსებს ეთხოვედი, რომ გოგონები სკოლაში გამოეგზავნათ. თითქმის ყველა უარს შეუბნებოდა. ჩონ ნალოც დედაცაო ერ ოჯახში არ გამოდგებინ. მისგან ოკრუტე ნახალხიც არ ნაბი არ იქნებოსო”.

საინგილოს ერთი დიდი უბედურება კიდევ ის იყო, რომ შშობიარობაზე ბევრი დედაცაო იღუპებოდა და ამიტომ ისინი აუკაცებზე ბევრად ნაკლებნი იყვნენ.

დაიბადებოდა თუ არა ბავშვი ოჯახში, მამიწვე მღვდლის მოსაყვანად აფრენდნენ ვინმეს, რომ სახლი გაეანთლა და უწმინდური არ დარჩენილიყო. საინგილოში ჩასულითანავე მიუკაცეთ ამას ყურადღება. და დაეიწყე მის წინააღმდეგ ბრძოლა. ვარსებენით ოჯახის უფროსი დედაცაოებს, — დედაპიოლს, რძლებს, რომ ევრე უღმერთოდ, შეუბრალულად ტოვებდნენ შშობიარეს და არ მეთვალყურეობდნენ. არ ეხმარებოდნენ, რომ ან ცეცხლი აენთოთ, ან წყალი გაეთბოთ, ბავშვი გაეხმანათ. ამისთანა ყოფნაში ძალით ელატუნენ ბავშვსაც

და შშობიარესაც. ამბობდნენ, უწმინდურნი არიყ და ვერ მივეყარებითო. ამანუ, გუთუბიკე ვეფეუთ თქვე უღმერთობეო, თუკი მე შეიღვიარ შშობიარესთან და შემაქვეს ვჯარი, სახარება, თქვენ რატომ არ უნდა შემოხედეთ ჩემთან ერთად-მეთქი, რომ სახლთან ერთად თქვეც გაენათლოთ. ბებრები რომ არ შემორჩილებოდნენ, ხელმოკიდებული შემყავდა შშობიარის სახლში, ხშირად ვხედავდი, რომ თვითონ შშობიარე აძვარა, ცეცხლი აუნთია და წყალი გაუთბია.

შედილოდი, სახლს გაენათლავდი და თუ ბებია ქალის ჩვენებით ბავშვის ჩანჩრთელობა საფრთხეში იყო, მას მამიწვე ვნათლავდი. ბავშვს ხელში აფეანითვე ეტვიობოდა, რომ ცოვი, ყრუდღეით იყო. ასეთ ღრის თხილ წყალში გაეულბა და სხეულის გათბობა ბავშვს რგებდა სიცოცხლისაყენ შემობარუნებდა ხოლმე.

სახლის განათელს შემდეგ შემოდიოდნენ ხოლმე დედაცაოები და ისინიც ინათლებოდნენ, განათელს რომ დაეამთავრებოდი, მერე უხარე საუბარი მქონდა დედაცაოებთან, მეტდრე უფროსებთან, ამისთანა მავნებელი შეხედულებებისა და იმ უგულობის გამო, რომელსაც ისინი ახალშშობიარესა და მისი ბავშვის მიმართ იყენდნენ, რადგან ხშირად შშობიარე ქალი, მოლოკუნებს დროს, უპატრონობის გამო, ცუდებოდა ხოლმე და წუთისოფელს ვსალმებოდა. ანდერის ავებისა და დასაფლავების დროს, როცა მეტი ხალხი შევირბებოდა, მაშინ მთის ყურადღებას მივაქცევდი ხოლმე მასზედ, რომ შშობიარისაღმი ასეთი პირუტყველი დამოკუნებულება და ეს არაადამიანური ჩვეულებადღეისისა და სარწმუნოების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომ ეს იყო თავისი ოჯახის დანგრევა და ადამიანთა ნორჩი სიცოცხლის მოსპობა, საინგილოს დამაყნინებელი და მახარებელი, მაშინ, როცა მას გამრავლება სჭირდება. ასეთი მოუსვენარი შეყადინეობით ინგილოებმა შეიჯნეს ამ ჩვეულების გაენეობა და თვითონვე ცდილობდნენ მის მოსპობას. ახალგაზრდები ენერგულად ებრძოდნენ მიხუტებულ დედაცაოებსა და სახლის უფროსებს შეხედულებას. ჩემი საინგილოში მუშაობის დროსვე მოსაეს ეს მავნე ჩვეულება, უპატრონოდ აღაო ტოვებდნენ შშობიარეს და მის ნორჩ ნაყოფს. ამ საქმეში თავისი წელიწადი შეიტანა აგრეთვე კახის ქალთა სამრევლო სკოლამაც, რომელშიც მოღვაწეობდნენ ქარი მ. სიღამონ-ერისთავი, ხოლო შემდეგ ხ. ყულოშვილის ქვრივი. სკოლამ თავისი არსებობის თოთხმეტე წლის განმავლობაში, ე. ი. ჩემს იქ ყოფნისას, კურსდამთავრებული ქალების ათი წება გამოეშვა. ეს გოგონები იქვე დათხოვდნენ და ინგილოთა ცხოვრებაში, დედაცაოს ზნე-ჩვეუ-



ლებში ახალი, ნათელი შეხედულება შეიტანეს.

ინგლოთა ცხოვრებაში ერთი დიდად მანებელი ჩვეულება და ადამი ის იყო, რომ ქალბის გათხოვების დროს მზითევს ეს არ აძლევდნენ, როგორც ჩვენ ვიცით საქართველოში, რომ ახალ შექმნილ ოჯახს შესაძლებლობა მიეცეს ნორმალური ცხოვრებისათვის მოწყვას და ახალშეუღლებულთა გუადვილდეთ ცხოვრება, არამედ აქ პირიქით ხდება, — საქმროს ფულსა თხოვენ და ჰყოლიან თავიანთ ქალიშვილებს იმაზე, ვინც ბევრ ფულს მისცემს, როგორც მათ შეზობილად მცხოვრებ თათრებსა და რაეებს ჰქონდათ წესათ დაედებულო. ამ წესის გამბატონება მარტო მეზობელ მესულმანთა მიხედვით არ აიხსნება, ამას განმარტობებდა აგრეთვე საინგლოში ქალთა სიმცირე, დედაყაყების სიმცირე ეს ზემოთ მოხსენებული წესით იყო გამოწვეული.

ინგლო ქალთა სიმცირეზე ისიც ახდენდა გავლენას, რომ სახლში დედაყაყს მძიმე საქმეები ჰქონდა დაკისრებული, დედაყაყის ვალი იყო ბალახობტის მყოფი-დამეშვეება, საქონლის პატრონობა, ბაის დახვეტა-დასუფთავება, პურის ცხობა თინეში, თონის გასაბურებელი და პურის ცხობისათვის საქმრო შეშაფხბის დამსხდება, დეჰრა, აბრეშუმის ქისის პარკის გამოყვანა. ამ საქმეს საინგლოში ძლიერ მოსწყედნენ, ზოგი ოჯახი პარკის გამოსაყვანად ოთხამ კოლოფ თესს აიღებდა ხოლმე, ამ საქმეს მხოლოდ დედაყაყები აკეთებენ — თვითონ კრიან ფერცლის ფოლიან ტოტებს და ზურგით მოაკეთ. ქისს კმევა განსაკუთრებით მხოლო ხანებში იყო ძალზე საშობიო, ხანდახან მთელი ურემი თეთის ფერცელი იყო დღეში საქმრო, ამასთან, ქიას ძველი საფერი უნდა გამოთვეყალოს და ქვეშ საგები გაუსუფთაოს. ეს ეს განსაკუთრებით მძიმე იყო ფეხშიძე დედაყაყისათვის.

ქალისათვის ყველაზე მძიმე და მორალურად დამაჰინებელი კიდევ ის იყო, რომ ახალ მოყვანილ პატარას დედამთილ-მამამთილი არ ელაპარაკებოდა, გაღებებით ხომ სულ არ გაუღიებდნენ, შედამ შებღმერული უყურებდნენ, რძალს დედამთილს ან ოჯახის სხვა უფროსებისათვის რომ უნდოდა ჩაიბე ვეცხნა, ოჯახში ყველაზე უმცროსისათვის უნდა ეთქვა და ის გადასცემდა უფროსებს, ერთი სიტყვით, რძალსა და ოჯახს უფროსებს შორის ყველაზე პატარა იყო შეამავალი, ეს პატარა ადამიანები ცხოველთა ბინებში ცხოვრობენ ცეცხლსა და ჰობიან ადგალებში, რის გამოც დედაყაყები და ბავშვები დიდად ზიანდებიან. ერთი მხეზე ქალთა სიმცირისა საინგლოში ესეც არის. ამ იშვიათად შეხედებით მიხეუ მამაკაცს, რომელსაც პირველი ქორწინების ცოლი ჰყავს შემორჩენილი, ყმაწვილყაყობა პეტ შე-

მთხვევაში მეორე ან მესამე ქორწინების დედაყაყებთან ცხოვრობენ. აქ დედაყაყს მისევეს ზეში, ძლიერ საქმრო არის. ამის წინააღმდეგ ინგლო ვაის მამა, რომლის ვაიცი 16 წელსაც ეს არ შესრულებულა, ცდილობს მალე შერთოს ცოლი და სახლში მუშა ქალი შემოიყვანოს. ქალბის ეს უფრო სრულწლოვანებს ახოვებენ, რომ ქმრის ოჯახში ძალიან არ დაიხაროს, ქალბის სიმცირის გამო ბავშვებს ხანდახან აყენიდანვე ნიშნავენ, რომ მოწიფლობისას საცოლეს შოვნა არ გაუწენდეთ. აქ ძალზე იშვიათია, რომ ინგლო ქალი სხვა სოფელში გათხოვდეს. ის თავის სოფელში იჩენს ახალ ბინას.

ინგლო სასიძო ქალის მამას ათი თუნდინად სამოც თუნდინად აძლევს, თუ შემოილე გამოუნდა, პეტსაც უხდის. საინგლოში ხშირია მოცილებმა და შეიპარება, რასაც ხანდახან ქალის მოტაცებაც მოსდევს ხოლმე. მოტაცება უფრო ქალის თანმობით ხდება, რადგან ქალი მოსვენს მიიწევს, თვითონ რომელსაც მოიწონებს. ქალის სიმცირის გამო ისიც ხდება, რომ ეპარტიულური მთავრობის ნებართვით, მეოთხე-შეხეთუ თაობის ახლო ნათესავებსაც ართავენ.

ჩემს დიდ მოვალეობად მიმაჩნია, რომ ინგლოებსაათვის მომეშლევინებინა ქალბის გაყიდვა, როგორც ქრისტეს რჯელის საწინააღმდეგო მოქმედება. თავისი შვილის გაყიდვის წინააღმდეგ ვეულისაში თუ მის გარეუ სასტკაე კელაშქრებდო, ვეცხავდი ამ ჩვეულებას, როგორც დედ-მამის წმინდა მოვალეობისა და მშობლიური გრძობების უარყოფას. გაყიდველ დედ-მამას თავისი შვილის ხორცის მკამელეხად ეხანებოდა, მოერღებლად ეუბნებოდა: ყოველი პატროსანი დედმამა იმასა ცდილობს, რომ თავისი შვილი სხვა ოჯახს მიათხოვოს, რომ საქმელი მანც უზრუნველყოფილი ჰქონდეს. თქვენ ეს იმასა ცდილობთ, რომ სასიძოს ოჯახი სულ დაეცოროლით, ვალებით ააყსით და დაცარიელებულ ოჯახში გაისტუმრებოთ უფიცი შვილი. ამისთანა ოჯახს შვილის მოსანახელებლად სტუმრად რომ ეწვიოთ, რით უნდა გავიშასპინძლდნენ, რა უნდა გაქამონ? ან შეიძლება უკანასკნელი ლეკმა თქვენ შეუქმნოთ და ქალასიძე მშვირები დატოვოთ. ეს თქვენ ყარგად უნდა გესმოდეთ და გრძობდეთ, რომ ასეთი წესით თქვენი შვილისა და სიძის ხორცსა სჭამთ. ამას არცერთი მხეციც ეს არ შეყება-მთავო.

ამ აზრს ვატარებდი ველისაში ქადაგების დროსაც და სკოლაში სწავლების დროსაც. მაგრამ არც ესა ადვილი იყო ამ ჩვეულების შეცელა და გადაყდება, რადგან მას ქალბის სიმცირე აბრკოლებდა. ჩემი სიტყვის პასუხად ხანდახან მეტყობდნენ ხოლმე, რომ თქვენ ქართლ-კახელები ქალს დიდ მზითევს აძლევთ და თუ მზითევი არ მიეციოთ, სასიძო ამით არ

იყიდეთ, ქალის გათხოვება გაგიწინდებდათ. არც ჩვენშია კარგი და არც თქვენში, სულ ერთი არ არის ვინდა სასიძო გვიღიდა და ვინდა სასატარძლო? ვაბაზე ვსასუბობდი, რომ ამ არის სულ ერთი, მართალია, ზოგი ჩვენი ჩვეულობა; მოსაწონი არ არის, მაგრამ ჩვენი უფრო სიამართლიანია ჩემი შეხედულებით, ვა-კი და ქალი თანხარი უფლებების შეიღებო არა-ან. ჩვენში ორივეს თანხარი წილი უნდა ჰქონდეს დედ-მამის ოჯახში. გათხოვილი ქალი სხვა ოჯახში მიდის, ვაკი კი თავის ოჯახში რჩება და მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მისია. ქალს კი ნაწილს აძლევენ, რომ ოჯახი კარგად მოიწყოს და ღარიბად არ იცხოვროს. თქვენ კი ქალს შეიღად არ თვლით, ჰყდიოთ, სიძის ოჯახს აყარიყლებოთ. იმის ნაცუღად, რომ ამ ახალ ოჯახს მიეშველით, ხელი წაბმართო. ეს მოსაწონი საქციელი არ არის მონათლული ქრისტიანისთვის. უნდა ვადავადოთ ეგ ჩვევა. ჩონ რა აქნათ მამაო, — შეტყობდნენ ხოლმე, — ბაბასაგან გოქ ეს ადამიო“. ეგ მართალია, მაგრამ, როცა თქვენი მამა-პაპა ვაგ წესს ასრულებდა, მაშინ ისინი თათრის რყულზე იყვნენ გადაყვანილნი, თქვენ კი ახლა ქრისტიანები ხართ და ამ ადამის ტარება აღარ შეგშენიო.

ასეთი სუბარი მქონდა ზალთან. განსაკუთრებით ოჯახებში ნათლობისა და სხვა საწესის მოვალეობის შესრულებისას. დედაყავები უფრო იყავდნენ ამ ადამის და მასუბობდნენ. თქვენში მამაო, ნატარძლებს სხვანაირი ტანსაცმელი აყვით და ჩვენში სხვანაირი. ჩვენი ტანისამოსზე თუ იმართო და უოხბოთოზები არ გავიკეთეთ, გარეთ ისე ვერ გამოვალთ (ინგლოები იმართოსა და უოხბოთოზს უწოდებდნენ ვერცხლის სამკაულებს, რომელთაც ინგლო დედაყავები თავიანი ტანსაცმელზე იყავდნენ. ეს შეადგენდა ვერცხლის ძველ მუხლებს). ჩონი ტანისამოსი უამისოდ არ იყარგვს. ამიტომ ძვირი უქდება ინგლისის თავისი საყოლის საქორწილო ჩაცმელობა. აი, ახლა ჩვენი მოზარდი ქალები სკოლას გაათავებენ და ისინი თქვენებურ კაბებს ჩაიცვამენ. უოხბოთოზები და ვერცხლის კაბებზე აღარ დასკირდებოთ. ჩვენშიც ასე თანდათანობით გადაყარდება იმართების ხმარება და ქალების ვაყო-ღვა. ახლა დედა-მამა იმისათვის ყიდის ქალს, რომ ამ ფულით იმართოები უწოდონ სასატარძლოს. ეს ნათქვამი საფუძელიანი არის და სიამართლეს გამოხატავს. მართლაც, სკოლის უერსდამათარებელი ქალები უფრო ქართულ კაბებს ეჩვენებენ და იმით დადიან. იმართების ტარება აღარ სკირდება და დედ-მამას თავს საქონელით აღარ გაყვიდნიებენ. მართო ქართული კაბებისა და ლუჩაქ-ბაღდადის ყიდვა დასკირდებოთ. ამით გათავდება მათი სასატარძლოდ მომზადება. საინგლოდინ ჩემი წამოსვლის წინ ქალებს ვაყოდის მოსპობისათვის

პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ამ საქმეში დიდ ინიციატურას იწინდნენ ქრისტიანული ნაწილის უფროსი, თავად ალექსანდრე ვაინადე და მისი მეუღლე. მათი ზეგავლენითა და შთავიზებით მამასახლისმა ეკლესიის ცხოშო მოიწვია კახის მცხოვრებთა ყრილობა, რომელსაც ინგლოები წამათობას უწოდებენ, და გამართეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად მზარალებელი და დამღუპველია საყოლად გამზადებული ვამწვილისათვის საყოლის ავრე ძვირად ყიდვა და მისთვის იმართის, ყოხბოთოზებისა და ვერცხლის კაბების შეტენა. ყრილობამ დაადგინა ბერძნულს იმართის ტარება და ქარიზა ვადახდეს იმ ოჯახს, რომლის ქალსაც ახალ ნაყოლი იმართო აღმოაჩნდება.

ამ დადგენილებას ის არი ჰქონდა, რომ ახალგაზრდა ქალებს ინგლოები ტანსაცმელი შეეცვალათ ქართული ან ვეროული ტანსაცმელით. რა თქმა უნდა, მისი განხორციელება ერთბაშად არ მომხდარა. ის თანდათანობით დაიწყო. ჩემს წამოსვლამდე სკოლის უერსდამათარებელი რამდენიმე ინგლო ქალი უკვე დადიოდა ქართული ლუჩაქ-ბაღდადითა და კაბით კოხტად გამოწყობილი. ინგლო ქალებმა ასე თანდათანობით შეეცვალეს თავიანი ტანსაცმლის ძველი თათრული ფორმა ქართული და ვეროული ტანსაცმელით. ამას თან მოჰყვა ქალიშვილის საქონელით ვაყოდის შეტერება. მერე კი მოსპო. მართალია, გათხოვილი ქალისათვის მხოთევის მიცემა აქ ჩვენებურ წესზე არ შემოვიდა, მაგრამ ურადის, ც. ი. სასატარძლოს გამოწყობის ფული მისცემა იმდენად მაინც შემოვიდა, რომ ჩვენებურ ბელგას არ აღემატებოდა. ბელგას იმდენს აძლევენ ოჯახს, რომ ქალმა სასატარძლო ტანსაცმელი გამოზადოს. სკოლების ვაგლენით და ახალი ცხოვრების მიხედვით დედაყავების ცხოვრების პირობები ნელ-ნელა სასიეთოდ იცვლებოდა, მაგრამ ისე ვერ, რომ დედაყავის რიცხვს ემატა და მამაყავთა რიცხვს ვამწორობოდა, ისე, როგორც ქართულ-კაბებში.

დედაყავების ყიდვა-ვაყოდის მოსპობისთან ერთად შემოვიდა საინგლოში ვაგერცხლებული ქურდობა. ინგლოების უპირველესი თადარბო იყო თათარ-ლყთა თავდასპებისა და მტაცებლობისაგან თავდაცვა. აქ ქრისტიანი ინგლოები სე ეტრანი არან თათრებთან და ლყკებთან შედარებით, რომ იმათი ინგლოები დასავრულ მართლადე არ ყოფიათ. თათრები კი ბევრნი არიან და მტრულად ეპრობიან ქრისტიან ინგლოებს, როგორც სხვა რყელის მიმდევართ და ხშირად ზარისს აყენებენ. საროვეს საქონელსა და სხვა სიმდიდრეს. ინგლოებზეც მსავსე სასავიგროს უხდიან. მით უმეტეს, რომ ვაყავობითა და გულადობით ინგლოები ბევრად ყოხნიან ლყკებსაცა და თათრებსაც. ჩემს იქ მუშაობისას ინგლოსი ასეთი ქერდო-



ბა სამარცხინოდ ყო არა, სასახლოდ მიიჩნდა. ინგლო ქალი უფრო სიამაყითა და სიამოვნებით მისდევდა ცოლად ყოჩად ქერდს; ვიდრე პატიოსან უხეიროს, ყოჩად ქერდ ინგლოს არც ისე ემძივებოდა ვარჯი საცოლის ძვირფასად ყოდა, რადგან ის მალე შეავსებდა ოჯახის დანაჯლოს თავისი ვეკავობითა და ქერდობით. ზნორად პატიოსან შეძლებულ ოჯახში ერთი მძა რომ პატიოსანი იყო და მასთან სტუმრობა და საუბარი გვსიამოვნებოდა, მეორე მძა გამოჩენილი ქერდი იყო. ასეთი იყო აგრეთვე ჩემი ექვსისი მწათეს, ზოი ტარტაშვილისა და მისი ძმის, ვასილის ოჯახი. ვასილი შეხედულებით, განვითარებითა და ზრდილობიანი ლაპარაკით მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო თავის მძა ზოზე. ვასილს თათრულად შეესახებდა ბაზიში ეძახდნენ. ის თა თრუბის მეზობელ ნების მასწავლის ისეთი გამოჩენილი ქერდი იყო და ისეთი გავარდნილი საბელი ჰქონდა, რომ ყველა ბაზიში ზეგს ეძახდა, ის მახლობელ სოფლებს არაფერს ერჩოდა. ზოი სოფლებიდან ყო ხანდახან კამეჩის მთელ ნახობს მორეკავდა ხოლმე; ის მტკვარალახნის შესანიშნავ ტერატიონზე დათარეზობდა, მიდიოდა სამუშაო, ელდარსა და სხვა სოფლებში. ჩემს მწათე ზოის ერთხელ საველური ევთხარი: თქვენი შეგონებისა და პატიოსნების პატრონი რაგორ კადრულობთ, რომ ვერე ქერდობის ნებას აძლევ შენს ძმას და თუ შენ არ გემორჩილება, რატომ არ გაშორდები, რატომ იღებ ნაწილს ქერდობის საბელოში? ამაზე ზოიმ მიპასუხა: „მამო, ჩვენ, ინგლოებმა თუ ასე არ ჩავიღინეთ, თათრები სულ ერთიანად გაგვიქრდივეენ, არაფერს არ შეგვარჩენენ. ჩემი ძმისა რომ არ ეშინოდეთ, ჩვენ აქ არ გვეცხოვრებოდა. მაგისი უშინაო, რომ სამაგიეროს ერთი ათად გადახადვივნებთ და იმიტომ არას გვეჩჩინათ. ჩვენში დიდი ოჯახები ძველოვანევე ასე მოვლივართო.

დედაყავების უღვაე ხელს უწყობს ამ ჩვეულების უფრო განვითარებას. თუ არა ეს, საწყალი ოჯახი რაგორ შეძლებდა თავისთავისა და შეილებს გამოკვებას? ზართალია, ატყობდნენ, რომ ნაქერდალს არც ბარაქა აქვს, არც გემო და მოსვენება, შერცხვენა და თავზე ლაფის დასმამ ხომ კიდევ მეტი იყო, ამასთან საშიშროებაეც იზრდებოდა იმისა, რომ შეიძლება ქერდი სამართალიში ჩავარდნილიყო. იმაზე მეტსაც დაადებინებდნენ, რაც მოიპარა და ციხეშიც ამოაყოფინებდნენ თავს.

ჩემი კოლეგების საუბრების საგანიც ქერდობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო მალესაში, შინა და გარეთ. ინგლოებმაც ენმოდათ, სარგებლობასთან ერთად, ქერდობის შეენებლობა და ედილობდნენ, თუ სულ ვერ მოსპობდნენ, შეერელებინათ მინც. ახლა, როცა თან-

